

1976

95

გრომის წითელი ღრევის ორდენისა
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის
გრომატი



სერია

სასოფლო-სამეურნეო
წარმოების
ეკონომიკა-ორგანიზაცია

გ. XCV ტ. 95

Труды Грузинского ордена Трудового Красного
Знамени сельскохозяйственного института

СЕРИЯ

ЭКОНОМИКА-ОРГАНИЗАЦИЯ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО
ПРОИЗВОДСТВА

გრომის წითელი ღროვის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის
გრომები



სერია

სასოფლო-სამეურნეო
წარმოების
ეკონომიკა-ორგანიზაცია

გ. XCV ტ.

Труды Грузинского ордена Трудового Красного
Знамени сельскохозяйственного института

СЕРИЯ

ЭКОНОМИКА-ОРГАНИЗАЦИЯ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО
ПРОИЗВОДСТВА

სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიკა-
ორგანიზაციის სერიის ტომის მასალები განხილულია
ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე და მოწონ-
ებულია შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სა-
ქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დი-
დი საბჭოს მიერ.

მთავარი რედაქტორი ვ. მეტრეველი

სარედაქციო კოლეგიის წევრები: მ. გიორგაძე, ქ. გოვიჩაშვილი
(პ/მგ. მდივანი), ლ. ებანოიძე, მ. ივანოვა, დ. კალანდაძე, ნ. ლაქუვაია-
ნი, ა. მახარაძე (მთ. რედ. მოადგილე), მ. გაფრინდაშვილი,
ი. ჯაში.



3. ზეორეზაბე

მეცნიერების პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხები
საქართველოს სსრ მაღალმთიან რაიონებში

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების ინტერესები მოითხოვენ იმ საკითხების გადაწყვეტას, რომელიც დაკავშირებულია სამეურნეო ანგარიშის დანერგვასთან, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასთან, წარმოების რენტაბელობის ზრდასთან. აღნიშნული პრობლემების მეცნიერულ დამუშავებას, ანალიზსა და განზოგადობას აქვს დიდი მნიშვნელობა.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშებას აქვს დიდი მნიშვნელობა საერთო-ეკონომიური, სახელმწიფოებრივი ღონისძიებების შესამუშავებლად (მაგ., წარმოების განლაგება, ფასწარმოქმნა და სხვ.) და მეურნეობათა ეკონომიკის ასამაღლებლად არსებულ რეზერვების გამოსამკვლავებლად. პროდუქციის წარმოების თვითღირებულების ცოდნა აუცილებელია თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს წარმოების სწორი ორგანიზაცია, დარგთა რაციონალური შეთანაწყობა და რენტაბელობის ამაღლება. პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრა, დაგეგმვა სოციალისტურ საწარმოთა სამეურნეო ანგარიშის განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობაა, ამოსავალი საწყისია წარმოების ორგანიზაციისათვის.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის აქვს უდიდესი მნიშვნელობა საწარმოს ეკონომიკის განმტკიცების საქმეში. პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. პარტიის XXV ყრილობის დირექტივებში მეთე ხუთწლიანი გეგმით დასახულია ამოცანა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. წარმოების რენტაბელობის ამაღლებისათვის.

უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში მოხდა ღრმა ეკონომიური ცვლილებები. ეს ნათლად ჩანს ეროვნულ შემოსავლის ზრდის დინამიკის განხილვით უკანასკნელი 15 წლის მანძილზე.

1960 წელს რესპუბლიკის ეროვნულმა შემოსავალმა შეადგინა 2 მილიონი 132 მილიონი მანეთი, 1970 წელს—4 მილიარდ 99 მილიონი მანეთი, ხოლო 1975 წელს—5 მილიარდ 253 მილიონი მანეთი. მნიშვნელოვნად გაიზარდა შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებითაც. მაგალითად, 1960 წელს ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული იყო 513 მანეთის ეროვნული შემოსავალი, 1975 წელს კი 1000 მანეთზე მეტი, ე. ი. გაიზარდა ორჯერ.

დიდი წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობის განვითარებაში. სოფლის მეურნეობის საშუალო-წლიური საერთო პროდუქციის ღირებულება (1965 წ. შესაბამისი პირებელ ფასებში) 1004 მლნ მანეთიდან 1956—70 წლებში გაიზარდა 1188 მლნ მანეთამდე 1971—75 წლებში [6].

1971—75 წლებში საშუალოდ წლიურად სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში დასაქმებულ ერთ საშუალო-წლიურ მომუშავეს მიერ (ფულად გამოხატულებაში) წარმოებული იქნა 1156 მანეთის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, მაშინ, როდესაც 1966—70 წლებში შესაბამისი მაჩვენებელი შეადგენდა 995 მანეთს, ხოლო 1961—65 წლებში—799 მანეთს. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ჩვენს რესპუბლიკაში 1965 წელს წარმოებული იყო მეცხოველეობის ძირითადი სახის პროდუქცია: ხორცი (ნაკლავი) 21 კგ, რძე—104 კგ, კვერცხი—68 ცალი; 1975 წელს აღნიშნული მაჩვენებლები შეადგენდნენ 27 კგ-ს, 116 კგ-ს, 112 ცალს. მნიშვნელოვნად განმტკიცდა და გაიზარდა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 1970 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სატრაქტორო პარკში ითვლებოდა 18,4 ათასი ტრაქტორი, 15698 ავტომობილი. ძრავების საერთო სიმძლავრე შეადგენდა 0,9 მლნ ცხენის ძალას. 1975 წლისათვის ითვლებოდა 20,7 ათასი ტრაქტორი, 19100 ავტომობილი, ძრავების საერთო სიმძლავრე 1,2 მლნ ცხენის ძალას უდრიდა.

1976 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობამ მიიღო მინერალური სასუქი (პირობით ერთეულზე გადაყვანით) 798 ათასი ტონა, მათ შორის აზოტოვანი—476 ათასი ტონა, ფოსფოროვანი—221 ათასი ტონა, კალიუმიანი—78 ათასი ტონა, ნაცვლად 1970 წელს შეტანილი 563, 343, 139, 41 ათასი ტონისა.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საერთო განვითარებასთან ერთად შემჩნევა ცალკეულ, მთის რაიონებში მკაცრი ბუნებრივ-ეკონომიური პირობების გამო სასოფლო-სამეურნეო წარმოების შედარებითი ჩამორჩენილობა.

უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ მაღალმთიან ზონაში წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლების საკითხების სათანადო შესწავლამ და გაანალიზებამ რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია. საქართველოს კომუნისტური პარტიის X XV ყრილობაზე აღინიშნა, რომ „საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების თავისებურებების გამო, ჩვენში განსაკუთრებით მწვავედ დგას რესპუბლიკის მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიური და სოციალური განვითარების პრობლემა. აშკარად და პრინციპულად უნდა ითქვას, რომ წარ-

შემცენარების I ც პროდუქციის თეორიკულად მანუალებზე სავალდებულო
წარმოების (მანუალები)



ჩ ა თ ნ ე ბ ა	მრავალჯერ (მისთვის ერთად)		სამწიფი		ფარები		სხვა		შეწინააღმდეგებელი			
									მეცხე		მეწიფე	
	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.
1 სასიყინო	18,6	20,7	20,0	29,2	—	—	25,2	104,3	11,8	100	17,9	29,6
2 ღებულო	9,5	8,7	9,7	13,8	43,2	29,0	17,7	17,0	20,6	8,9	9,1	9,1
3 ჟიბი	33,6	16,6	14,5	27,0	17,5	62,5	20,0	83,3	28,6	—	11,7	32,3
4 ლენკობი	8,7	7,5	11,1	—	38,5	200	8,7	50,0	4,0	—	12,4	39,4
5 ო. ნ. ა.	34,0	51,5	18,7	24,5	36,2	75,5	10,2	47,8	26,7	58,1	12,5	29,1
6 მშრომლები	24,0	20,7	12,1	16,2	31,5	45,5	15,6	43,5	11,2	11,2	19,4	76,1
7 ციფრი	48,7	65,7	13,5	17,4	29,6	34,7	72,9	23,1	4,1	12,1	—	—
8 ღებულო	76,6	131,9	20,9	23,1	63,5	64,8	19,9	34,1	87,7	80,0	24,6	33,7
9 მ. ვ. ღ. ა.	52,6	23,6	11,7	10,4	29,0	30,4	11,9	21,9	7,3	11,8	20,7	24,0
10 მუხაბი	54,6	44,3	19,7	25,3	25,4	37,4	18,9	12,3	4,4	9,7	14,3	13,2
11 ს. ვ. ღ. ა.	36,8	57,1	29,8	38,3	23,4	37,7	—	—	—	5,9	8,8	14,1
12 სიფრისი	8,6	11,3	—	—	—	—	21,7	125	9,3	34,3	10,4	17,3
13 მსოქალაქი	7,1	8,9	—	—	—	—	62,2	32	9,6	6,8	9,1	10,4
14 ფარები	7,8	9,6	9,6	27,7	44,3	15,4	20,0	57,8	3,7	6,5	7,2	12,3
საშუალო ჩატებული	9,8	8,5	13,8	17,1	28,3	31,1	14,5	23,4	12,1	18,2	10,9	13,7

შესტის წილის ჩათვლას კომპლექსივით 1975 წლისთვის გადაკეთდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთის რეგიონებისა და შვედეთის რეგიონების კომპლექსივით განხორციელდა ჩათვლა შემცენარების პროდუქციის ორ ანაბრებზე.



სულში ამ პრობლემას საერთოდ არ წყვეტდნენ და დღეს ჯერ კიდევ ვხვდებით მთიანი რაიონების ეკონომიური და სოციალური განვითარების უკმარისობის კონცეფცია. იმავე დროს თითოეული მათგანი იმდენად სერიოზულად აღიქვამდა დიფერენცირებულ მიდგომას მოიხილეს“ [3].

მთის რაიონებში სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა მსოფლიო მასშტაბის მოვლენაა. სკკპ აგარაულის პოლიტიკა იქითკენ არის მიმართული, რომ მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მთის რაიონების ეკონომიკის ისტორიული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის ეკონომიური ბერკეტები და შესაძლებლობები, აგრეთვე ამაღლდეს ამ რაიონებში სოფლის მეურნეობის მატერიალური კეთილდღეობის დონე.

ამ საერთო-სახალხო ამოცანის გადაწყვეტის საქმეში დიდი როლი ენიჭება საქართველოს სსრ მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ჩვენს რესპუბლიკაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების დონე, განსაკუთრებით მეცხოველეობაში მეტისმეტად არასახარბიელოა. ამ ფაქტზე არაერთხელ იყო გამაზვიებელი ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო ორგანოების ყურადღება. ამხ. ე. ა. შევარდნაძე საქართველოს კპ ცკ-ის XVIII პლენუმზე აღნიშნავდა, რომ „თითქმის ყველა მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბევრად აღემატება მათ შესასყიდ ფასებს და ამ მაჩვენებლის მიხედვით ჩვენ ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე ვართ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის“ [4].

მიწათმოქმედების პროდუქციის თვითღირებულების დონე და ცვალებადობა 1970—1975 წლებში საქართველოს სსრ მაღალმთიანი რაიონების საკოლმეურნეო წარმოებაში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (ცხრ. 1).

1970—1975 წლებში რესპუბლიკის და მაღალმთიანი რაიონების საკოლმეურნეო წარმოებაში უმეტესი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულებას გადიდების ტენდენცია ახასიათებდა.

უმნიშვნელოვანეს მიზეზს შემცენარეობის პროდუქციის თვითღირებულების ამაღლების საქმეში წარმოადგენდა გარკვეული შეუსაბამობა სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდასა და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ტემპებს შორის. ეს გამოწვეული იყო რიგი ფაქტორებით და უწინარეს ყოვლისა კოლმეურნე წევრთა მატერიალური დაინტერესების ამაღლების ობიექტური აუცილებლობით. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება სისტემატურად იზრდებოდა, რაც ჩანს შემდეგი მონაცემებით. მაგალითად, 1970 წელს საქართველოს სსრ-ში ერთ კაცდღეზე გაანგარიშებით კოლმეურნეზე გაცემული იქნა ფული და პროდუქტი 3,83 მანეთი, 1974 წელს კი 4,65 მანეთი. ახალქალაქის რაიონში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 3,36 მანეთს და 3,73 მანეთს, ბოგდანოვკის რაიონში—3,49 მანეთს და 4, 1 მანეთს, დუშეთის რაიონში—2,39 მანეთს და 2,99 მანეთს, დმანისის რაიონში—2,17 მანეთს და 3,41 მანეთს, თიანეთის რაიონში—1,81 მანეთს და 2,78 მანეთს, ლენინგორის რაიონში კოლმეურნის კაცდღის ანაზღაურება 1,94 მანეთიდან 1970 წელს გაიზარდა 4,97 მანეთამდე 1974 წელს.



შრომის ანაზღაურების ასეთი მკვეთრი ზრდა მოხდა ისეთ პირობებში, როცა საკოლმეურნეო წარმოებაში და განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის საწარმოებში ხელის სრულდება. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მთლიანი დანახარჯების ხვედრითი წონა მეტისმეტად მაღალია თვითღირებულების სტრუქტურაში.

ამ მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკოლმეურნეო წარმოებაში, სადაც საერთო დანახარჯებში, შრომითი დანახარჯების დიდი ხვედრითი წონის გამო, შრომის ანაზღაურების სულ მცირე გადიდებაც კი მნიშვნელოვან ვალენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების ზრდაზე, როცა კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების დონე შრომის ანაზღაურების საზოგადოებრივად აუცილებელ დონეს მიაღწევს, აუცილებელია, როგორც ეს კოლმეურნეობის ახალ სანიმუშო წესდებაშია მითითებული: „კოლმეურნეობის წევრთა შრომის ანაზღაურების ზრდა ხორციელდებოდეს შრომის ნაყოფიერების წინგამსწრები ზრდის საფუძველზე“ [5].

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების გაზრდის მიზეზი არის აგრეთვე წარმოების ინტენსიფიკაციის შედეგად მატერიალური დანახარჯების გადიდება. მიწათმოქმედებაში ინტენსიფიკაციის ეკონომიური მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ ფართობის ერთეულზე დამატებითი დანახარჯების გადიდებამ უნდა უზრუნველყოს პროდუქციის წარმოების ისეთი ზრდა, ამავე ფართობიდან, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, მაგრამ როგორც მონაცემები გვიჩვენებენ, წარმოების ინტენსიფიკაციას 1970—1975 წლებში არ შეესაბამებოდა მაღალმთიან რაიონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შესაბამისი გადიდება. მაგალითად, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა გაიზარდა მხოლოდ დუშეთის, ონის, ბოგდანოვკის, დმანისის რაიონებში და შეადგენდა 1975 წელს შესაბამისად 20,4 ცენტნერს, 6,5 ცენტნერს, 16 ცენტნერს, 15,4 ცენტნერს ნაცვლად 11,4, 4,2, 14,1, 11,1 ცენტნერისა 1970 წელს. მოსავლიანობის ზრდას ჰქონდა ადგილი სიმინდის, კარტოფილის წარმოებაში, მეხილეობასა და მევენახეობაში. მიგვაჩნია, რომ უახლოეს პერსპექტივაში წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგად წარმოების ინტენსიფიკაციისა და მოსავლიანობის ამაღლების პირობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულებას ექნება შემცირების ტენდენცია.

მაღალმთიან რაიონებში მარცვლეულის თვითღირებულების შემცირების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მარცვლეულის მოსავლიანობის და საერთო მოსავლის გადიდება. აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოებაც, რომ მეცხოველეობის შემდგომი განვითარება მთიანეთში შეიძლება ეყრდნობოდეს ადგილობრივი მარცვლეულის წარმოების მტკიცე ბაზას. ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სიმინდისა და ქერის წარმოებას, რომლებიც მეცხოველეობისათვის კონცენტრირებულ საკვებს იძლევიან.

მარცვლეულის წარმოების პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება სკკპ XXV



ყრილობამ. ყრილობის დირექტივებში მითითებულია, „მიწათმოქმედებაში უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყოველნაირად გავზარდოთ მარცვლეული-ფრ-
მოება, უფრო მყარი გავზადოთ სამარცვლე მეურნეობა. საუკეთესო უწყვეტ-
სტრუქტურის სრულყოფის, მოსავლიანობის ზრდის, მინერალური და ორგანუ-
ლი სასუქების ეფექტიანი გამოყენების, მელიორირებულ მიწებზე და საკმარი-
სი ტენიანობის რაიონების მიწებზე ნათესების მაქსიმალური გაფართოების,
უზვმოსავლიანი ჭიშებისა და ჰიბრიდების დანერგვის, მარცვლეულის კულტუ-
რების თესვა-მოყვანის აგროტექნიკის გაუმჯობესების საფუძველზე“ [1].

მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება მარცვლეული კულტურების მო-
სავლიანობის გადიდების აუცილებელი პირობაა. მიწათმოქმედების კულტურა
ყალიბდება აგრონომიული და ორგანიზაციული ღონისძიებებისაგან, რომელიც
მიმართულია ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებისა და ამაღლებისაგან და
აქედან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გა-
დიდებისაგან. ამ კომპლექსის საფუძველია მეცნიერულად დასაბუთებული
თესლობუნებები, რასაც მომავალში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ჩვენი
რესპუბლიკის პირობებში.

თითოეულ რაიონში და სასოფლო-სამეურნეო საწარმოში მიწათმოქმედ-
ების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემები მოითხოვს, როგორც წესი, კაპი-
ტალურ დაბანდებათა და მიმდინარე საწარმოო დანახარჯების გადიდებას. ამას-
თან ერთად ცალკეული ღონისძიებები, რომლებიც განსაზღვრავენ მიწათმოქ-
მედების მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემას, არ მოითხოვს მეურნეობისა-
გან დამატებით დანახარჯებს, მაგრამ მათი დანერგვით უზრუნველყოფილი
იქნება მარცვლეული კულტურების პროდუქციის წარმოების გადიდება. თი-
თოეულ მეურნეობაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ასეთი სახის აგროტექ-
ნიკური ღონისძიებების განხორციელებაზე.

მარცვლეულის წარმოებაში თვითღირებულების მაღალი ღონის მიზეზია
მარცვლეულის ნათესების კონცენტრაციის შედარებით დაბალი ღონე. როგორც
მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, 1975 წელს ერთ კოლმეურნეობაზე საშუა-
ლოდ მოდიოდა საშემოდგომო მარცვლეულის ნათესი ფართობი: ახალქალაქის
რაიონში დაახლოებით 80 ჰა, ბოგდანოვკის რაიონში—20 ჰა, დმანისის რაიონ-
ში—95 ჰა, ამბროლაურის რაიონში — 20 ჰა. აღნიშნული გარემოება სხვა ხელ-
შემშლელ პირობებთან ერთად მეტად აიწვლავს წარმოების მექანიზაციის
მარცვლეულის მეურნეობაში.

საკვლევი რაიონების საკოლმეურნეო წარმოებაში 1970—1975 წლებში
სამარცვლე სიმიდის ნათესი ფართობი მცირდება. მაგალითად, თიანეთის რაი-
ონში სიმიდის ფართობი შემცირდა 416 ჰა-დან 192 ჰა-მდე, ონის რაიონში—
1314 ჰა-დან 925 ჰა-მდე. ანალოგიურად თითქმის ორჯერ შემცირდა სიმიდის
ნათესი ფართობი ცაგერის, ლენტეხის, ხულოს, შუახევის რაიონების კოლ-
მეურნეობებში.

სამწუხაროდ, მე-9 ხუთწლედში მესიმიდნეობაში არ იყო გამოყენებული
ყველა რეზერვი მოსავლიანობის ამაღლებისა და თვითღირებულების შესამცირ-
ებლად, აგროტექნიკურ ღონისძიებათა დაბალი ღონისა და ბუნებრივი პირო-
ბების გამო სიმიდის მოსავლიანობა და თვითღირებულება მთიანი რაიონების



რივ რაიონებში ბევრად ჩამორჩებოდა რესპუბლიკის შესაბამის მაჩვენებლებს. მაგალითად, 1975 წელს საშუალოდ თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებს ცენტრერი სიმიონის მოყვანა დაუჯდათ 29,2 მანეთი, ონის კოლმეურნეობებს—24,5 მანეთი, ხულოს რაიონის კოლმეურნეობებს—38,3 მანეთი, შუაქვეის რაიონის კოლმეურნეობებს—25,3 მანეთი. როგორც პირველ ცხრილიდან ჩანს, თვითღირებულების მიხედვით შედარებით კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ დუშეთის, ამბროლაურის, ცაგერის, ქედის რაიონებს, სადაც შედარებით მაღალი იყო სიმიონის მოსავლიანობა და შესაბამისად შეადგენდა 15,0, 12,0, 15,0, 9,7 ცენტერს.

XV ყრილობის დირექტივების პრაქტიკაში რეალიზაციისათვის მაღალმთიან რაიონებში მარცვლეულის წარმოება მომავალში ინტენსიფიკაციისა და კონცენტრაციის გზით უნდა წარიმართოს.

როგორც სხვა რესპუბლიკის მთიანი მხარეებისათვის, საქართველოს სსრ მაღალმთიანი რაიონების სოფლის მეურნეობის ძირითადი პრობლემაა მცირე მასივების მიწათა დაქსაქსულობის ნაწილობრივი ლიკვიდაცია და ისეთი აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს დამუშავებული მიწების სტრუქტურის აღდგენას და ეროზიული პროცესების შეჩერებას. ამ მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მრავალწლიანი ნარგავების ფართობის ზრდას.

უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ მაღალმთიან რაიონებში გაიზარდა მრავალწლიანი ნარგავების ფართობი. მაგალითად, ამბროლაურის რაიონში საკოლმეურნეო ვენახის ფართობი 1975 წელს შეადგენდა 504 ჰა-ს, ონის რაიონში—203 ჰა-ს, ცაგერის რაიონში — 625 ჰა-ს, ქედის რაიონში—235 ჰა-ს, ხულოს რაიონში—58 ჰა-ს, შუაქვეის რაიონში—110 ჰა-ს.

ხილის ფართობის მკვეთრ გადიდებას ჰქონდა ადგილი სამხრეთ საქართველოს მთიან რაიონებში, ამას მოწმობს შემდეგი მონაცემები: კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხილკენკროვანთა ნარგავები შეადგენდა ახალქალაქის რაიონში 1966 წელს 93 ჰა-ს, 1973 წელს—125 ჰა-ს, ბოჯდანოვის რაიონში შესაბამისად — 15 და 76 ჰა-ს [7].

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მაღალმთიან რაიონებში და განსაკუთრებით რაჭა-ლეჩხუმში ვენახების ფართობების ხვედრითი წონა რესპუბლიკის მიმართ თანდათან კლებულობს. ეს გამოწვეულია იმით, რომ რესპუბლიკის საკოლმეურნეო წარმოებაში ვენახების ზრდის ტემპი უფრო მაღალია, ხოლო მთიან რაიონებში მიწის ფართობების სიმცირისა და მექანიზაციის დაწერგვის სიძნელეების გამო ასეთი ზრდა შეზღუდულია. ვენახის ფართობები სრულიად უმნიშვნელოა ლენტეხის, ჯავის, მესტიის რაიონებში, რაც იწვევს ამ რაიონებში ყურძნის თვითღირებულების გაუმართლებელ მაღალ დონეს.

მაღალმთიანი რაიონების სოფლის მეურნეობის მუშაკებს მომავალში მეტი ყურადღების დათმობა მოუხდებათ მევენახეობასა და მეხილეობაში მექანიზაციის დონის ამაღლების საკითხებზე.

მრავალწლიანი ნარგავების პროდუქციის წარმოების თვითღირებულების შემცირებისათვის საუკეთესო რეზერვა ფერდობებზე გაშენებული მრავალ-



წლიანი ნარგავების რიგთაშორისების დასამუშავებლად სასუქისა და სხვა ტვირთის ტრანსპორტირებისათვის საბაგრო-წვევითი ტექნიკის გერმანული კომპლექტის მანქანათა კომპლექტი შემუშავებულია საქართველოს სსრ-ის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში [8].

აღნიშნული ღონისძიების გამოყენება სხვა ფაქტორების გამოყენებასთან ერთად რესპუბლიკის მთიანეთის სოფლის მეურნეობაში ხელს შეუწყობს მექანიზაციის საშუალო ღონის ამაღლებას 15-დან 40 პროცენტამდე 1980 წელს, რაც საბოლოო ჯამში ამ რეგიონის სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერებას გაზრდის სამჯერ და აქ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხვედრითი წილი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქციაში მეათე ხუთწლედს დამლევს გაიზრდება 15-დან 30%-მდე [9].

მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობებისათვის, განსაკუთრებით კავკასიონის მხარეში და აჭარის მაღალმთიან რაიონებში შრავალწლიანი ნარგავების ფართობის გადიდება უნდა ხდებოდეს ძირითადად ახალი მიწების, მემინდვრეობისათვის გამოუყენებელი დაქანებული ფერდობებისა და ბუჩქნარების ათვისების და არანათესი ფართობების ხარჯზე.

სოფლის მეურნეობაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირების და წარმოების რენტაბელობის ამაღლების ფაქტორი იქნება წარმოების კონცენტრაცია, რომელიც დაკავშირებულია სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან და განაპირობებს კომბინირებისა და კოოპერირების განვითარებას, აგრეთვე საწარმოთა სპეციალიზაციის გაღრმავებას. ამხანაგი ლ. ი. ბრეცენვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1976 წლის 25 ოქტომბერს მიუთითებდა: „სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლების, ხარისხობრივი მაჩვენებლების შემდგომი გაუმჯობესების ამოცანების გადაწყვეტაში, უეჭველია, დიდ როლს შეასრულებს სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარება. აქ წარმოების მოცულობის ზრდის, შრომის ნაყოფიერების მკვეთრი გადიდების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების უზარმაზარი შესაძლებლობანი გვაქვს“ [1].

საბჭოთა აგრარული მეცნიერების მიერ დასაბუთებულია და სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრაქტიკით დადასტურებულია, რომ მემცენარეობის დარგების ოპტიმალურ სიდიდემდე გაზრდის დამახასიათებელი თავისებურებაა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. აგრარულ-სამრეწველო კომპლექსების შექმნა მაღალმთიან რაიონებში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა იქნება.



ВОПРОСЫ СНИЖЕНИЯ СЕБЕСТОИМОСТИ ПРОДУКЦИИ РАСТЕЛЕВОДСТВА
В ВЫСОКОГОРНЫХ РАЙОНАХ ГРУЗИНСКОЙ ССР


Резюме

В процессе производства сельскохозяйственных продуктов затрачивается живой и прошлый труд. Совокупность затрат живого труда расходоуемого на создание продукта и прошлого труда, ошественственного в средствах производства, составляют издержки производства.

В статье даётся анализ себестоимости продукции земледелия в колхозах в высокогорных районах Грузинской ССР сопоставлены показатели себестоимости колхозной продукции различных районов. Особое внимание уделяется в этих районах увеличению производства зерновых культур и продукции многолетних насаждений.

ლიტერატურა — Литература

1. ლ. ი. ბრეცენევი. სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1976 წლის 25 ოქტომბერს. თბ., საბჭოთა საქართველო, 1976, გვ. 21—22.
2. სკკპ XXV ყრილობა, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი. თბ., 1976, გვ. 58—59.
3. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის აშხ. ე. ა. შუვარდნაძის მოხსენება, 1976 წლის 22 იანვარს. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, თბ., 1976, გვ. 60.
4. საქართველოს შუშლია გახდეს და უნდა გახდეს კიდევ მალაღანეთარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა. აშხ. ე. ა. შუვარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1975 წლის 12 სექტემბერს (გაზ., ახალგაზრდა კომუნისტი, 16 სექტემბერი 1975).
5. კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის მასალები.
6. Грузинская ССР в цифрах в 1975 году. Тбилиси, 1976 г., стр. 90, 116.
7. საქართველოს სამხრეთ ეკონომიური რაიონი. მეცნიერება, 1976.
8. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის თეზისები (1976 წ. 30 ოქტომბერი, ქ. ონი), თბ., 1976.
9. ი. ხოხლოვი. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და მისი დაჩქარების გზები სოფლის მეურნეობაში. თბ., 1976, გვ. 19.



ა. შირობაძე

წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმის საკითხისათვის

განვითარებული სოციალიზმის პირობებში საწარმოო ძალთა გამოყენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიურ მაჩვენებელს წარმოების ეფექტიანობის დონე წარმოადგენს. ამიტომ ეკონომიური მეცნიერებისათვის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის დონის შეფასების ძირითადი მაჩვენებლის ე. წ. კრიტერიუმის საკითხი იყო და არის წარმოების ეფექტიანობის განსაზღვრის თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემის ყველაზე ცენტრალური საკითხი.

ეკონომიურ მაჩვენებელთა სისტემაში თუ რომელი მაჩვენებელი უნდა იქნეს მიჩნეული საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმად სოციალიზმის დროს, ამ საკითხზე ჩვენ ვიზიარებთ იმ საბჭოთა ეკონომისტების აზრს, რომლებიც წარმოების ეფექტიანობის დონის შეფასებას უკავშირებენ სოციალისტური წარმოების მიზანს და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლად (კრიტერიუმს) ქვეყნის ეროვნულ შემოსავალს მიიჩნევენ.

მართალია, სოციალისტურ საზოგადოებაში ისევე, როგორც ყველა სხვა საზოგადოებაში, წარმოების საბოლოო შედეგს, პირველ რიგში, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის (მხედველობაში გვაქვს ერთობლივი პროდუქტის ფიზიკური და ღირებულებითი ფორმა) მოცულობა გვიჩვენებს. „მთლიანი ამონაგები, ანუ ბრუტო პროდუქტი,—წერს ე. მარქსი,—მთელი კვლავწარმოებულ პროდუქტია“, მაგრამ მთლიანი პროდუქციის მოცულობის მიხედვით საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შეფასება, მართებულად არ მიგვაჩნია შემდეგი მიზეზების გამო:

მთლიან პროდუქტიაში, თუ წარმოების ეფექტს მიღებული პროდუქციის ფიზიკური მოცულობის მიხედვით შევაფასებთ, შედის წინა პერიოდში წარმოებული და მიმდინარე კვლავწარმოების ციკლში გამოყენებული წარმოების საშუალებანი, ხოლო თუ ღირებულებების მიხედვით შევაფასებთ, მაშინ მთლიანი პროდუქტია უნდა განვიხილოთ როგორც წარსული (მომხარებელი წარმოების საშუალებათა ღირებულება) და ახლად შექმნილი ღირებულების ჯამი და არა როგორც მარტო მიმდინარე საწარმოო ციკლში შექმნილი ღირებულება. ამიტომ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამოსავალ წერტილად, რა თქმა უნდა, ერთობლივი პროდუქტის ნივთობრივი ფორმა უნდა მივიჩნიოთ.



საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ადამიანთა სამეურნეო საქმიანობაში ნივთობრივ ფორმას ღებულობს და ეს ნივთობრივი ფორმა (სახმარი ღირებულებათა ერთობლივი წარმოდგენა) ეფექტიანობის თვალსაზრისით, არის ქვეყნის ეროვნული შემოსავლის წყარო. ღებულობს და მისი შესატყვისი წარმოების საშუალებანი და მოხმარების საგნები.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოების მარქსისტული თეორიის მიხედვით, რომლის შემადგენელი ნაწილია ეროვნული შემოსავლის თეორია, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის განსახლერული ნაწილი, კერძოდ ის ნაწილი, რომელიც განიეთებული შრომის ან ვადატანილი ღირებულების სახით არსებობს, ყოველთვის მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში გაცვეთილი იარაღებისა და დახარჯული შრომის საგნების განახლებას უნდა მოხმარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხერხდება დახარჯული წარმოების საშუალებათა აღდგენა.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის დარჩენილი ნაწილი (ზემოთ აღნიშნული გამოქვეითებით), ანუ ახლად შექმნილი ღირებულება, მარტივი კვლავწარმოების შემთხვევაში მხოლოდ მოხმარებისათვის არის გამიზნული და ნატურალური ფორმით მოხმარების საგნების ერთობლიობას წარმოადგენს. გაფართოებული კვლავწარმოების შემთხვევაში ახლად შექმნილი ღირებულება და შესაბამისად მისი შესატყვისი პროდუქტები მოხმარებასთან ერთად დაგროვებას ითვალისწინებს და ამიტომ ნატურალური ფორმის მიხედვით ისინი მოხმარების საგნებისა და წარმოების საშუალებისაგან შედგებიან.

„თუ საქმეს მთელი საზოგადოების თვალსაზრისით განვიხილავთ.—წერს კ. მარქსი,—ყოველთვის ადვილი უნდა ჰქონდეს ნამეტ წარმოებას, ე. ი. წარმოებას უფრო დიდი მასშტაბით, ვიდრე საჭიროა არსებული სიმდიდრის უბრალო, ანაზღაურებისა და კვლავწარმოებისათვის“ [1]. მაშასადამე, საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელია არა მარტო მარტივი, არამედ გაფართოებული კვლავწარმოება. ამიტომ წარმოების შედეგი ერთობლივი პროდუქტის სახით გაწეულ ხარჯებთან შედარებით ყოველთვის გადამეტსაც უნდა შეიცავდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა რომ შევადგასოთ, საჭიროა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებას გამოვაკლოთ მოხმარებული წარმოების საშუალებათა ღირებულება ან სახმარ ღირებულებათა მთლიანი მასიდან გამოვიციხოთ წინა წლებში შექმნილი სახმარი ღირებულებანი. დარჩენილი ნაწილი იქნება ახალი ღირებულება (შესატყვის სახმარ ღირებულებათა მასა), ანუ წარმოების პროცესში დახარჯული მატერიალური და შრომითი ღირებულების გადანამეტი ზედმეტი პროდუქტის ჩათვლით. კ. მარქსი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ამ ნაწილს მთლიან შემოსავალს უწოდებს და აღნიშნავს,—„მთლიანი შემოსავალი არის ღირებულების ის ნაწილი და მისი შემეგობით ვაზომილი ბრუტო-პროდუქტის ანუ მთლიანი პროდუქტის ის ნაწილი, რაც რჩება ღირებულებისა და მისი შემ-



ვეობით გამოძილი მთელი წარმოებული პროდუქტის იმ ნაწილს გამოტყობს შემდეგ, რომელიც ანაზღაურებს წარმოებაში ავანსებულ და მოხმარებულ მუდმივ კაპიტალს. მაშასადამე, მთლიანი შემოსავალი უდრის ხელფასს [ქონს უფასო] დუქტის იმ ნაწილს, რომლის დანიშნულებაა ხელახლა მეშის შექმნა [ქონს უფასო] + მოგება + რენტა“.

ფ. ენგელსი ერთობლივი პროდუქტის ამ ნაწილს კაცობრიობის ყოველგვარი პროგრესის საფუძვლად აღიარებს და აღნიშნავს, რომ „შრომის პროდუქტის გარდამეტი შრომის შენახვის ხარჯებთან შედარებით და საზოგადოებრივ საწარმოო და სარეზერვო ფონდის შექმნა და დაგროვება ამ გარდამეტიდან ყოველი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ინტელექტუალური პროგრესის საძირკველი იყო და არის“.

მარქსისა და ენგელსის ამ დებულებებიდან ნათლად ჩანს, რომ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებელი—კრიტერიუმში არის ეროვნული შემოსავალი და მისი შესატყვისი მოხმარების სავნები და წარმოების საშუალებანი. ამიტომ, სავსებით მართებულად მიუთითებენ ცნობილი საბჭოთა ეკონომისტები ტ. ხაჩატუროვი, ა. ნოტკინი და სხვები, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში მშრომელი მასების მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილების და საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი განვითარების ერთადერთი წყარო ქვეყნის ეროვნული შემოსავალია. მაშასადამე, ეროვნული შემოსავალი არის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ყველაზე ზოგადი, ყველაზე სრულყოფილი მაჩვენებელი. ეროვნულ შემოსავალში ასახულია ეკონომიკის განვითარების მიღწეული დონე, შრომის ტექნიკური შეიარაღების, შრომის ნაყოფიერებისა და ბუნებრივ-ეკონომიური რესურსების გამოყენების ხარისხი და ა. შ. მასში არააირდაპირი გზით აისახება აგრეთვე მეცნიერების, განათლების, მმართველობისა და საზოგადოებრივი მომსახურების სფეროს გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, არ შეიძლება არ გავიზიაროთ ცნობილი საბჭოთა მკვლევარის ა. ნოტკინის აზრი იმის შესახებ, რომ ეროვნულ შემოსავალში და მის ზრდაში აისახება სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნა. იგი წერს:

„სოციალისტური კვლავწარმოების ურღვევი კანონი არის ეროვნული შემოსავლის ფიზიკური მოცულობის, როგორც ხალხის ფართო მასების კეთილდღეობისა და სოციალისტური წარმოების გაფართოების წყაროს, რაც შეიძლება მეტი მოცულობით წარმოება“.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის სხვა მაჩვენებლებთან (მთლიანი და სასაქონლო პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის ფონდტევადობა) შედარებით ეროვნული შემოსავალი თავისუფალია განმეორებითი აღრიცხვისაგან. მის სიდიდეზე გავლენას ვერ ახდენს პროდუქციის მასალატევადობა, მაშინ, როცა მთლიან პროდუქციაში და შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელში გვერდს ვერ ვუვლით პროდუქციის განმეორებით აღრიცხვას. ცნობილია, რომ შრომის ნაყოფიერებაზე არასწორ წარმოდგენას გვაძლევს პროდუქციის მასალატევადობა. საქმე იმაშია, რომ იმ საწარმოებში, რომლებიც ძვირადღირებულ ნედლეულს ამუშავებენ, მუშახელის თანაბარი რაოდენობის შემთხვე-

ვამი, შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი მაღალია და, პირიქით, იმავე დროს ნობის იაფი ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებში შრომის ნაყოფიერება დაბალი იქნება. ასევე არ შეიძლება სხვადასხვა დარგების უფრო მეტად შრომის ნაყოფიერების მიხედვით.

ბიზნისისეკ

„უაზრობაა, — წერს კ. მარქსი, — ვილაპარაკოთ წარმოების ორი სხვადასხვა დარგის უფრო მეტ თუ ნაკლებ მწარმოებლობაზე ამ დარგების საქონელთა ღირებულების უბრალო შედარების საფუძველზე“.

ეროვნული შემოსავლის, როგორც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმის „ნაკლი“ (თუ ამ „ნაკლს“ მას მივაწერთ და არა აღრიცხვის მოქმედ წესს) ის არის, რომ აღრიცხვისა და ანგარიშგების საბუთთა პრაქტიკა სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის მიხედვით, პირველ რიგში, საწარმოებისა და ცალკეული დარგების მიხედვით, არ იძლევა ეროვნული შემოსავლის სწორად გაანგარიშების შესაძლებლობას. საქმე იმაშია, რომ ეროვნული შემოსავლის გაანგარიშება სსრ კავშირში წარმოებს ე. წ. წარმოებითი მეთოდის გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი არის ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების ყველაზე სწორი მეთოდი, მას გააჩნია ზოგიერთი ნაკლი. რაც უარყოფით გავლენას ახდენს ეროვნული შემოსავლის სწორად გაანგარიშებაზე, სახელდობრ:

პირველი, ბრუნვის გადასახადი, რომელიც ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში შედის არა მარტო საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების ადგილის მიხედვით, არამედ რეალიზაციის ადგილის მიხედვითაც, რის გამოც შეუძლებელია მოკავშირე რესპუბლიკებში და ცალკეულ ეკონომიურ რაიონებში წარმოებული ეროვნული შემოსავლის სწორად გაანგარიშება.

მეორე, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ჩამოყალიბებული საწარმოო კავშირურობის შესაბამისად ადგილი აქვს განსაზღვრული რაოდენობის პროდუქციის შეტანას და აგრეთვე გატანას, მაგრამ პროდუქციის საწარმოო საბითუმო ფასების წარმოების დანახარჯებისაგან მნიშვნელოვანი გადახრის გამო არასწორად აღირიცხება ეროვნული შემოსავლის შესატყვისი (შეტანილი ან გატანილი) ნაწილი.

მესამე, ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, რომელიც იწარმოება მოსახლეობის დამხმარე მეურნეობებში, ზუსტად არ აღირიცხება და აგრეთვე მათი რეალიზაციის ადგილი არ ემთხვევა წარმოების ადგილს, რაც გავლენას ახდენს ეროვნული შემოსავლის წარმოების ადგილის მიხედვით აღრიცხვაზე.

მაგრამ ეს ისეთი საკითხებია, რომლებიც თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დროს, ეკონომიურ გამოკვლევებში გამოთვლითი ტექნიკისა და მათემატიკური მეთოდების ფართოდ გამოყენების პირობებში ადვილად უნდა გადაიჭრას და შესაძლებელი გახდეს ეროვნული შემოსავლის სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში წარმოების ადგილის მიხედვით აღრიცხვა. ეს უკანასკნელი თავის მხრივ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის სწორად შეფასების საფუძველი იქნება.

ამჟამად ბრუნვის გადასახადი სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ გაიანგარიშება მისი წარმოებისა და რეალიზაციის აგვის-ლის მიუხედავად და შემდეგ ნაწილდება მოკავშირე რესპუბლიკებს. მოკავშირე დარგებში დასაქმებული მუშახელის პროპორციულად, რომელზეც მოკავშირე-ზე იანგარიშება აღნიშნული გადასახადი. ბრუნვის გადასახადის წარმოების აღ-ვილის მიხედვით აღრიცხვა კი დიდად შეუწყობს ხელს წარმოების ეფექტიანო-ბის სწორად განსაზღვრას და ეფექტიანობის ამოღების ღონისძიებათა შემუ-შავებას.

ეროვნულ შემოსავალს, როგორც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტია-ნობის კრიტერიუმს, რიგი ავტორი შრომის ნაყოფიერების კატეგორიას უპირის-პირებს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შრომის ნაყოფიერება, მიუხედავად მისი დიდი ეკონომიური მნიშვნელობისა, წარმოების ეფექტიანობის ძირითადი კრიტერიუმი არ არის.

საქმე იმაშია, რომ წარმოების საბოლოო შედეგი (ეფექტი) როგორც ნიუთ-ობრივი, ისე ლირებულებითი ფორმით, მარტო ადამიანის შრომის შედეგი არ არის. შრომითი პროცესის შედეგის აუცილებელ სუბსტანტს ბუნების ნივთები და წარმოების ბუნებრივი საშუალებანი (მიწა, წიაღისეული) შეადგენს, ამას-თან დაკავშირებით კ. მარქსი წერს, — „შრომის შესახებ, რამდენადაც იგი სახმარ ლირებულებას აწარმოებს, შეცდომაა იმის თქმა, რომ იგი მის მიერ წარმოშობი-ლი სახელდობრ მატერიალური სიმდიდრის ერთადერთი წყაროა. რადგან შრო-მა ისეთი საქმიანობაა, რომელმაც ნივთიერება ამა თუ იმ მიზანს უნდა შეუ-გუოს — იგი საჭიროებს ნივთიერებას როგორც წინამძღვარს. სხვადასხვა სახმარ ლირებულებაში პროპორცია შრომისა და ბუ-ნების ნივთიერებას შორის მეტად სხვადასხვაა, მაკ-რამ სახმარო ლირებულება მაინც ყოველთვის შეიცავს ბუნებრივ სუბსტანტს“.

მაშასადამე, სახმარო ლირებულება შრომის მეშვეობით ბუნების ნივთიერე-ბისადმი ან წინათ დახარკულ შრომის ნივთიერი ფორმისათვის ახალი სახმარო ლირებულების შინაარსის მიცემას გულისხმობს, წინააღმდეგ შემთხვევაში წარ-მოებას არავითარი აზრი არა აქვს. „თუ ვინმე ისეთ საგანს ამზადებს, აღნიშნავს ფ. ენგელსი, რომელსაც არავითარი სახმარო ლირებულება არა აქვს სხვებისათ-ვის მთელი მისი ძალა ერთ ატომ ლირებულებასაც ვერ შექმნის“. ამრიგად, წარ-მოების ეფექტიანობა უწინარეს წარმოებულ სახმარო ლირებულების ფორმით უნდა განვიხილოთ.

ამასთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის (შესაბამისად ეროვნული შემოსავ-ლის) ზრდა მხოლოდ და მხოლოდ მატერიალური წარმოების სფეროში დასაქ-მებული სამუშაო ძალისა და შრომის ნაყოფიერების დონეზე დამოკიდებული. მართალია, მატერიალური დოვლათის შექმნის საფუძველი სამუშაო ძალაა წარ-მოების საშუალებებთან ერთად, მაგრამ საწარმოო ძალთა განვითარების თანა-მედროვე ეტაპზე და პერსპექტივაში უპირატესობა შრომის ნაყოფიერების ფაქ-ტორს ენიჭება. ამას ნათლად ვეჩვენებს შრომის ნაყოფიერების ზრდის შე-დეგად ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის გადიდების მოწინავეები.

სსრკ მატერიალური წარმოების ეფექტიანობის ზრდის საფუძველია სამუშაო ძალისა და შრომის ნაყოფიერების დონეზე დამოკიდებული. მართალია, მატერიალური დოვლათის შექმნის საფუძველი სამუშაო ძალაა წარმოების საშუალებებთან ერთად, მაგრამ საწარმოო ძალთა განვითარების თანამედროვე ეტაპზე და პერსპექტივაში უპირატესობა შრომის ნაყოფიერების ფაქტორს ენიჭება. ამას ნათლად ვეჩვენებს შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის გადიდების მოწინავეები.



ასე, მაგალითად, VIII ხუთწლეულში VII ხუთწლეულთან შედარებით, ეროვნული შემოსავალი 41%-ით გაიზარდა, აქედან ზრდის 73% მიღებულ იქნა შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე. IX ხუთწლეულში VIII ხუთწლეულთან შედარებით ეროვნული შემოსავალი გაიზარდება 37—40%-ით. აქედან უნდა იქნეს ნამატის 80—85%.

მაშასადამე, საზოგადოებრივი წარმოების საბოლოო შედეგი (შედეგი—ერთობლივი პროდუქტის სახით, ხოლო მიმდინარე საწარმოო ციკლის ეფექტი—ეროვნულ შემოსავლის სახით) დამოკიდებულია საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების დონესა და ტემპზე. მაგრამ, თუ შრომის ნაყოფიერებას მივიჩნევთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ძირითად კრიტერიუმად, მაშინ გამოდის, რომ ერთობლივი პროდუქტის ზრდის ფაქტორი თვით იქცა შედეგად, რაც შეუძლებლად მიგვაჩნია ისევე, როგორც არ შეიძლება შრომის ნაყოფიერების ფაქტორები შრომის ნაყოფიერების შედეგად მივიჩნიოთ, ასევე არ შეიძლება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ფაქტორები, ამ შემთხვევაში შრომის ნაყოფიერება, წარმოების ეფექტიანობის შედეგად მივიჩნიოთ.

ამავე დაშვების შემთხვევაში გაუგებარი იქნება წარმოების საბოლოო შედეგი რომელი ფაქტორის, სამუშაო ძალის რაოდენობის გადიდებით, თუ შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად იქნა მიღებული, მაშინ, როცა საბოლოო შედეგი, მათ შორის ეფექტი, ორივე ფაქტორის ერთობლივი მოქმედების შედეგს წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ეროვნული შემოსავალი არის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მთავარი კრიტერიუმი, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონისა მოთხოვნილების განხორციელების ერთადერთი მატერიალური საფუძველი.

К. А. МИРОТАДЗЕ

К ВОПРОСУ О КРИТЕРИИ ЭФФЕКТИВНОСТИ ОБЩЕСТВЕННОГО ПРОИЗВОДСТВА

Резюме

В работе обосновывается, что в социалистическом обществе критерием эффективности общественного производства, в том числе сельскохозяйственного производства, является национальный доход.

Среди других категорий социализма национальный доход наиболее точно показывает уровень функционирования и конечный результат общественного производства, экономическую эффективность использования имеющихся материальных и трудовых ресурсов.

Национальный доход, как известно, это вновь созданная стоимость.

который свободен от повторных счетов, т. е. от стоимости прошлого труда овеществленного в средствах производства.

Национальный доход является также основным источником улучшения материально-культурной жизни трудящихся и расширенного социалистического воспроизводства.

ლიტერატურა — Литература

1. კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. II, თბ., 1959.
2. კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. 2, თბ., 1957.
3. ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი. თბ., 1952.
4. კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები, 4, ნაწ. I, თბ., 1968.
5. კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. თბ., 1953.
6. სკკბ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971.
7. Жри. Вопросы экономики, № 8, 1966.
8. Жри. Вопросы экономики, № 4, 1971.



ნ. კახნიძე

**ძირითადი საწარმოო ფონდების ეფექტიანობა და კაპიტალდაბანდების დაფინანსება
 მევენახეობის საბოთა მეურნეობებში**

ამხ. ლ. ი. ბრევენემა სკკ XXIV ყრილობაზე თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ახლა უდიდესი ეკონომიური პოტენციალი აქვს და ჩვენი მეურნეობის ეფექტიანობა სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იყენებენ ამ პოტენციალს და უწინარეს ყოვლისა მოქმედ საწარმოო ფონდებს. მათი გამოყენების გაუმჯობესება და ფონდუქუვების გადიდება ამჟამად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება.

ამდენად, ძირითადი ფონდების განუხრელი ზრდა, მისი ეკონომიური ეფექტიანობის ზრდასთან ერთად, მეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცების საფუძველია. საკითხის ანალიზის თვალსაჩინოებისათვის საკვლევი საბჭოთა მეურნეობები დაჯგუფებული გვაქვს პირობითად სრულ სამეურნეო ანგარიშზე მათი გადაყვანის წლების (1968, 1969, 1970 და 1971 წწ.) მიხედვით და შეადგენს ოთხ ჯგუფს, მეხუთე ჯგუფს კი წარმოადგენს დანარჩენი შესადარი საბჭოთა მეურნეობები.

კონკრეტული მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საბჭოთა მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე მუშაობის პერიოდში ძირითადი ფონდები უმეტესად იზრდება საწარმოო დანიშნულების ფონდების ხარჯზე, რაც დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ მევენახეობის ყველა 17 საბჭოთა მეურნეობაში იგი გაიზარდა 23,2%-ით, მათ შორის, პირველი ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებში—34,3%, მეორე ჯგუფში—52,4%-ით, მესამე ჯგუფში—18,1%-ით, მეოთხეში—24,8%-ით, ხოლო შესადარ მეხუთე ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებში კი 43,1 პროცენტით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი საწარმოო ფონდების მოცულობის ზრდა სტაბილურია სრულ სამეურნეო ანგარიშის წლებში და 1973 წლისათვის წინა პერიოდის 3 წლის საშუალოსთან შედარებით გაიზარდა პირველი ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებში—43,3%-ით, მეორე ჯგუფში—57,9%-ით, მესამე ჯგუფში—20,3%-ით, მეოთხეში—25,0%-ით, ხოლო შესადარ მეხუთე ჯგუფში—64,9 პროცენტით.

მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში ფონდალქურვილობისა და შრომის შეიარაღების დონე მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდება. თუმცა შესადარ მეხუ-



თე ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებში ეს მაჩვენებელი უფრო მეტად ეხრება ვიდრე სრულ სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე საბჭოთა მეურნეობებში მიღებული აბისა, ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად უკეთესი ეკონომიკური მაჩვენებლებით ხასიათდება, ვიდრე მეხუთე ჯგუფის საბჭოთა მეურნეობები, რაც უსათუოდ მიუთითებს სრული სამეურნეო ანგარიშის უპირატესობაზე.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ძირითადი საწარმოო ფონდებით აღჭურვის დონე მეორე და მეხუთე ჯგუფების საბჭოთა მეურნეობებში მკვეთრად განსხვავდება სხვა ჯგუფებისაგან. კერძოდ, მეორე ჯგუფში ეს მაჩვენებელი 2-ჯერ და უფრო მეტად აღემატება, ხოლო მეხუთე ჯგუფში 2-ჯერ და უფრო მეტად ჩამორჩება სხვა ჯგუფების მაჩვენებელს. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ძირითადი საწარმოო ფონდები მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებს შორის მიუხედავად ერთნაირი საწარმოო მიმართულებისა, ერთობ უთანაბროდაა განაწილებული. ძირითადი ფონდების დაუსაბუთებელი და მექანიკური განაწილება, სათანადო გაანგარიშებების გარეშე, განაპირობებს, რომ დიდი ფართობის მქონე საბჭოთა მეურნეობებში მიწის ერთეულზე მოდის ნაკლები საწარმოო საშუალებანი, ვიდრე ნაკლები ფართობის მქონე მეურნეობებში. ერთნაირი საწარმოო მიმართულების საბჭოთა მეურნეობების ძირითადი საწარმოო ფონდებით აღჭურვაში მკვეთრი განსხვავება, არც ერთ შემთხვევაში არ არის გამართლებული და მიუთითებს იმაზე, რომ გაფართოებული კვლავწარმოებისათვის საწარმოო საშუალებათა განაწილება ხდება მექანიკურად.

ძირითადი საწარმოო ფონდების ეკონომიური ეფექტიანობის განმსაზღვრელია ფონდტევადობა და ფონდუკუება. წარმოებული პროდუქციის ერთეულზე ფონდტევადობის შემცირება მეურნეობის ეფექტიანი მუშაობის მაჩვენებელია და იგი ნიშნავს საერთო პროდუქციის წარმოების გადიდების გზით მოქმედი საწარმოო ფონდების ღირებულების შემცირებას პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით და გამოიხატება საწარმოო ფონდების ღირებულების საერთო პროდუქციის რაოდენობასთან შეფარდებით. ფონდუკუება ფონდტევადობის შებრუნებული სიდიდეა, იგი გამოიხატება საერთო პროდუქციის რაოდენობის საწარმოო ფონდების (ყოველ 1000 მან. ან 100 მან. და ა. შ.) ღირებულებასთან შეფარდებით.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლება ბევრადაა დამოკიდებული ფონდტევადობის შემცირებასა და ფონდუკუების გადიდებაზე.

როგორც გამოკვლეული მასალები გვიჩვენებს, ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულების ყოველ 100 მან. საერთო პროდუქციის ოდენობა სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ მევენახეობის ყველა 17 საბჭოთა მეურნეობაში წინა 3 წლის საშუალო-წლიურთან შედარებით გაიზარდა—13,4 პროცენტით. მათ შორის, გაიზარდა მეორე ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებში—25,1%, მესამე ჯგუფში—1,8%-ით, ხოლო შემცირდა პირველ ჯგუფში—16,7%-ით, მეოთხე ჯგუფში კი 18,5 პროცენტით. ასევე, შესადარ მეხუთე ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებში კი შემცირდა 18,7 პროცენტით.

საერთო პროდუქციის შემცირება ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულების ყოველ 1000 მანეთზე მუშაობის ახალ პირობებში წინა 3 წლის საშ-

უალო-წლიურთან შედარებით გამოწვეულია ჯერ ერთი იმით, რომ ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდის ტემპი უკანასკნელ პერიოდში მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში მნიშვნელოვნად წინ უსწრებს სოფლის მეურნეობებთან პროდუქციის ზრდის ტემპს. მეორე ის, რომ ძირითადი საწარმოო ფონდების სოფლის მეურნეობაში ვერ უზრუნველყოფს ისეთ სწრაფ უკუგებას ანუ ამოგებას, როგორც ეს მეწველობაში ხდება. ამიტომ, ძირითადი საწარმოო ფონდების ის დიდი ნაწილი, რომლის ზრდა უკანასკნელ წლებში მოხდა პრაქტიკულად საკვლევ პერიოდში არ მონაწილეობდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებში ძირითად საშუალებათა ღირებულების ყოველ 1000 მანეთზე ბევრად მეტი საერთო პროდუქცია მოდის, ვიდრე შესადარ მუხუთე ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებში. მაგრამ ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის (ფონდუქუების) მაჩვენებლის სიდიდე მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც ჯგუფებში, ისე ერთნაირ ბუნებრივ-ეკონომიურ პირობებში მყოფ ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებში. ასე, მაგალითად, სრულ სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე მუკუხნის საბჭოთა მეურნეობაში 1973 წელს ძირითადი ფონდების ყოველ 1000 მანეთზე მოდიოდა 203 მან. საერთო პროდუქცია, ხოლო კარდანახის საბჭოთა მეურნეობაში 147 მანეთი. ასევე კისისხევის საბჭოთა მეურნეობაში—345 მან. ნაფარეულში კი 281 მან. და ა. შ.

აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენება ჯერ კიდევ არ ხდება მაქსიმალურად და სრული წარმადობით, რაც იწვევს ფონდუქუების სიდიდის ერთგვარ შემცირებას.

როგორც ცნობილია, საწარმოო ფონდების გამოყენების გაუმჯობესება მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლების საფუძველთაგანია. ამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს კი წარმოადგენს საწარმოო ფონდებისათვის ბიუჯეტის გადასახდელი. ფაქტია, რომ ფონდების გადასახდელთა ოდენობა სრულ სამეურნეო ანგარიშის პირობებში სრულიად არ წარმოადგენს მეურნეობის მოგების საგრძნობ ნაწილს. ამიტომ ეკონომიური სტიმულირების პოტენციალური შესაძლებლობა, რომელიც გამოძინარეობს ფონდების გადასახდელებიდან, არასრულად გამოიყენება. ეს კი ამცირებს მის როლს წარმოების ეკონომიური სტიმულირებისა და დაგეგმვის სისტემაში.

იმისათვის, რომ ავამაღლოთ ფონდების გადასახდელთა მნიშვნელობა, როგორც წარმოების მნიშვნელოვანი ბერკეტისა, საჭიროა ფონდების გადასახდელთა ნორმა გადიდებული იქნეს 2—3%-მდე და დაწესდეს ყველა საბჭოთა მეურნეობისათვის ფონდების გადასახდელთა ერთნაირი ნორმატივი. ამასთან ერთად საჭიროა განხორციელდეს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებისათვის რენტაბელობის გამოთანაბრების პირობების შექმნა. ეს კი უნდა განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე სახელმწიფო შესყიდვის ფასების დიფერენცირების საფუძველზე ზონების შიგნით მეურნეობათა ცალკეული ჯგუფისათვის.



ამრიგად, სრულ სამეურნეო ანგარიშზე მუშაობის პირობებში მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს საწარმოო ფონდების სრული და მაღალი წარმადობით გამოყენება, რაც შესაძლებელია მხოლოდ უზრუნველყოფის სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.


საბჭოთა მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შედეგად ძირეულად შეიცვალა კაპიტალდაბანდების დაფინანსება და დაკრედიტების არსებული წესი. კაპიტალდაბანდების დაფინანსების ძველი სისტემა არ ქმნიდა სათანადო პირობებს სახსრების ეფექტიანად გამოყენებისათვის. ძალიან ხშირად მეურნეობის ხელმძღვანელი კაპიტალური დაბანდებისათვის განკუთვნილ თანხებს აქუცმაცებდა წერილი ობიექტების მშენებლობაზე, იძენდა ტექნიკას ბევრად მეტი რაოდენობით, ვიდრე საბჭოთა მეურნეობას ესაჭიროებოდა. ხშირად იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა საბჭოთა მეურნეობებს მიჰქონდათ ისეთი ტექნიკა, რომლებზედაც განაცხადიც არ ჰქონდათ, ხოლო ანგარიშსწორება ცენტრალიზებული წესით ხდებოდა. სკკპ ცკ-ის მარტის (1965 წ.) პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი ამის შესახებ აღნიშნა, რომ უარი უნდა ეთქვათ მეტისმეტ რეგლამენტაციაზე საბჭოთა მეურნეობებისათვის კაპიტალდაბანდებისა და დოტაციების განაწილებაში, უახლოეს დროში საბჭოთა მეურნეობები უნდა გადავიყვანოთ სრულ სამეურნეო ანგარიშზე.

სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში კი წარმოების განვითარების დანახარჯების (საწარმოო დანიშნულების კაპიტალური დაბანდებანი, ძირითადი ჯოვის ფორმირება, საკუთარი საბრუნავი საშუალებების ზრდა და სხვ.) დაფინანსება ძირითადად ხდება საკუთარი საშუალებებით. საკუთარ საშუალებებში იგულისხმება მოგება, ამორტიზაციის ანარიცხები, რომლებიც წარიმართება ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის, მწყობრიდან გამოსული ქონების (ტექნიკა, პირტუჯეი) ლიკვიდაციით მიღებული საშუალებანი.

გვემით გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდების საკუთარი სახსრების უკმარისობისას ბანკი საბჭოთა მეურნეობებს აძლევს გრძელვადიან კრედიტს, კოლმეურნეობისათვის დადგენილი პირობებით.

ამასთანავე გათვალისწინებულია მოკლევადიანი კრედიტებიც, რომლებიც საბჭოთა მეურნეობებს ეძლევათ საწარმოო დანიშნულების კაპიტალური დაბანდების დაფინანსებისა და ძირითადი ჯოვის ფორმირებისათვის მოგების იმ გეგმური თანხის მოკლებობით, რომელიც აღნიშნული მიზნით არის გათვალისწინებული იმ შემთხვევაში, როცა საბჭოთა მეურნეობა ვერ ასრულებს მოგების გეგმას მის საწარმოო საქმიანობაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემდგომი ორგანოების ჩარევით. სახელმწიფო ბანკს შეუძლია სესხის დაფარვის განვადება ხუთ წლამდე. ამრიგად, ცალკეულ წლებში გათვალისწინებული მოგების მიუღებლობა არ აფერხებს მომავალი წლის კაპიტალურ დაბანდების გეგმის შესრულებას და ამით საბჭოთა მეურნეობებს კაპიტალდაბანდების დაფინანსების მყარი წყარო გააჩნიათ.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში კაპიტალდაბანდების დაფინანსების ძირითად წყაროს, მუშაობის ახალ



პირობებში, საკუთარი სახსრები წარმოადგენს, ბიუჯეტიდან დაფინანსება კი წინა პერიოდის საშუალო-წლიურთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა. ფაქტობრივი მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სრულ საშუალო ანგარიშზე გადაყვანილ ოთხივე ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებში ცენტრალიზებული კაპიტალდაბანდების დაფინანსება ბიუჯეტიდან მუშაობის ახალ პირობებშია წინა 3 წლის საშუალოსთან შედარებით შემცირდა 50,4%-დან—5,5 პროცენტამდე.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო-ოპერატიული დამოუკიდებლობა ყველაზე უკეთ გამოხატულებას პოულობს არაცენტრალიზებული კაპიტალდაბანდების დაფინანსების დაგეგმვაში, ვინაიდან მის მოცულობასა და სტრუქტურას განსაზღვრავენ თვით საბჭოთა მეურნეობებში, ხოლო დაფინანსების ძირითად წყაროს კი წარმოადგენს მოგების ანარიცხებიდან ფორმირებული ეკონომიური სტიმულირების სპეციალური ფონდები, სახელდობრ: მეურნეობის განვითარებისა და განმტკიცების ფონდი და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდი. არაცენტრალიზებული კაპიტალდაბანდების დაფინანსების წყაროს საკუთარი სახსრების უმარისობის შემთხვევაში შეადგენს ბანკის გრძელვადიანი კრედიტი, თუმცა მისი ხვედრითი წილი სისტემატურად მცირდება.

შესწავლილ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში მუშაობის ახალ პირობებში მნიშვნელოვნად გადიდდა არაცენტრალიზებული კაპიტალდაბანდების მოცულობა წინა პერიოდთან შედარებით. სახელდობრ: სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ მევენახეობის ყველა 17 საბჭოთა მეურნეობაში წინა სამი წლის საშუალოსთან შედარებით, მუშაობის ახალ პირობებში არაცენტრალიზებული კაპიტალდაბანდების ხვედრითი წილი კაპიტალდაბანდების საერთო მოცულობაში 38,2%-დან გაიზარდა 45,2%-მდე, მათ შორის, პირველ ჯგუფში—17,3%-დან 35,6%-მდე, მეორე ჯგუფში—35,9%-დან 49,9%-მდე, მესამე ჯგუფში—29,2%-დან 45,6%-მდე და მეოთხეში—35,5%-დან 46,6 პროცენტამდე.

მეხუთე ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც საკვლევი პერიოდისათვის არ იყვნენ გადაყვანილი სრულ სამეურნეო ანგარიშზე, არაცენტრალიზებული კაპიტალდაბანდების დაფინანსებაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი (91,9%) სახელმწიფო ბიუჯეტს უჭირავს, მაშინ, როცა ახალ პირობებში მომუშავე ყულარის, მატნის, ხირსისა და ხრამის საბჭოთა მეურნეობებს არაცენტრალიზებული კაპიტალდაბანდების დაფინანსებისათვის ბიუჯეტის სახსრები სრულიადაც არ გამოუყენებიათ და მისი დაფინანსება მთლიანად საკუთარი სახსრებით წარმოებდა.

ამრიგად, შესწავლილი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების საქმიანობის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ სრული სამეურნეო ანგარიში ფართო სარბიელს ქმნის გაფართოებული კვლავწარმოების საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფისათვის. კაპიტალდაბანდებათა მოცულობასა და მის რაციონალურად გამოყენებაზე კი ბევრადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის საწარმოო ბაზის შემდგომი განმტკიცება, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საბჭოთა მეურნეობების წარმოების ტემპების ზრდასა და ეფექტიანობის ამაღლებას.



მიუხედავად აღნიშნული შედეგებისა უნდა ითქვას, რომ გრძელვადიანი დაკრედიტების არსებული წესი ვერ პასუხობს სრულად სამეურნეო უწყვეტობის მუშაობის ახალ მოთხოვნებს. კრედიტების მიღების წესის გრძელვადიანობა ართულებს კაპიტალდაბანდების დაგეგმვისა და დაფინანსების პირობებს, ხელს უშლის სახსრების მანევრირებას, რაც საბოლოო ჯამში უარყოფით გავლენას ახდენს კაპიტალდაბანდების გეგმების შესრულებაზე.

ფულადი სახსრების გამოყენებაში მანევრირების უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმვის, დაკრედიტებისა და აღრიცხვის გაუმჯობესებისა და გაადვილებისათვის, კაპიტალდაბანდების კონცენტრაციისათვის, უფრო მიზანშეწონილია სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში გაერთიანებული იქნეს ცენტრალიზებული და არაცენტრალიზებული კაპიტალდაბანდების გეგმა, ასახული იქნეს ისინი სახელმწიფო ბანკის ერთსა და იმავე ანგარიშზე და დაწესდეს სხვადასხვა პროცენტული განაკვეთი გრძელვადიანი კრედიტის გამოყენების ვადის მიხედვით.

Г. Я. ДЗАГНИДЗЕ

ЭФФЕКТИВНОСТЬ ОСНОВНЫХ ПРОИЗВОДСТВЕННЫХ ФОНДОВ И ФИНАНСИРОВАНИЯ КАПИТАЛЬНЫХ ВЛОЖЕНИЯ В ВИНОГРАДАРСКИХ СОВХОЗАХ

Резюме

На основе изучения и обобщения опыта работы в виноградарских совхозах, переведенных на полный хозяйственный расчет рассматриваются вопросы эффективности основных производственных фондов и финансирования капитальных вложений. Кроме этого, дается анализ состояния основных производственных фондов и капитальных вложений в совхозах в целях эффективного их использования, даются предложения по дальнейшему совершенствованию по вопросам финансирования и кредитования.



ა. ნაგროვაშვილი

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ინჟინერიის ინსტიტუტის საკითხისათვის

სოციალისტური სოფლის მეურნეობა ისე, როგორც მრეწველობა, გაფართოებული კვლავწარმოების პრინციპების მიხედვით ვითარდება, რაც წარმოების გადიდებული მასშტაბებით განახლებას გულისხმობს. ამგვარი მასშტაბებით სოფლის მეურნეობის განვითარება ორი გზით ხორციელდება: 1) ექსტენსიურად, როცა სოფლის მეურნეობის განვითარება ფართობების გადიდების გზით ხდება და არ იცვლება ტექნიკა და წარმოების კულტურა; 2) ინტენსიფიკაციის გზით, როცა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდება ხდება ფართობის ერთეულზე კაპიტალური დაბანდების და მატერიალური დანახარჯების გადიდების გზით. ამასთან ერთად დამახასიათებელია მექანიზაციის, ქიმიზაციის, მელიორაციის, ირიგაციის მაღალი დონე. მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის გადიდება, მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების დანერგვა, რენტაბელობის ამაღლება და სხვ.

როგორც ცნობილია, მიწათმოქმედების კულტურისა და მისი ტექნიკური შეიარაღების ამაღლებას კაცობრიობა ყოველთვის უთმობდა და უთმობს დიდ ყურადღებას. ამას მოწმობს ცალკეულ ერთა განვითარების ისტორია, მათ შორის ქართველი ხალხის ისტორიაც. მეგცენარეობისა და მეცხოველეობის ის კულტურული სახეობები და ჯიშები, რომლებიც ჩვენშია, უსათუოდ, ამის შედეგია. ადამიანის საქმიანობის შედეგია რქაწითელი, საფერავი, ციციქა, ცოლიკაური, ჩინური, გორული მწვანე, თუშური ცხვარი თუ ხევსურული ძროხა და სხვ.

ამიტომ, — წერდა ფ. ენგელსი, რომ ბარბაროსობა ეს არის „მესაქონლეობის და მიწათმოქმედების შემოღების პერიოდი, პერიოდი როცა ადამიანის საქმიანობის შემოწმებით ბუნების პროდუქტების წარმოების გადიდების მეთოდების ათვისება ხდება“ [1]. ეს მიგვიჩვენებს იმაზე, რომ ადამიანის საქმიანობას ჰქონდა არა მტაცებლური ხასიათი, არამედ იგი შემოქმედებით შრომაზე იყო დაფუძნებული. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობის შემდგომ პროგრესისათვის. ამავე ნაშრომის 224 გვერდზე ფ. ენგელსი მიუთითებს აგრეთვე ისეთი ტომების არსებობაზე, რომლებსაც ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე ჰქონდათ ნათესი ფართობები. ყოველივე ეს კი ერთხელ კიდევ მიუთითებს



მიწათმოქმედების დიდ ხნოვანებაზე და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის ზრდის ღონისძიებების არსებობაზე.

კ. მარქსი მიუთითებდა, რომ „ეკონომიური აზრით ჩვენ უნდა ვაძრწოდეთ კაპიტალის კონცენტრაციას ერთსა და იმავე მიწის ფართობზე, ნაცვლად მისი განაწილებისა ერთიმეორის გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთებს შორის“ [3].

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის წარმოების შემოსავლიანობის ზრდის ხერხებისა და საშუალებების გაუმჯობესება, რამდენადაც ეს შესაძლებელია ანტაგონისტური კლასობრივი ფორმაციის პირობებში, კაპიტალიზმმა მაღალ საფეხურზე აიყვანა სოფლის მეურნეობაში. „სამიწათმოქმედო კაპიტალიზმმა პირველად შეარყია ჩვენი სოფლის მეურნეობის საუკუნობრივი უძრავობა, უძლიერესი იმპულსი მისცა მისი ტექნიკის გარდაქმნას, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლური ძალების განვითარებას“ [5]. მაგრამ განვითარების შემდგომ საფეხურზე კაპიტალისტური წარმოება უძლურია თანმიმდევრულად შეინარჩუნოს წარმოების რაციონალიზაცია, რადგანაც იგი იხლართება საკუთარ წინააღმდეგობებში, განსაკუთრებით წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების ინდივიდუალურ ფორმას შორის, ამიტომ, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „კაპიტალისტური წარმოება მიწათმოქმედებაში ძლებს მხოლოდ მეურნეობის ექსტენსიური, პრიმიტიული ხასიათით“ [4].

ახასიათებდა რა კაპიტალისტური წარმოების წესს, კ. მარქსი მიუთითებდა, რომ „კაპიტალისტური მიწათმოქმედების ყოველი პროგრესი არის არა მარტო პროგრესი მუშის გაძარცვის ხელოვნებისა, არამედ ამასთანავე ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებისა გარკვეულ დროში, არის იმავე დროს პროგრესი ამ ნაყოფიერების მუდმივ წყაროთა განადგურებისა“ [2].

მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის გადიდება, სოფლის მეურნეობის შემოსავლიანობის მუდმივი ამაღლება, განვითარების ყოველ საფეხურზე წარმოადგენდა და წარმოადგენს კაცობრიობის უდიდეს სახელმწიფოებრივ ამოცანას, რასაც სოფლის მეურნეობაში აღწევენ ექსტენსიური და ინტენსიური გზით. მიწათმოქმედების ინტენსიფიკაცია მთელი ისტორიული პროგრესია, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, მიწათმოქმედების ინტენსიფიკაცია არის „არა შემთხვევითი, არა ადვილობრივი, არა ეპიზოდური, არამედ ყველა ცივილიზებული ქვეყნის საერთო მოვლენა“ [8].

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების ექსტენსიური გზა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნიშნავს დამუშავებულ მიწების გაფართოებას ტექნიკისა და აგროკულტურის უცვლელობის პირობებში; ინტენსიური კი—პროდუქციის გადიდებას დამუშავებულ მიწების რაოდენობის უცვლელობის პირობებში (თუმცა უცვლელობა საეკონომიკურად არ არის) კაპიტალდაბანდებათა ზრდის ხარჯზე. ინტენსიფიკაცია ეს არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძლიერების სისტემის არა მარტო უმთავრესი ნიშანი, არამედ სოფლის მეურნეობის აღმავლობის მთავარი მაჩვენებელიც. იგი პროგრესია, რომელიც მოიცავს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლების, მათი ტექნიკური შეიარა-

ლები ზრდას, რაც დამატებითი სახსრების დაბანდვასთან არის დაკავშირებული. ვ. ი. ლენინი ახასიათებდა რა მიწათმოქმედებაში ინტენსიფიკაციის პროცესს, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „სოფლის მეურნეობა აქ ვინაობის შემთხვევაში არასდროს ინტენსიურად არა დამუშავებული მიწის რაოდენობის გადიდების საშუალებით, არამედ მიწის წინანდელ რაოდენობაში დაბანდებული კაპიტალის ოდენობის საშუალებით“ [8].

ადრინდელი ბურჟუაზიული ეკონომისტები: აერობოე, ლაური, ბრუცეუსი, ბრიკმანი, სკოროცოვი, კონიუკოვი, შიშკინი, ლუდოგოვსკი და სხვები, წარმოების ინტენსიფიკაციას განსაზღვრავდნენ შრომისა და კაპიტალის დანახარჯთა ნატურალური ან ღირებულებითი ოდენობით. მიუხედავად იმისა, თუ რით იქნებოდა გამოწვეული დაბანდებათა ზრდა—მიწის ყიდვით, თუ მიწების დაქირავებით. წარმოების ინტენსიფიკაციის ახსნა მოგვეცეს მარკსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა, რომლებმაც ძირფესვიანად შეისწავლეს სოფლის მეურნეობის შინაგანი ფაქტორები, დაუკავშირეს ისინი სამიწათმოქმედო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებას, აგრეთვე სოციალ-ეკონომიურ ფაქტორებს, რომელთა წიაღში მიმდინარეობს მეცნიერული ცვლილებანი. ამით მათ ძირი გამოუთხარეს, ე. წ. „წინადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონს“. ე. მარკსი აღნიშნავდა, რომ „თუმცა ნაყოფიერება მიწის ობიექტურ თვისებას წარმოადგენს, ეკონომიურად იგი მაინც მუდამ გულისხმობს განსაზღვრულ დამოკიდებულებას სამიწათმოქმედო ქიმიასა და მექანიკის მოცემული დონის მიმართ და, მაშასადამე, განვითარების ამ დონესთან ერთად იცვლება“ [3]. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ეს პროცესი, ე. ი. წარმოების გადიდების ღონისძიებათა გაუმჯობესება „ნიშნავს ტექნიკურ ცვლილებებს მიწათმოქმედებაში, მის ინტენსიფიკაციას, მეშინდერობის უმაღლეს სისტემაზე გადასვლას, ხელოვნურ სასუქთა გაძლიერებულ გამოყენებას, მანქანა-აარაღების გაუმჯობესებას, მათი გამოყენების ზრდას“ [8].

დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ „ვიცნობორ მარცვალი მოიყვანა იქ, საცა მანამდე მარტო ერთი მარცვალი მოდიოდა, იგი ერთს უდიდეს სამსახურს უწევს კაცობრიობას“.

სრული ინტენსიფიკაციის გატარება შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის, მიწების ნაციონალიზაციის, მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მშენებლობის საფუძველზე, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა „წვირლ მიწათმოქმედებას თავი ვააქვს ყოველნაირი მტაცებლური საშუალებით, მიწათმოქმედების შრომისა და სასიცოცხლო ძალების განთავსებით, პირუტყვის ძალღონისა და ხარისხის განადგურებით, მიწის საწარმოო ძალთა განთავსებით“ [7].

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის უდიდეს წარმატებათა შედეგად გაძლიერდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება, ფართო გამოყენება ჰოვია მინერალურმა სასუქებმა, შემოღებული იქნა თესლბრუნევა და საერთოდ ინტენსიფიკაცია ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარი

ხაზი გახდა. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ტექნიკური პროგრესი შესაძლებლობას აძლევს სოფლის შედარებით (ზოგჯერ კი აბსოლუტურად) უფროდ მოსახლეობას აწარმოოს მიწათმოქმედების პროდუქტთა მზარდი რაოდენობა მოსახლეობის მზარდი მასისათვის [7].

მართალია, კაპიტალისტური წარმოების პირობებში სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციამ დიდი როლი შეასრულა მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის გადიდების საქმეში. მაგალითად, 1960—1965 წლებში პოლანდიაში ხორბლის მოსავალი ჰა-ზე შეადგენდა 44,2 ც-ს, შაქრის ქარხლის—448 ც-ს, კარტოფილის—293 ც, რძის წველადობა ერთ ძროხაზე წლიურად 4200 კგ-ს, ხოლო იაპონიაში—5200 კგ-ს; მაგრამ საერთოდ კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობის დამახასიათებელი ნიშანია წერილი ფერმერული წარმოების მასობრივი დაშლა და განაწილება, ნათესი ფართობების შემცირება, კაპიტალდამანდებთა დაბალი ტემპი, საწარმოთა ცალმხრივი განვითარება, ბუნების ძალთა და სამუშაო ძალის მტაცებლური გამოყენება. ვ. ი. ლენინმა გამოარკვია რა აშშ-ის სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, წერდა. თუ „რამდენად უფრო ინტენსიურია მიწათმოქმედება ჩრდილოეთში დანარჩენ რაიონებთან შედარებით, შეიძლება დავინახოთ შემდეგი მონაცემებიდან, მთელი სასოფლო-სამეურნეო ქონების, მიწის, ნაგებობების, იარაღებისა და მანქანების, პირუტყვის ღირებულების შესახებ ერთ აკრ მიწაზე გაანგარიშებით“ [8]. კაპიტალიზმის დროს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის დამახასიათებელი ნიშანია ისიც, რომ იგი მართალია იზრდება იმპერიალისტურ ქვეყნებში, მაგრამ დეგრადაციას განიცდის კოლონიალურ და სუსტად განვითარებულ ქვეყნებში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას. სკკპ პროგრამაში ხაზგასმით მითითებულია, რომ სოფლის მეურნეობის აღმავლობის მთავარი გზაა — წარმოების ყოველმხრივი მექანიზაცია და თანმიმდევრული ინტენსიფიკაცია. იგი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების შემდგომ ზრდას, საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში ყაირათიანობის, მეცნიერული მეთოდებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საფუძველზე მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის უმაღლესი კულტურის მიღწევას, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მკვეთრ ამაღლებას და ყოველი ჰექტარიდან პროდუქციის გამოსავლის გადიდებას შრომისა და მატერიალურ საშუალებათა უმცირესი დანახარჯებით. როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, ინტენსიფიკაციის პირობებში „ცვალებადი კაპიტალი, რომელიც საჭიროა მიწის განსაზღვრული ნაკვეთის დასამუშავებლად, საერთოდ და მთლიანად მცირდება“, თუმცა ... ცალკეულ შემთხვევებში და ცალკეულ პერიოდებში ხდება მიწის ამა თუ იმ ნაკვეთის დასამუშავებლად საჭირო ცვალებადი კაპიტალის გადიდება, მაგრამ ეს არჩევს საერთო კანონის სისწორეს“ [6].

პარტიამ და მთავრობამ არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის შემდგომი გადიდების მიზნით. ამ საკითხს მიეძღვნა მრავალი პლენუმი, თათბირი და დადგენილება. მკვეთრად გაიზარდა კაპიტალური დამანდება სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობა

მზარდი რაოდენობით იყენებს ტრაქტორებს, კომბაინებს, სატვირთო ავტომობილებს, სასუქებს და სხვა, რამაც თავისი დადებითი შედეგები უკვე გამოიღო.

როგორც ცნობილია, წარმოების ინტენსიფიკაცია ემყარება მეურნეობის გაძლიერების შესაბამის სისტემებს, რომელიც წარმოადგენს დღევანდელი მეურნეობის ღონისძიებათა ერთობლიობას. მეურნეობის გაძლიერების სისტემა მოიცავს წარმოების ტექნოლოგიურ, ტექნიკურ, ორგანიზაციულ და ეკონომიურ ღონისძიებებს.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ძირითად მაჩვენებელთა სისტემას შეადგენს მიწის ფართობის ერთეულზე მატერიალური და შრომითი დანახარჯების ჯამი, წარმოების ძირითადი საშუალებების ღირებულება ყოველ 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე და სხვა ფაქტორები.

საქართველოს საბჭოთა მეურნეობების მუშაობის მაგალითები მოწმობს, რომ აქ დამახასიათებელია ძირითად საწარმოო საშუალებათა აღჭურვილობის საკმაოდ მაღალი დონე, ხოლო წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულება ყოველ 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე 4,5-ჯერ და მეტად აღემატება სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების იგივე მაჩვენებელს. დამახასიათებელია ისიც, რომ ძირითად საწარმოო საშუალებათა შემადგენლობაში შედარებით დაბალია სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების, ხოლო მაღალია მრავალწლიანი ნარგავების ხვედრითი წონა.

აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში საბჭოთა მეურნეობებში მკვეთრად იზრდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება (პირუტყვის გარდა) საერთოდ და ასევე 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე, 100 ჰა სახნავზე და ერთ საშუალო-წლიურ მომუშავეზე.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების მზრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება ჩაისა და ციტრუსების, მევნახეობა-მეხილეობის და მერძევეობა-მეხოსტენობის საბჭოთა მეურნეობები.

ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი მაჩვენებელია საერთო პროდუქციის მთელი რაოდენობა და მისი სიდიდე 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე, 100 ჰა სახნავზე, ძირითადი საწარმოო ფონდების 100 მან. ერთ საშუალო-წლიურ მომუშავეზე, 100 მანეთ ხელფასზე და 1 მანეთ საწარმოო დანახარჯზე. ეს მაჩვენებლები სხვა საბჭოთა მეურნეობებთან მეტად მაღალია ჩაის, ციტრუსების, მევნახეობის, მეხილეობის და მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობებში.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი მაჩვენებელია აგრეთვე მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა ერთ ჰა სახნავზე და მრავალწლიანი ნარგავზე. ამ მხრივ რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება, თუმცა ჯერ კიდევ სასუქების საკმაოდ რაოდენობით არაა უზრუნველყოფილი ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურები, სათიბები და საძოვრები.

ცნობილია, რომ ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებს გარდა, ინტენსიფიკაციის განსაზღვრისათვის, მისი გადიდებისათვის საჭიროა მრავალი ფაქტორის, როგორც ძირითადის, ისე არა ძირითადის ერთობლიობა. მთავარი თუ განმსაზღვრელი მათ შორის ის ფაქტორია, რომელიც გვიჩვენებს თუ რა ღონისძიებებით შე-

იძლება მიღწეული იქნეს ძირითადი მიზანი—მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის გადიდება; საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოსავლიანობის ზრდა გამოყენებული მიწის ყოველ ერთ ჰექტარზე.



ისე, როგორც საზოგადოებისათვის, ასევე ცალკეული მებრუნეობის სულ ერთი არაა, რა შრომითა და სახსრებითაა მიღწეული პროდუქციის გამოსავლიანობის გადიდება გამოყენებული მიწის ფართობის ერთეულზე. პირიქით, ჩვენთვის საინტერესოა თუ რამდენად ნაკლებია შრომითი და მატერიალური დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე, ან რაც მეტია წარმოებული პროდუქცია დანახარჯების ერთეულზე.

ისე, როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, საქართველოშიაც სოფლის მეურნეობა 1941 წლამდე ძირითადად ვითარდებოდა ექსტენსიური გზით, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო არ აბანდებდა მნიშვნელოვან თანხებს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. 1951 წლიდან 1961 წლამდე სოფლის მეურნეობის განვითარებაში შეთანწყობილად იყო გამოყენებული როგორც ექსტენსიური, ისე ინტენსიური გზა, უკანასკნელ წლებში კი სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარ გზად აღიარებულია მისი ინტენსიფიკაცია. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ კვლავაც არ დაგვეკირდება ავითვისოთ ახალი და ახალი მიწები, პირიქით ყოველი ღონისძიებით უნდა მივალწიოთ იმას, რომ გამოუყენებელი არ დარჩეს არც ერთი ჰა მიწა.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის მთავარ მიმართულებად ითვლება ქიმიზაცია, მელიორაცია, კომპლექსური მექანიზაცია, სპეციალიზაცია, მეურნეობის ოპტიმალური სიდიდის დადგენა, სოფლის მეურნეობის წარმოების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა, მეცნიერებისა და მოწინააღმდეგეების დანერგვა. ამ ღონისძიებების გატარებისათვის გაწეულმა დამატებითმა ხარჯებმა უნდა უზრუნველყოს მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის გადიდება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, რენტაბელობის მაღალი დონე.

А. И. НАРЧОМАНШВИЛИ

К ВОПРОСУ ИНТЕНСИФИКАЦИИ СОВХОЗОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

Резюме

Социалистическое сельское хозяйство может развиваться в двух направлениях: 1) экстенсивно, когда развитие сельского хозяйства происходит путем увеличения площадей без изменения техники и культур производства и 2) путем интенсификации, когда увеличение производства сельскохозяйственных продуктов происходит путем роста капитальных вложений и материальных затрат на единицу площади.

В течении ряда лет в совхозах Грузии резко возрастает стоимость основных фондов производства (за исключением скота) сельскохозяйствен-

ვენის მიზანითაა დასაზღვრული, რომელიც უზრუნველყოფს მთელი ქვეყნის მოსახლეობის საჭიროებებს. მისი მნიშვნელობა უზარალოა და მისი განვითარება უნდა იყოს ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობა.

Одним из показателей интенсификации является валовая продукция всего и на 100 га с.-х. угодий, 100 га на пашни, 100 руб. основных производственных фондов одного среднегодового работника, 100 руб. зарплаты и один рубль производственных затрат.

Одним из показателей интенсификации сельского хозяйства является также применение минеральных и органических удобрений на 1 га пашни и многолетних насаждений. В этом отношении положение в совхозах республики постепенно улучшается, хотя еще не все сельскохозяйственные культуры, сенокосы и пастбища обеспечены нужным количеством удобрений.

Для определения интенсификации требуется целая система показателей; основным или определяющим из них является фактор, показывающий какими мероприятиями может быть достигнута основная цель — повышение урожайности и продуктивности, рост выхода валовой и товарной продукции на каждый га использованной земли.

ლიტერატურა — Литература

1. ფ. ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, სახელგამო, 1953. გვ. 34.
2. კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. 1, 1954. გვ. 638.
3. კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. 3, ნაწ. III, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1959. გვ. 239, 267.
4. ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 2, გამოცემა მეოთხე, გვ. 66.
5. ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 3, გამოცემა მეოთხე, გვ. 361.
6. ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 4, გვ. 177—178.
7. ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 5, გვ. 131—221.
8. ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 22, გამოცემა მეოთხე. გვ. 13, 43—74.



3. ჯიბანხილი

**მეცნიერებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების რენტაბელობა
პარღანის რაიონის მავოსტანოვა-მარქავეობის საბოთა მეურნეობაში**

საბჭოთა მეურნეობების წარმოების სწრაფი განვითარება ბევრადაა დამოკიდებული მათ რენტაბელობაზე. სოფლის მეურნეობის წარმოება რომ განვითარდეს და გაფართოვდეს აუცილებელია დაგროვება, ზოლო დაგროვების წყაროს კი წმინდა შემოსავალი შეადგენს. ამიტომ სოციალისტური სოფლის მეურნეობის გაფართოებული კვლავწარმოების მაღალი ტემპები მოითხოვს საბჭოთა მეურნეობების მაღალრენტაბელობას. ამჟამად ბევრი საბჭოთა მეურნეობა როდია მაღალრენტაბელური, რაც დიდ გავლენას ახდენს მათ წარმოების გაფართოებაზე.

საწარმოს რენტაბელობა გულისხმობს ისეთ მუშაობას, როდესაც პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული ამონაგები ფარავს პროდუქციის წარმოებაზე და რეალიზაციაზე გაწეულ დანახარჯებს (პროდუქციის სრულ თვითღირებულებას) და გადამეტებით ამისა კიდევ რჩება გარკვეული ოდენობის წმინდა შემოსავალი.

რენტაბელობის უმაღლესი ფორმა—სახალხომეურნეობრივი რენტაბელობა. განისაზღვრება არა ცალკეულ საწარმოთა რენტაბელობის, არამედ მთლიანად მთელი სახალხო მეურნეობისა და ცალკეული დარგების მიხედვით. ამასთან, ათა ერთი ან ორი წლის, არამედ უფრო ხანგრძლივი დროის 10—15 წლის ვარაუდით.

რენტაბელობის უმაღლესი ფორმა გულისხმობს არა მხოლოდ იმას, თუ რამდენად შემოსავლიანია ესა თუ ის საწარმო დღეს, ის პირველ რიგში გულისხმობს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქცია მთელი სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით. სახალხომეურნეობრივი რენტაბელობა გულისხმობს რენტაბელურ საწარმოებთან ერთად ისეთ საწარმოთა არსებობასაც, რომლებიც შეიძლება დღეს რენტაბელური არ არიან ამ ცნების ვიწრო გაგებით. მაგრამ რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სახალხო მეურნეობის სხვა დარგების, მათ შორის რენტაბელურად მომუშავე დარგების შემდგომი განვითარებისათვისაც. ამ თვალსაზრისიდან გამოდიოდა ვ. ი. ლენინი, როდესაც ის ჯერ კიდევ 1922 წლის მიწურულში წერდა: „მართლაც, არამომ-



გებიან წარმოებას, რომელიც სახელმწიფოს ხელში რჩება, მხოლოდ ის წარმოება წარმოადგენს, რასაც თუ მეცნიერულ, პოლიტიკურ-ეკონომიკურ-ლოგიას ვიხმართ, უნდა ეწოდოს წარმოების საშუალებათა წარმოება (ლითონი და სხვ.) ანუ ძირითადი კაპიტალის წარმოება..... ჩვენ დანგრეული წარმოების საშუალებათა აღდგენა დიდი ხნის განმავლობაში არავითარ მოგებას არ გვიქადის, იგი „არამომგებიანია“. ჩვენ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მოგვიხდება ძირითადი კაპიტალის აღსადგენად გამოვიყენოთ კონცესიების შემოსავალი ან სახელმწიფო სუფსიდიები“ [1].

წმინდა შემოსავალი (მოგება) წარმოადგენს სასაქონლო პროდუქციის რეალზაციიდან მიღებულ ფულად თანხასა და სრულ თვითღირებულებას შორის განსხვავებას.

იმის გასარკვევად, თუ რომელი დარგი ან კულტურა არის მაღალრენტაბელური, არ კმარა ვიცოდეთ წმინდა შემოსავლის აბსოლუტური სიდიდე, საჭიროა განვსაზღვროთ რენტაბელობის ნორმა, რომელიც არის წმინდა შემოსავლის შეფარდება სრულ თვითღირებულებასთან.

ასხვავებენ ცალკეული სახის პროდუქციის რენტაბელობას — სასაქონლო პროდუქციის რენტაბელობას, მთელი სამეურნეო საქმიანობის რენტაბელობას.

მეურნეობა რომ მომგებიანად წარემართოთ, საჭიროა ვიცოდეთ თითოეული პროდუქციის რენტაბელობა და მასთან რენტაბელობის ნორმა. ამისათვის ბილებენ თითოეულ პროდუქციას და გაიანგარიშებენ მათ ცალ-ცალკე წმინდა შემოსავალსა და თვითღირებულებას, გამოიღვინარე აქედან კი რენტაბელობის ნორმას.

ცალკე დარგისა და კულტურის რენტაბელობა რომ დავადგინოთ, არ კმარა მარტო ერთი წლის მონაცემები, რადგან წლების მიხედვით კულტურების მოსავლიანობა მეტად მერყევიანია. ამისათვის აუცილებელია რამდენიმე წლის მოსავლიანობის, წმინდა შემოსავლისა და თვითღირებულების აღება და მათ საფუძველზე საშუალო წმინდა შემოსავლის, თვითღირებულებისა და რენტაბელობის ნორმის განსაზღვრა.

საბჭოთა მეურნეობები აწარმოებენ მთელი სამეურნეო საქმიანობის რენტაბელობის გაანგარიშებას. სასაქონლო პროდუქციის რეალზაციიდან მიღებული წმინდა შემოსავალი არ წარმოადგენს მეურნეობის საქმიანობის საბოლოო ფინანსურ შედეგს, რადგან მათ აქვთ სხვა სახის შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც გააღწევენ ახდენენ საბოლოო ფინანსურ შედეგებზე.

საბჭოთა მეურნეობებს აქვთ საბინაო-კომუნალური მეურნეობები, რომლებიც ჩვეულებრივად ზარალიანია, რომელიც შეაქვთ მეურნეობის საქმიანობის საერთო ფინანსურ შედეგებში. ასევე, მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის ფინანსურ შედეგებში შეაქვთ დანაჯარგები სტიქიური უბედურებისაგან, უიმედო ვალების ჩამოწერისაგან და სხვ.

ამრიგად, საბჭოთა მეურნეობები წლის დასასრულს სამეურნეო საქმიანობის საერთო ფინანსური შედეგების საფუძველზე გაიანგარიშებენ წმინდა შემოსავალს, მეურნეობის რენტაბელობას.

ისე როგორც სსრ კავშირში, ასევე საქართველოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტსა და გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობებშიც უდიდესი ღონისძიებები გატარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქციის რენტაბელობის ამაღლებისათვის.

მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურები მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში 1971 წელს წამგებიანი იყო და ზარალი შეადგენდა 123,7 ათას მანეთს, ხოლო 1974 წელს მოგებამ შეადგინა 165,0 ათასი მანეთი.

საკვლევი მეურნეობებიდან, გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში მარცვლეული და პარკოსანი კულტურები 1971—1974 წლებში მომგებიანია. ასევეა კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაშიც. გამოხაჯის წარმოადგენს 1973 წელი, როცა წაგება შეადგენდა 2,1 ათას მანეთს. მარტყოფის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში 1974 წელს მოგება შეადგენდა—29,8 ათას მანეთს, ხოლო რუისბოლოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში ეს კულტურები ყველა წლებში წამგებიანია.

უნდა აღინიშნოს, რომ მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების რენტაბელობა ძალიან დაბალია, რაც აიხსნება მეჭანიზაციისა და საერთოდ მარცვლოვანი კულტურების მოყვანის აგროტექნიკის დაბალი ღონით.

გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში მებოსტნეობა 1971—1974 წლებში მომგებიანია, ხოლო კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში შესაბამის წლებში იგი წამგებიანია. მარტყოფის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში 1971—1972—1974 წლებში მებოსტნეობა წამგებიანია, 1973 წელს კი მოგება შეადგენდა 24,4 ათას მანეთს. რუისბოლოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში მებოსტნეობა 1971 წელს წამგებიანია, 1972 წელს მოგება შეადგენდა 229,2 ათას მანეთს, 1973 წელს — 60,6 ათას მანეთს, 1974 წელს კი 271,0 ათას მანეთს.

ბოსტნეული კულტურების წამგებიანობა სხვადასხვა მეურნეობებში გამოწვეულია სახელმწიფო გეგმების შეუსრულებლობით, არახელსაყრელი კლიმატური პირობებით და რაც მთავარია მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელ სპეციალისტების არასწორი მუშაობით, რაც გამოიხატება შემდეგში: აგროტექნიკური ღონისძიებები არ ტარდებოდა აგროვადებისა და ხარისხის დაცვით, თესვა-რგვა ასორტიმენტის მიხედვით, თონა, კულტივაცია, მარგვლა, მინერალური და ორგანული სასუქების გონივრულად გამოყენება, რწყვა, დამატებითი გამოკვება და სხვ. მიღებული მოსავლის აღება მიმდინარეობდა გაჭიანურებით, არ ხდებოდა მისი დახარისხება, რითაც პროდუქცია კარგავდა სასაქონლო პროდუქციის სახეს და ამით ძნელდებოდა მისი რეალიზაცია.

მეხილეობა-მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში რენტაბელურია 1971—72—73 წლებში, ხოლო 1974 წელს მეხილეობიდან წაგება შეადგენს 304,0 ათას მანეთს. გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობისა და კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებში მეხილეობა შესაბამის წლებში რენტაბელურია. რუისბოლოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნე-



ობაში მეხილეობის რენტაბელობა 1971 წელს შეადგენდა 7,5 ათას მანეთს, 1972 წელს—3,8 ათას მანეთს, ხოლო 1973—1974 წლებში მეხილეობის რენტაბელობის მაშინ, როდესაც ამ რაიონის საკვლევ მეურნეობებში ყველზე მეტი ხარისხის მანეთს, რათა მეხილეობა იყოს რენტაბელური.

მევენახეობის რენტაბელობა მებოსტნეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში 1971 წელს შეადგენდა 323,1 ათას მანეთს, 1972 წელს—910,3 ათას მანეთს, 1973 წელს—383,6 ათას მანეთს, ხოლო 1974 წელს მევენახეობა წამგებიანია.

გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში მევენახეობის რენტაბელობა 1971 წელს შეადგენდა 44,0 ათას მანეთს, 1972 წელს—35,8 ათას მანეთს, 1973 წელს—25,7 ათას მანეთს, 1974 წელს კი მევენახეობა წამგებიანია.

კარწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში მევენახეობა შესაბამის წლებში წამგებიანია, თითქმის ასეთივე მდგომარეობაა მარტყოფისა და რუისბოლოს საბჭოთა მეურნეობებში. წამგებიანობა რიც წლებში გამოწვეულია არახელსაყრელი კლიმატური პირობებით.

კარტოფილისა და ბალჩეულის წარმოება როგორც მებოსტნეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში, ისე გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში წამგებიანობით ხასიათდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ წლებს. წამგებიანობა გამოწვეულია მექანიზაციის დაბალი დონით. მეურნეობებს საკმარის რაოდენობით არა აქვთ ტრაქტორები, საკიდი მანქანა-იარაღები და ხშირად კარტოფილი და ბალჩეული ისეთ ფართობებში მოჰყავთ, სადაც მექანიზაციის ჩატარება მოუხერხებელია.

სულ მემცენარეობის დარგიდან მიღებული მოგება მებოსტნეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში 1971 წელს შეადგენდა 6268,6 ათას მანეთს, 1972 წელს—3021,0 ათას მანეთს, 1973 წელს—2178,6 ათას მანეთს, 1974 წელს კი 114,0 ათას მანეთს.

გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში სულ მემცენარეობის დარგიდან მიღებული მოგების თანხა 1971 წელს შეადგენდა 128,1 ათას მანეთს, 1972 წელს—460,1 ათას მანეთს, 1973 წელს—425,8 ათას მანეთს და 1974 წელს—449,8 ათას მანეთს.

მარტყოფის მებოსტნეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობაში 1972 წელს სულ მემცენარეობის დარგიდან მოგების თანხა შეადგენდა—7,5 ათას მანეთს, 1973 წელს—61,3 ათას მანეთს, 1971—1974 წლებში კი ის წამგებიანია.

რუისბოლოს მებოსტნეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობაში სულ მემცენარეობის დარგიდან მოგების თანხა 1972 წელს შეადგენდა 232,0 ათას მანეთს, 1973 წელს—28,4 ათას მანეთს, 1974 წელს—307,2 ათას მანეთს, 1971 წელს კი მემცენარეობა წამგებიანია.

მებოსტნეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში და გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცისა და რძის წარმოება ხასიათდება დიდი ზარალით. სულ მეცხოველეობის წამგებიანობა მებოსტნეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში 1971



წელს შეადგენდა 4440,8 ათას მანეთს, 1972 წელს—878,8 ათას მანეთს, 1973 წელს—626,9 ათას მანეთს და 1974 წელს—2012,0 მანეთს.

გარდაბნისა და კრწანისის საბჭოთა მეურნეობებში, შესაბამისად, მეცხოველეობა მომგებიანია. მარტყოფისა და რუისბოლოს საბჭოთა მეურნეობებში კი წამგებიანია.

რძის წარმოების წამგებიანობა გამოიწვია მაღალპროდუქტიული ჯიშის ფურების ბრუცელოზით დაავადებამ, დიდი რაოდენობით სახორცედ ჩაბარებამ, ძვირადღირებული საკვების გამოყენებამ და ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სამსახურის დაბალმა დონემ.

მეცხოველეობის განვითარების ძირითადი პირობაა ცილოვანი ნივთიერებებით მდიდარი და იაფი საკვები ბაზა, მაღალი ზოოვეტ-მომსახურების დონე, სასულეკციო მუშაობა და სათანადო ბინების არსებობა პირუტყვისათვის, ხოლო პროდუქციის გაიაფებაზე ლაპარაკი ზედმეტია იმ შემთხვევაში, თუ მეცხოველეობის ყველა ტექნოლოგიურ პროცესს თან არ ახლავს მეცხოველეობის შრომატევად სამუშაო პროცესთა შექანიზაცია.

მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებში დაბალ დონეზე დგას შრომატევად სამუშაო პროცესების შექანიზაცია ფერმებში. არასაკმაო რაოდენობით აქვთ მეურნეობებს პიოუტყვის სადგომი ბინები, არსებული ბინების 40—50% არასტანდარტული და პრიმიტიულია, რომლებშიც ტექნოლოგიური პროცესების ჩატარება ხელდება, რაც იწვევს კაცდღების გადახარჯვას. ეს კი საბოლოოდ სცემს რენტაბელობის დონეს. დაბალია ფურების პროდუქტიულობა, ხოლო რაც ყველაზე მთავარია, ფურების რაოდენობა საერთო ჯამში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის მიმართ არ აღემატება 30,7%-ს. ჯერ კიდევ დაბალია ჯოგის კვლავწარმოება საკუთარი ნამატის ხარჯზე. დიდი რაოდენობით უხდება ტრესტს ძვირადღირებული საჩემონტო მოზარდის შესყიდვა და შემოყვანა რესპუბლიკის გარედას. რენტაბელობას სცემს ისიც, რომ კეთილმოუწყობელია ფერმები და მისი ტერიტორია. ზვერ ფერმებში სასმელი წყლის უქონლობის გამო 10—15%-ით მცირდება პირუტყვის პროდუქტიულობა. გარდა ჩამოთვლილისა მეურნეობების წამგებიანობაზე მოქმედებს როგორც მომვლელ პერსონალის, ისე სპეციალისტების დენადობა, მათი მატერიალური სტიმულირების დაბალი დონე და სხვ.

ამოცანა მღვთმარეობს იმაში, რომ ყველა მეურნეობებში როგორც მემცენარეობის დარგები და კულტურები, ისე მეცხოველეობის დარგები გადავაქციოთ რენტაბელურ დარგებად, ამისათვის საჭიროა: პირველი—სასოფლო-სამეურნეო კულტურების და მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. საბჭოთა მეურნეობებს დიდი რეზერვები აქვს იმისათვის, რომ შეამცირონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულება, გაზარდონ მოგება და აამაღლონ ყველა დარგისა და კულტურის რენტაბელობის დონე.

მეორე—სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გადიდება საბჭოთა მეურნეობების დაგროვებისა და რენტაბელობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. საბჭოთა მეურნეობებში, სასოფ-



ლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა შეიძლება განხორციელდეს მიწისა და სხვა საწარმოო საშუალებათა უფრო სრულად და ეფექტურად გამოყენების საშუალებით. ცხადია, რამდენადაც დიდია საერთო პროდუქცია, საბჭოთა მიწების გამოყენების მეტი რაოდენობის სასაქონლო პროდუქცია და ამაღლონ საქონლიანობა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თვითღირებულების შემცირება საბჭოთა მეურნეობებს უზრუნველყოფს საქონლიანობის შეუწელებელი ამალგების პირობებში ამ მეურნეობების შემოსავლებისა და რენტაბელობის სისტემატურ გადიდებას.

მესამე—სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წამოწყებათა შემოსავლიანობის გადიდების მნიშვნელოვანი წყაროა. უკეთესი ხარისხის პროდუქციაზე უფრო მეტი მაღალი სარეალიზაციო ფასებია დაწესებული.

მეოთხე—საბჭოთა მეურნეობებში უნდა გატარდეს ფულადი და მატერიალურ საშუალებათა ხარჯვაში ეკონომიის მკაცრი რეჟიმი და აღმოფხვრას ყოველგვარი დანაკარგები, რაც ხელს შეუწყობს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და რენტაბელობის დონის ამაღლებას.

მეხუთე—საბჭოთა მეურნეობების ყველა რგოლში შიდასამეურნეო ანგარიშის დანერგვა მათი რენტაბელურ მეურნეობად გადაქცევის ერთ-ერთი საშუალებაა. ამიტომ აუცილებელია თანდათანობით ყველა მეურნეობა და მეურნეობის შიგნით განყოფილება გადაყვანილ იქნეს შიდასამეურნეო ანგარიშზე.

Г. В. ДЖЕБАШВИЛИ

РЕНТАБЕЛЬНОСТЬ ПРОДУКЦИИ РАСТЕНИЕВОДСТВА И ЖИВОТНОВОДСТВА ОВОЩНО-МОЛОЧНЫХ СОВХОЗАХ ГАРДАБАНСКОГО РАЙОНА

Резюме

На основе изучения и обобщения опыта работы в овоще-молочных совхозах рассматриваются вопросы рентабельности сельскохозяйственных продуктов, на примере овоще-молочных совхозов Гардабанского района. Кроме этого, дается анализ состояния производства с.-х. продуктов, их себестоимости, пути его снижения и подъема рентабельности.

ლიტერატურა — Литература

1. ვ. ი. ლენინი. თბზ., ტ. 33, თბ., 1953, გვ. 483.



მ. ვალაშვილი

ზოგიერთი საკითხი საკომუნიკაციო წარმოებაში შრომის ანაზღაურებისა და ფასის შესახებ

საკომუნიკაციო წარმოების განვითარება მოითხოვს სხვა ღონისძიებების გატარებასთან ერთად შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების შემდგომ სრულყოფას. ეს უკანასკნელი შესაძლებლობას გვაძლევს ავამაღლოთ კომუნიკაციო ცხოვრების დონე და დაეუახლოვოთ იგი ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების დონეს.

საქართველოს სსრ-ში ამ ბოლო პერიოდში, კომუნიკაციების შრომის გარანტირებულ ანაზღაურებაზე გადასვლის შემდეგ, მნიშვნელოვანი წარმატებები მოპოვებული სოფლის მოსახლეობის (კოლწევრების) საზოგადოებრივი მუშაობიდან მიღებული შემოსავლების გადიდების საქმეში.

საქართველოს კბ XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ „მეცხრე ხუთწლეულში, სახალხო მუშაობის შემდგომ განვითარებასთან ერთად, რესპუბლიკაში გარკვეული შედეგებია მიღწეული მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში: მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 30 პროცენტით და მისი ზრდის საშუალო წლიური ტემპმა 5,4 პროცენტი შეადგინა. მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 11,7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო კომუნიკაციო შრომის ანაზღაურება — 24 პროცენტით, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარებები და შედარებითი მოსახლეობის ერთ სულზე — 33 პროცენტით, ხოლო რეალური შემოსავალი 21,1 პროცენტით გაიზარდა“ [2].

შრომის ანაზღაურების სრულყოფა, რომელიც დამოკიდებულია საკომუნიკაციო წარმოების განვითარებაზე, თავის მხრივ, აქტიურ ზეგავლენას ახდენს შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე, შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე და თვით საკომუნიკაციო წარმოების განვითარებაზე.

როგორც სკკპ XXV ყრილობაზე იქნა აღნიშნული, საჭიროა „უფრო სრულად შევასამოთ მატერიალური და მორალური სტიმულები და გავაძლიეროთ მათი ზემოქმედება წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე, შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, მატერიალური რესურსების მომჭირნედ გამოყენებაზე“ [1]. ყოველივე ეს გავლენას ახდენს აგრეთვე მიწის



მალაღეფექტურად გამოყენებაზე. რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს სსრ-ში, როგორც ერთ-ერთ მცირე მიწიან ქვეყანაში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობების მნიშვნელობის წილი ჯერ კიდევ დაბალეფექტურად იყენებს მათზე მიმაგრებული მიწის მალაღეფექტურად გამოყენება როგორც სოფლის, ასევე ქალაქის მოსახლეობის მატერიალური და კულტურული პირობების გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა. მიწის გამოყენების მხრივ საქართველოს სსრ კოლმეურნეობები მეტად განსხვავებული მონაცემებით ხასიათდებიან, არა მარტო რესპუბლიკის, არამედ ზონის შიგნითაც კოლმეურნეობებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთების გამოყენების ეფექტურობა სხვადასხვაა. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის VIII ზონაში შედის მაიაკოვსკისა და ზესტაფონის რაიონები. აღნიშნული რაიონები მევენახეობის მიმართულენიანაა. ვენახთან ერთად სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა დიდი ნაწილი განკუთვნილია სიმინდის ნათესებისათვის. მაიაკოვსკის რაიონში ყურძნის საექტარო მოსავალი 1966—1970 წლებში შეადგენდა 34,4 ც-ს; ხოლო 1971—1975 წლებში 25,2 ც-ს. ამავე წლებში სიმინდის საექტარო მოსავალი შეადგენდა—12,4 და 11,3 ც-ს. ზესტაფონის რაიონში ყურძნის მოსავალი 1 ჰა-ზე 1966—1970 წლებში შეადგენდა 42,2 ც-ს, ხოლო 1971—1975 წლებში—35,3 ც-ს. სიმინდის მოსავალი კი 1 ჰა-დან ამავე წლებში შეადგენდა 14,2 და 13,0 ც-ს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე რაიონი ერთ ზონაშია მოთავსებული და მათი ბუნებრივ-ეკონომიური პირობები ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდება, მათ მიერ ფართობის ერთეულიდან მიღებული როგორც ყურძნის ასევე სიმინდის მოსავალი საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს ორივე რაიონში მიწის ეფექტურად გამოყენების დაბალი დონე.

მიწების ეფექტურად გამოყენების საკითხს სკკმ დიდ ყურადღებას უთმობს. კოლმეურნეთა მესამე საკავშირო ყრილობაზე ლ. ი. ბრეჯნევიმ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მიწის ეფექტურად გამოყენების, მისი ნაკაფიერების ამაღლების საკითხს. იგი აღნიშნავდა, რომ „მიწის დაცვა, მისი ნაკაფიერების გადიდება სოფლის მეურნეობის შემდგომი პროგრესის აუცილებელი პირობაა. ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი პრობლემაა“ [1].

კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების საფუძველია მათივე შრომით შექმნილი მატერიალური დოვლათი და ამ დოვლათის რეალიზაციით მიღებული ფულადი ამონაგები. კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების ადრე არსებული ფორმების გამოყენებისას კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება ნაკლები იყო, რომ უფრო ეფექტურად გამოეყენებინათ მიწა და სხვა წარმოების საშუალებები.

სკკმ ცვ-ის და მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 1 ივლისის დადგენილების— „კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წარმოების განვითარების“ შესაბამისად კოლმეურნეობები გადავიდნენ შრომის გარანტირებულ ანაზღაურებაზე, რომელიც გამომდინარეობს შესაბამისი ზონის საბჭოთა მეურნეობების სატარიფო განაკვეთებიდან.



შრომის გარანტირებული ანაზღაურება უფრო სრულად უზრუნველყოფს კოლმეურნეთა შრომით დაინტერესებას. შრომის გარანტირებული ანაზღაურება ზდება სხვადასხვა სპეციალობისა და კვალიფიკაციის მშრომელთა რაოდენობის მიხედვით. მაგრამ იგი არ ითვალისწინებს მათი შრომის სრულად, მის ხარისხობრივ მხარეს; რამდენადაც ეს უკანასკნელი სრულად გამოვლინდება წარმოებულ პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხში, ე. ი. წარმოების საბოლოო შედეგებში. კოლმეურნეთა შრომის საბოლოო შედეგები მხედველობაში მიიღება დამატებითი ანაზღაურებისას, რომელიც გაიცემა მიმდინარე სამუშაოების ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და წარმოების საბოლოო შედეგებისათვის. ამიტომ შრომის გარანტირებული ანაზღაურება მიმდინარე სამუშაოებისათვის და დამატებითი ანაზღაურება მისი ხარისხისა და საბოლოო შედეგებისათვის მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან. ისინი ორივენი ერთად შედიან პროდუქციის თვითღირებულებაში.

შრომის ანაზღაურება საკოლმეურნეო პროდუქციის თვითღირებულების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. მის სიდიდეზე დიდადა დამოკიდებული საკოლმეურნეო წარმოების ეფექტურობა. თუ რა წილი მოდის შრომის ანაზღაურებაზე პროდუქციის თვითღირებულებიდან ნაჩვენებია 1-ელ ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მთავრობისა და ზესტაფონის რაიონებში ძირითად კულტურათა პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარებებში მნიშვნელოვანი წილი შრომის ანაზღაურებაზე მოდის და შეადგენს 1966—1976 წლებში მთავრობის რაიონში ყურძნის წარმოებაზე გაწეული დანახარებების 42,1%, ხოლო სომხეთის წარმოებაზე გაწეული დანახარებების 40,2%-ს, შესაბამისად ზესტაფონის რაიონში — 43,9 და 44,5%-ს.

წარმოებულ პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ფულადი ამონაგებიდან გარანტირებული ნაწილის გადასვლა შრომის ანაზღაურების ფონდში ამაღლებს მშრომელთა მატერიალურ დაინტერესებას. შრომის ნაყოფიერებაზე მოქმედი ყველა ფაქტორი, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესება და მისი ეფექტურობის ზრდა უზრუნველყოფენ წარმოებულ პროდუქციის ზრდას და ამასთან ერთად შრომის ანაზღაურების ფონდის ზრდას.

შრომის ანაზღაურების ფონდში გარანტირებულ გადარიცხვათა დაგეგმვა მჭიდროდაა დაკავშირებული გამომუშავეების ნორმებთან, როგორც შრომის რაოდენობის კონკრეტულ გამოხატულებასთან. მეცნიერულად დასაბუთებული შრომის ნორმირება წარმოადგენს მშრომელთა მატერიალური და მორალური სტიმულირების ობიექტურ აუცილებლობას. პროგრესული ნორმების საფუძველზე თავისდროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებული სამუშაო განაპირობებს პროდუქციის ზრდას, რაც თავისთავად ამაღლებს შრომის ანაზღაურებისათვის განკუთვნილ გარანტირებულ ნაწილს. გამომუშავეების ნორმები შედგენილი უნდა იქნეს ოპტიმალურად ისე, რომ მან უზრუნველყოს საწარმოს და-



კლასიკური სტილის ახსნაფენის წილი მშენებლის ჯიშის მიხედვით საქართველოში

საქართველოს
სტატისტიკის ცენტრი

მშენებლის ჯიშის სახელი	1966 წ.		1967 წ.		1968 წ.		1969 წ.		1970 წ.		1971 წ.		1972 წ.		1973 წ.	
	მშენებ. (ათ. მტ.)	% ჯიშის გაზიარების	მშენებ. (ათ. მტ.)	% ჯიშის გაზიარების	მშენებ. (ათ. მტ.)	% ჯიშის გაზიარების	მშენებ. (ათ. მტ.)	% ჯიშის გაზიარების	მშენებ. (ათ. მტ.)	% ჯიშის გაზიარების	მშენებ. (ათ. მტ.)	% ჯიშის გაზიარების	მშენებ. (ათ. მტ.)	% ჯიშის გაზიარების	მშენებ. (ათ. მტ.)	% ჯიშის გაზიარების
სა. კლასიკ. სტილი																
ევრაზი	340	52,0	330	53,0	335	48,8	300	42,7	326	40,8	227	37,2	264	38,5	292	41,4
საბერძნ.	302	56,8	298	49,1	340	44,1	56	35,2	107	32,0	99	36,2	100	33,2	120	35,9
სა. კლასიკ. სტილი																
ევრაზი	638	47,7	1004	53,1	878	46,2	333	47,9	743	45,0	771	40,8	610	39,0	632	41,0
საბერძნ.	209	32,4	316	37,0	193	24,2	186	41,9	134	41,4	125	28,0	147	41,2	139	36,8



ვალების მალალხარისხოვანი და თავისდროული შესრულება. მისი დაუსაბუთებლად გაზრდა ან შემცირება უარყოფითად მოქმედებს როგორც მწიფე მსხვილი აქტივობაზე, ისე შრომის საბოლოო შედეგებზე.

ს ი გ ლ ი მ ი მ ე ქ ა

თანამედროვე პირობებში კაცლის ანაზღაურებას ახასიათებს ტენდენცია გაზრდისაკენ. რამდენადაც პროდუქციის სახელმწიფო შესასყიდი ფასის მთავარი შემადგენელი ნაწილი თვითღირებულებაა, ხოლო თვითღირებულების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი შრომის ანაზღაურებაზე მოდის, ამდენად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ფასების ზრდამ, რაც ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო რეფორმის გატარების შემდგომ ინტენსიურად ხორციელდება, ზეგავლენა მოახდინა კაცლის ანაზღაურებაზე. მაგ.: თუ მაიაკოვსკის რაიონში ყურძნის წარმოებაზე 1 კაცლის ანაზღაურება 1966—1970 წლებში 2,07 მან. იყო, ხოლო სიმინდის 1,69 მან. 1971—1975 წლებში იგი შეადგენდა ყურძნის წარმოებაზე 2,42 მანეთს, ხოლო სიმინდის წარმოებაზე—1,85 მანეთს. შესაბამისად ზესტაფონის რაიონში ყურძნის წარმოებაზე 1 კაცლის ანაზღაურება 1966—1970 წლებში შეადგენდა 2,62 მანეთს, სიმინდის წარმოებაზე კი 1,80 მანეთს, 1971—1975 წლებში კი 2,80 და 1,95 მანეთს. (ამავე პერიოდებში 1 ც ყურძნის სარეალიზაციო ფასი მაიაკოვსკის რაიონში იყო 38,88 მან. და 42,27 მან. სიმინდისა—11,04 და 12,32 მან. ზესტაფონის რაიონში ამავე წლებში ყურძნის სარეალიზაციო ფასი იყო 40,5 და 46,1 მან., სიმინდისა 12,5 და 11,7 მან.). მაგრამ კაცლის ანაზღაურების გადიდება სარეალიზაციო ფასის ზრდის შედეგად თავის მხრივ იწვევს მოცემული პროდუქციის თვითღირებულების ზრდას. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მაიაკოვსკის, ისე ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებში სიმინდის თვითღირებულების ზრდის ტემპი გაცილებით უსწრებს სარეალიზაციო ფასის ზრდის ტემპს. მაიაკოვსკის რაიონში 1 ც სიმინდის სარეალიზაციო ფასი 1971—1975 წლებში 1966—1970 წლებთან შედარებით 110%-ით გაიზარდა, მაშინ როცა მისი თვითღირებულება 25,5%-ით გაიზარდა, ხოლო ზესტაფონის რაიონში სიმინდის სარეალიზაციო ფასი აღნიშნულ წლებში თითქმის 5,5%-ით შემცირდა. მაშინ როცა თვითღირებულება გაიზარდა 13,5%-ით. ორივე რაიონში სიმინდის რეალიზაციოდან მიღებული თანხა ვერ ფარავს მის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯს. იმისათვის, რომ აღნიშნული კულტურა რენტაბელური გახდეს, საჭიროა გაიზარდოს მოსავალი 1 ჰა-ზე, სიმინდის ფაქტურით სარეალიზაციო ფასი მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს მის თვითღირებულებას.

ამრიგად, კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების შემდგომი სრულყოფა უშუალო კავშირშია სახელმწიფო შესყიდვის ფასების სრულყოფასთან. აღნიშნული რაიონების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ აუცილებელია კოლმეურთა მატერიალურ სტიმულირების გაძლიერებას მიზნით შრომის ანაზღაურების შემდგომი გადიდება საშუალო რესპუბლიკურ შრომის ანაზღაურების დონემდე მანც. ძირითადად ეს უკანასკნელი უნდა განხორციელდეს საკოლმეურნეო წარმოების ინტენსიური განვითარების გზით, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს შესასყიდი ფასების გადიდების გარეშე მნიშვნელოვნად შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება და ავამაღლოთ წარმოების რენტაბელობის დონე.



НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ОПЛАТЫ ТРУДА И ЦЕН В КОЛХОЗНОМ
ПРОИЗВОДСТВЕ

სოციალისტური
საბჭოთა ქვეყნების

Резюме

Развитие колхозного производства, наравне с другими мероприятиями, требует дальнейшего улучшения организации и оплаты труда.

Совершенствование оплаты труда, которая зависит от развития колхозного производства, само собой активно воздействует на укрепление дисциплины труда, повышение производительности труда, а также на развитие колхозного производства.

В соответствии с постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР «О повышении материальной заинтересованности колхозников в развитии общественного производства», колхозы с 1 июля 1966 года перешли на гарантированную оплату труда колхозников, исходя из тарифных ставок совхозов.

Оплата человекадня в Маяковском и Зестафонском районах Грузинской ССР в современных условиях характеризуется тенденциями к повышению. Поскольку главной составной частью государственной закупочной цены продукции является себестоимость, а в структуре себестоимости значительное место занимает оплата труда, постольку повышение закупочной цены продукции сельского хозяйства производит воздействие на оплату человекадня. Но увеличение оплаты труда человекадня, в результате повышения реализационной цены, само собой вызывает повышение себестоимости данного продукта. В основном, увеличение оплаты человекадня должно осуществляться в результате интенсивного развития колхозного производства, которое дает возможность без увеличения закупочных цен уменьшить себестоимость и увеличить рентабельность продукции.

ლიტერატურა — Литература

1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი. თბ., 1976.
2. საქართველოს კვ XXV ყრილობის მასალები. თბ., 1976. გვ. 75.
3. ლენინის კოპერაციული გეგმის გამარჯვება. კოლმეურნეთა მესამე სრულიად საქავშირო ყრილობის მასალები. 1969 წლის ნოემბერი.
4. Ценообразование и рентабельность сельскохозяйственного производства. Под ред. член-корр. ВАСХНИЛ Э. И. Лукашова. М., 1971.



ჯ. ბეჟინი

შრომითი რესურსების გამოყენების საკითხი, როგორც ლენინური აბრარული პოლიტიკის უმთავრესი ნაწილი

სოციალისტური აგრარული პოლიტიკა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია, რომლის საფუძველს წარმოადგენს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება, ქალაქისა და სოფლის დაახლოება, სოციალისტური საზოგადოების ურთიერთობათა შემდგომი განვითარების ინტერესები და ა. შ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სათავე დაუდო იმ აგრარულ პროგრამის განხორციელებას, რომელიც შეიმუშავა ვ. ი. ლენინმა ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში და რომელიც შემდგომ საფუძველად დაედო სოციალისტური აგრარული პოლიტიკის განუხრელ განხორციელებას ჩვენს ქვეყანაში.

ვ. ი. ლენინმა მთელ რიგ თავის გენიალურ შრომებში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ახალ პირობებში შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმი და მოგვცა გლეხობის სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის ძირითადი საფუძვლები. კოოპერატიულ გეგმაში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა წყობილების პირობებში, როცა პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირი მუშათა კლასის ხელმძღვანელობით უზრუნველყოფილია, როცა წარმოების ძირითადი საშუალებები, მათ შორის მიწა სახელმწიფოს ხელშია—კოოპერაცია სოციალ-სტურ წარმოებას წარმოადგენს. ამ პირობებში კოოპერაცია მსხვილ კოლექტივებად გლეხობის გაერთიანების ყველაზე ხელმისაწვდომი ფორმაა— „რომელშიც შეხამებულია გლეხის კერძო პირადი ინტერესები მთელი საზოგადოების საერთო ინტერესებთან“.

სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ლენინური გეგმა წარმოადგენს იმ აგრარული პოლიტიკის საფუძველს, რომელსაც კომუნისტური პარტია ახორციელებს სოციალისტური საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე.

სკკპ პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შეაფასა რა ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობაში შექმნილი ვითარება, შეიმუშავა პარტიის აგრარული პოლიტიკა, რომელსაც დასაბამა მისცა სკკპ ცკ-ის 1965 წლის მარტისა და სექტემბრის პლენ-



ნუმებმა. პლენუმის გადაწყვეტილებები წარმოადგენენ ღრმად განხილვისა და პარტიის აგარარულ პოლიტიკაში, რომელიც მიზნად ისახავს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველმხრივ ინტენსიფიკაციას, წარმოების **კარგად და სპეციალიზაციას**, რომელმაც შემდგომში ასახვა და ყოველ **ბმბ წმ წმ წმ** კპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის მისის, 1968 წლის ოქტომბრის, 1970 წლის ივლისის პლენუმების და ისტორიული XXIII და XXIV ყრილობების გადაწყვეტილებებში.

თანამედროვე აგარარული პოლიტიკის არსი და მისი ძირითადი მიმართულებები მოცემულია ლ. ი. ბრეჟნევის წიგნში „სკკპ აგარარული პოლიტიკის საკითხები“, სადაც განზოგადებულია სკკპ და მთელი საბჭოთა ხალხის კოლმეურნე გლეხობის შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობა. სოციალისტური აგარარული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის, რომლის ძირითადი მიზანია: სოფლის საწარმოო ძალების შემდგომი ამაღლება და სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის სრულყოფა, ქალაქსა და სოფელს შორის საწარმოო-კავშირურ ურთიერთობის სისტემების შექმნა და სრულყოფა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე სახელმწიფო შესყიდვის ფასების სტაბილურობა, მატერიალური და მორალური სტიმულირების ბერკეტების სრულად და რაციონალურად გამოყენება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შემდგომი გაღრმავება და ა. შ. რაც სრულყოფს სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, როგორც ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს თავის სიტყვაში ქ. აღმა-ათაში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების XX წლისათვის აღმა მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე 1974 წლის 18 მარტს „განვლილი წლების გამოცდილებამ საეხებით დაადსტურა ეკონომიური ბერკეტების ეფექტიანობა განსაკუთრებით მაშინ, როცა უნარიანად უზამებენ მორალურ სტიმულებს. საჭიროა კვლავაც სრულყოთ ისინი და მიზნად დავისახოთ, რომ ცალკეული მუშაკებისა და კოლექტივების შრომის ანახლავრება სულ უფრო პირდაპირ იყოს დამოკიდებული მათი საქმიანობის საბოლოო შედეგებზე. მხოლოდ ასეთი გზით მივაღწევთ მიწებისა და ტექნიკის ეფექტიან გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების დაჩქარებულ ზრდას“.

სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის განხორციელებისათვის მარტო მე-9 ხუთწლეულში სახელმწიფომ კოლმეურნეობისათვის გამოყო 129 მილიარდი მანეთი, ე. ი. იმდენი, რამდენიც იყო ერთად აღებული ორ წინა ხუთწლეულში. ნივთობრივად ეს თანხა შეადგენს: 233 ათას ტრაქტორს და მათი რაოდენობა გაიზარდა 1.700.000-მდე და ა. შ. საკმარისია აღინიშნოს, რომ ხუთწლეულში ენერგოსიმძლავრეები სოფლის მეურნეობაში გაიზარდა 161 ათასი ცხენის ძალით ანუ ერთნახევარჯერ მეტად ვიდრე წინა ხუთწლეულში.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ამ მიმართულებით ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის.

როგორც ცხრილში მოტანილი მასალების ანალიზი გვიჩვენებს სოფლის-მეურნეობის ენერგოსეზიარალების ზრდა წლების მიხედვით თვალსაჩინოა და მო-



საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისათვის ტრაქტორების, ავტომობილების და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მიწოდების დინამიკა ცალკობით

ტრაქტორები

	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1973 წ.
ტრაქტორები ფიზიკურ ერთეულებში	1161	3176	3086	2909
საბაზო ავტომობილები	570	916	1458	1950
გუნდები	2016	1475	2063	2629
კულტივატორები	356	3216	875	980
ჩაბრუნები	374	550	750	1140
ხორბლის ანაბი კომბაინები	—	215	82	150
სოფლის ანაბი კომბაინები	20	67	210	284
თივის ანაბი კომბაინები	410	461	724	1226

იცავს თითქმის ტექნიკური შეიარაღების ყველა სფეროს, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ საანალიზო წლებში რამდენადაც ცვალებადია ტრაქტორების მოწოდების მდგომარეობა. კერძოდ, თუ 1965 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობას მრეწველობამ მიაწოდა 3176 ტრაქტორი—1973 წელს მისი მოწოდება შემცირდა 265 ტრაქტორით, მაგრამ 1960 წელს მათი მოწოდება შედარებით გაიზარდა თითქმის ერთჯერ და უფრო მეტად, შესაბამისად იზრდება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სატრაქტორო პარკის სიმძლავრეები:

ცხრილი 2

	1941 წ.	1951 წ.	1961 წ.	1971 წ.	1973 წ.
სულ ტრაქტორები ფიზიკურ ერთეულებში	3015	4540	6176	122864	19369
ხორბლის ანაბი კომბაინები	532	539	1770	1561	1412
ავტომობილები	2737	4945	8732	15793	18216

თუ 1941 წელს ავიღებთ საბაზისო მაჩვენებლად, დაინახავთ, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სატრაქტორო პარკის სიმძლავრეების მოცულობისათვის დამახასიათებელია თვალსაჩინო ზრდის ტენდენცია, მაგალითად, თუ 1941 წელს ტრაქტორთა სიმძლავრე შეადგენდა 3015 ცხ. ძ.-ს. 1973 წელს მან მიაღწია 19369 ცხ. ძ.-ს, გაიზარდა თითქმის ხუთჯერ და უფრო მეტად, კომბაინებისა—ორჯერ და უფრო მეტად, ხოლო სატვირთო ავტომობილებისა—ცხრაჯერ და ა. შ. მიუხედავად აღნიშნული ტექნიკური პროგრესისა, რაც დამახასიათებელია ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის, ჯერ კიდევ საგრძნობია შრომითი რესურსების გამოყენების და მით უმეტეს მათი რაციონალური დასაქმების საჭიროება.

მკვეთად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა, კლიმატურ-ნივლიანობრივი პირობების მკვეთრი განსხვავება, მრავალდარგოვნობა და მასთან დაკავშირებული საკითხები, საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ საგრძნობია შესრულებულ სამუშაოთა მოცუ-



ლობაში პიროვნული ფაქტორის ხვედრითი წონა, რაც არა მარტო გამოიხატება შრომითი რესურსების დასაქმების შემცირებას, არამედ პირდაპირ, მნიშვნელოვნებით მტკიცებულად დგას ეს საკითხი საქართველოს სსრ მთიანეთის რაიონში. ში, სადაც ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობანი მეტად მცირეა, ამას ემატება ის გარემოებაც, რომ მოსახლეობა მცირდება დენადობის გამო, რაც კიდევ უფრო ამცირებს მთის რაიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების მასშტაბებს და წარმოების ზრდის ტემპებს.

სხვა მიზეზებთან ერთად, რომელიც აპირობებს ზემოთ აღნიშნულ მდგომარეობას, უნდა მივიჩნიოთ რესპუბლიკაში სამრეწველო ობიექტების მშენებლობის დიდი მასშტაბები. სამრეწველო ქალაქების სწრაფმა ზრდამ მკვეთრად შეამცირა შრომითი ბალანსის რაოდენობა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, რამაც არსებითად თავისი დადებითი კვალი დატოვა მრეწველობის განვითარებაში, მაგრამ უარყოფითად იმოქმედა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებაზე. მართალია ინტენსიფიკაციის თანამედროვე დონე და პირობები ითვალისწინებს წარსული შრომის ხვედრითი წონის სისტემატურ ზრდას, მაგრამ ის მაინც არ გამოიხატება ცოცხალი შრომის გამოყენების მნიშვნელობას. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსების გამოყენების დინამიკა იძლევა შემდეგ სურათს:

ცხრილი 3

	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1971 წ.	1974 წ.
კოლმეურნეობები	489,9	425,9	384,2	372,8	372,6
საბჭოთა მეურნეობები	—	114,0	160,2	171,1	194,4

როგორც მონაცემებიდან ჩანს, კოლმეურნეობაში კოლმეურნეთა ხვედრითი წონა წლების მიხედვით ცვალებადია და ატარებს შემცირებელ ხასიათს. კოლმეურნეობაში შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი შემცირება, გამოწვეულია იმით, რომ გაიზარდა კოლმეურნეობათა ტექნიკური შეიარაღება, მეორეც, მოხდა შრომითი რესურსების მიგრაცია სოფლიდან ქალაქში, და მესამეც, კოლმეურნეობიდან სამუშაო ძალა გადავიდა საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ. მაგალითად, თუ 1965 წელს საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდა 114,0 ათასი კაცი, 1970 წელს მან შეადგინა 160,2 ათასი, 1971 წელს—171,1, ხოლო 1974 წელს — 194,4 ათასი, როგორც ვხედავთ, კომენტარი ზედმეტია, თითქმის ყოველწლიურად იზრდება საბჭოთა მეურნეობებში სამუშაო ძალის გამოყენების ხვედრითი წონა. მაგრამ საერთო რაოდენობრივი თვალსაზრისით თუ შევუდარებთ ერთმანეთს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაო ძალის გამოყენების აბსოლუტურ რაოდენობას დავინახავთ, რომ სამუშაო ძალის

გამოყენების მოცულობა კოლმეურნობაში უფრო მაღალია, რასაც აქვს თავისი ობიექტური მიზეზები, უპირველეს ყოვლისა ტექნიკის გამოყენების არასაკმარისი დონე, შრომის ორგანიზაცია, ანაზღაურების მდგომარეობა და ა. შ. უკვე მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ რესპუბლიკის მასშტაბით კოლმეურნობათა ბაზაზე იქმნება საბჭოთა მეურნეობები. მაგალითად, თუ საქართველოს სსრ-ში 1960 წელს იყო 147 ს/მეურნეობა, 1974 წელს მან შეადგინა 269, ე. ი. გაიზარდა თითქმის ერთნახევარჯერ. შესაბამისად შემცირდა კოლმეურნობათა რაოდენობა, ნაცვლად 1960 წელს 1847 კოლმეურნეობისა 1974 წელს საქართველოს სსრ-ში იყო 1158 კოლმეურნეობა. ეს პროცესი კვლავაც გრძელდება და ატარებს გეგმავთმეორ ხასიათს, რაც გამომდინარეობს სკკპ აგრარული პოლიტიკიდან, რადგანაც, როგორც ცნობილია, თანდათან უნდა მოხდეს საკოლმეურნეო კოოპერაციული საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრებასთან შერწყმა.

Д. А. ГЕЦАДЗЕ

ВОПРОСЫ ТРУДОВЫХ РЕСУРСОВ, КАК СОСТАВНАЯ ЧАСТЬ ЛЕНИНСКОЙ АГРАРНОЙ ПОЛИТИКИ

Резюме

Социалистическая аграрная политика — одна из составных частей марксистско-ленинской теории, основой которой является укрепление союза рабочего класса и крестьянства, сближение города с деревней, интересы дальнейшего развития социалистических общественных отношений.

Оценив создавшееся положение сельского хозяйства в нашей стране, ЦК КПСС и Советское правительство разработали аграрную политику партии, которой дали начало мартовский и сентябрьский пленумы ЦК КПСС в 1965 году. Сущность современной аграрной политики и ее основные направления даны в книге Л. И. Брежнева «Вопросы аграрной политики КПСС».

Большое место уделено в труде вопросам трудовых ресурсов, и на примере сельского хозяйства республики даны и проанализированы актуальные вопросы этой важной проблемы.

ლიტერატურა — Литература

1. კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. 1, 1954.
2. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები. ტ. 2, 1964.
3. ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, 1952.
4. ლ. ი. ბრეჟნევი. სიტყვა ყამირი და ნახვენი მიწების ათვისების XX წლი-სთან დაკავშირებით ქ. ალმა-ათაში 1974 წ. 16 მარტს.



5. ლ. ი. ბ რ ე ე ნ ე ე ი. სკკპ აგრარული პოლიტიკის საკითხები. 1975.
6. სკკპ ცკ 1965 წლის მარტისა და სექტემბრის პლენუმების მასალები. თბ., 1965.
7. სკკპ XXIV ყრილობის მასალები. თბ., 1971.
8. გ. ა დ ე ი შ ე ი ლ ი. შრომითი რესურსების კვლავწარმოების პრობლემებში საბჭოთა საქართველოში. თბ., 1972.
9. საქართველოს სსრ ციფრებში—1970—1971—1972—1973—1974.



მ. ღვინაძე

აუთილაველი პროდუქტის განაწილება სოციალიზმის დროს

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა თავიანთ შრომებში მეცნიერულად დაასაბუთეს, რომ ყოველ ეკონომიურ ფორმაციას აქვს განაწილების თავისი წესი. რა ურთიერთობანიც არსებობს საზოგადოებრივ წარმოებაში, ისეთივე ურთიერთობანია განაწილებაშიც. მაშასადამე, წარმოებითი ურთიერთობანი განსაზღვრავენ განაწილების შესაბამის ურთიერთობას. განაწილება წარმოებასა და მოხმარებას შორის დამაკავშირებელი რგოლია. განაწილება გულისხმობს: პირველი—წარმოების საშუალებათა განაწილებას და მეორე—წარმოებული პროდუქტის განაწილებას.

მართალია, განაწილება წარმოებასა და მოხმარებას შორის კავშირს ამყარებს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ წარმოების განვითარებაში იგი მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. განაწილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოების განვითარებაზე, აჩქარებს ან აბრკოლებს მის განვითარებასა და სრულყოფას.

განაწილება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელს უწყობს საზოგადოებრივი წარმოების ზრდას. მოხმარების საგნების გაზოყენების საფუძველზე ხდება სამუშაო ძალის კვლავწარმოება. საკვების, საყოფაცხოვრებო საგნების, სულიერი და ესთეტიკური სიკეთის მოხმარების პროცესში ადამიანი აღიდგენს დაზარალებულ ენერჯიას. ეს კი საშუალებას აძლევს მუშაკს კვლავ გააგრძელოს შემდგომში შრომითი პროცესი. მოხმარების საგნების განაწილება სოციალისტურ საზოგადოებაში განაპირობებს მუშაკების დამოკიდებულებას შრომისადმი. იგი განსაზღვრავს მუშაკების დაინტერესებას თავისი შრომის შედეგებით.

ვ. ი. ლენინი საზოგადოებრივი კვლავწარმოების ანალიზის შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ განაწილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოებაზე. იგი წერდა: განაწილება არის მეთოდი, იარაღი, წარმოების ამაღლების საშუალება.

სოციალისტურ საზოგადოებაში წმინდა პროდუქტი ორ ნაწილად იყოფა. ისინი ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებიან, რომ საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში სხვადასხვა როლს ასრულებენ. წმინდა პროდუქტის ერთი ნაწილი წარმოადგენს აუცილებელ პროდუქტს, რომელსაც მარქსი უწოდებს სა-



ბრსებო საშუალებათა ფონდს. იგი წერს: „საბრსებო საშუალებათა ფონდის ხელშეწყობა უნდა საკმარისი იყოს იმისათვის, რომ შეინახოს მშრომელი ინდივიდი როგორც ასეთი, მისი ცხოვრების ნორმალურ მდგომარეობაში. პროდუქტის მწიკის სახელი გამოყენებულია საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის“.

სოციალიზმის დროს კაპიტალისტური წარმოების წესისაგან ვანსხვავებით წმინდა პროდუქტის ეს ნაწილები ანტაგონისტურ წინააღმდეგობაში როდი იმყოფებიან. იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში წარმოების საშუალებებზე არსებობს საზოგადოებრივი საკუთრება, ამიტომ საზოგადოების მიერ შექმნილი პროდუქტი მთლიანად ხალხს ეკუთვნის. ის იწარმოება და ნაწილდება მშრომელთა ინტერესების შესაბამისად.

ცნობილია, რომ ჩვენს საზოგადოებაში, ეროვნული შემოსავლის განაწილება წარმოებს გეგმავზომიერად, გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოებისა და ხალხის კეთილდღეობის განუზრეგლი ზრდის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის. თავისი განაწილების პირველ სტადიას ეროვნული შემოსავალი გადის სამეურნეო საწარმოებში. აუცილებელი პროდუქტი და ზედმეტი პროდუქტი პირველადი განაწილების პროცესში ღებულობს პროდუქტი თავისათვის და პროდუქტი საზოგადოებისათვის ფორმას. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ პროდუქტი თავისათვის მთლიანად შედგება მხოლოდ აუცილებელი პროდუქტისაგან. იგი გადადის მატერიალურ სფეროში დასაქმებული მუშების უშუალო პირად განკარგულებაში ხელფასის, საზოგადოებრივი მეურნეობებიდან კოლმეურნეების მიერ მიღებული ნატურალური და ფულადი შემოსავლების, პირადი დამხმარე მეურნეობებიდან კოლმეურნეების, მუშებისა და მოსამსახურეების მიერ მიღებული შემოსავლების სახით. ამრიგად, პროდუქტი თავისათვის მუშაკის განკარგულებაში ხვდება უშუალო შრომის შედეგების მიხედვით და გამოიყენება მისი შეხედულების მიხედვით, რაც შეეხება პროდუქტს საზოგადოებისათვის, იგი მოიცავს აუცილებელი პროდუქტის ნაწილს და მთელ ზედმეტ პროდუქტს.

როგორც ვხედავთ, სოციალიზმის მშენებლობის პროცესში ობიექტურად ჩამოყალიბდა აუცილებელი პროდუქტის ორი ძირითადი ფორმა. სოციალისტური წარმოების მუშაკის აუცილებელი პროდუქტის ძირითადი ნაწილი ღებულობს ფორმას პროდუქტი თავისათვის, რაც მუშაკის სრულ გამგებლობაში გადადის.

კატეგორია პროდუქტი თავისთვის გამოხატავს საზოგადოებასა და მუშაკს შორის, საწარმოებსა და მუშაკებს შორის ეკონომიურ ურთიერთობას, რასაც ძირითადში რეგულირებას უკეთებს სახელმწიფო.

აუცილებელი პროდუქტის მეორე ფორმას აქვს საზოგადოებრივი ხასიათი. იგი მატერიალურ სფეროში დასაქმებული მუშაკის განკარგულებაში გადადის მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე. წმინდა პროდუქტის პირველადი განაწილების პროცესში განსაზოგადოებული აუცილებელი პროდუქტი შედის პროდუქტი საზოგადოებისათვის შემადგენლობაში. ამასთან იგი შეადგენს მხოლოდ მის ნაწილს. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ პროდუქტი საზოგადოებისათვის გამოიყენება არა მარტო მატერიალური წარმოების სფეროში დასაქ-

მებუღი მუშაკებისა და მათი ოჯახების საერთო მოთხოვნილები დასაკმაყოფილებლად, არამედ საერთო-სახელმწიფოებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივი წარმოების პროდუქტი პროდუქტი საზოგადოებისათვის წარმოადგენს ზედმეტი პროდუქტი პროდუქტის ნაწილის გამოსახვის ფორმას.

სოციალისტურ საზოგადოებაში პროდუქტი საზოგადოებისათვის ღებულობს შემდეგნაირ ფორმას: პროდუქტი სახელმწიფო საწარმოთა კოლექტივისათვის, პროდუქტი კოლმეურნეობებისათვის და პროდუქტი სახელმწიფოსათვის.

პროდუქტი სახელმწიფო საწარმოთა კოლექტივისათვის, ეს არის პროდუქტის ნაწილი საზოგადოებისათვის, რომელიც გამოიყენება იმ საწარმოში, სადაც იგი შეიქმნა. ეს პროდუქტი სოციალიზმის პირობებში სახელმწიფოებრივ საკუთრებას წარმოადგენს და მას კონტროლს უწევს სახელმწიფო საზოგადოებრივ დავალებით.

პროდუქტი კოლმეურნეობისათვის ეს არის პროდუქტის ნაწილი საზოგადოებისათვის, რომელიც შექმნილია ამა თუ იმ კოლმეურნეობაში გაერთიანებული კოლმეურნეობის მიერ და წარმოადგენს საკოლმეურნეო-კოოპერაციულ საკუთრებას. ამ პროდუქტის განაწილება და გამოყენება ხდება კოლმეურნეობის საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროდუქტი სახელმწიფოსათვის, ეს პროდუქტის ის ნაწილია, რომელიც საზოგადოების საკუთრებას წარმოადგენს. იგი სახელმწიფოს განკარგულებაში გადადის სახელმწიფო საწარმოებისა და საკოლმეურნეო-კოოპერაციული საწარმოებისაგან სხვადასხვა არხებით და მას იყენებს სოციალისტური წარმოების მასშტაბების განუწყვეტელი გაფართოებისა და მშრომელთა კეთილდღეობის დონის ასამაღლებლად.

სოციალისტურ საწარმოებში დასაქმებული მუშაკები აუცილებელი პროდუქტის ნაწილს იყენებენ თავიანთი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მომავალი თაობის აღსაზრდელად, ჯანმრთელობისა და ესთეტიკური მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და სხვ. ყოველივე ზემოაღნიშნული წარმოების მუშაკს საშუალებას აძლევს დახარჯული ენერჯია აღიდგინოს და კვლავ შეძლოს შრომის პროცესის ნორმალური წარმართვა.

სოციალისტურ საზოგადოებაში მთელი რიგი საარსებო საშუალებათა მოთხოვნილების დაკმაყოფილების ცენტრალიზებული წესით განხორციელება გაპირობებულია იმით, რომ საზოგადოებამ აუცილებლად კონტროლი უნდა დააწესოს მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებული მუშაკების ინტელექტუალურ და სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. ამის განხორციელება კი შესაძლებელია მხოლოდ მათი მაქსიმალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხარჯზე. ეს კი მიიღწევა სოციალისტური კვლავწარმოების მასშტაბების გაფართოების საფუძველზე.

მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება განვითარებული სოციალიზმის პირობებში აუცილებელი პროდუქტის ორი ფორმის ოპტიმალურ შეთანაწყობას. იმის გამო, რომ პროდუქტის პირველი ფორმა აგებულია შრომით პრინციპზე, ხოლო



მეორე ფორმა უფასო ანაზღაურებაზე, წარმოების განვითარების ყველა ეტაპზე ისეთი შეფარდება უნდა დამყარდეს, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალურ დაინტერესებას თავისი შრომის შედეგებით.

სოციალიზმის პირობებში განაწილებით ურთიერთობას წარმართავს კომუნისტური წარმოების წესისათვის დამახასიათებელი ეკონომიური კანონები, კერძოდ, შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიური კანონი. ამ კანონის არსი იმაში გამოიხატება, რომ სამუშაო ძალის გაფართოებული კვლავწარმოება ობიექტურად მოითხოვს აუცილებელი პროდუქტის განაწილებას წარმოების სფეროში დასაქმებული მუშაკების ყოველმხრივი, პარამონიული განვითარებისა და შენახვისათვის.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში მატერიალური და სულიერი დოვლათის განაწილება წარმოებს როგორც შრომის მიხედვით განაწილების, ისე მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების განაწილების კანონის მეშვეობით.

თანამედროვე ეკონომიურ ლიტერატურაში ზოგიერთი ეკონომისტი გამოთქვამს მოსაზრებას, თითქმის ჩვენს საზოგადოებაში სოციალისტური განაწილების მხოლოდ ერთი განაწილების კანონი მოქმედებს. მაგალითად, ბ. ვ. რაკიტსკი თავის შრომაში — „მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, როგორც ეკონომიური კატეგორია“ — აღნიშნავს, რომ სოციალისტური განაწილების ერთადერთ ფორმას შრომის მიხედვით განაწილების კანონი წარმოადგენს. ამ მოსაზრებას იზიარებენ აგრეთვე სხვა საბჭოთა ეკონომისტებიც. გამოდის, რომ მატერიალური და სულიერი სიკეთის ერთი ნაწილის განაწილება წარმოებს კანონის მიხედვით, ხოლო მეორე ნაწილისა, რომლის განაწილება ხდება საზოგადოებრივი მოხმარების ფონდების მეშვეობით, არ წარმოებს კანონის მიხედვით. ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული ეკონომისტების მოსაზრება არ არის სწორი, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მატერიალური და სულიერი სიკეთის განაწილება წარმოებს შრომის მიხედვით განაწილებისა და მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების განაწილების კანონის საფუძველზე.

შრომის მიხედვით განაწილება უდიდესი უპირატესობაა კაპიტალიზმთან შედარებით. იგი სპობს არაშრომით შემოსავლებს და პარაზიტულ მოხმარებას. ჩვენს საზოგადოებაში თანამიმდევრულად ხორციელდება პრინციპი: „თანაბარი ანაზღაურება თანაბარი შრომისათვის“. ეს უზრუნველყოფს ადამიანთა თანასწორობას, მოღიანად გამოირიცხავს ქალთა და ნაციონალურ უმცირესობათა დისკრიმინაციას.

როგორც ვხედავთ, საზოგადოების ყველა შრომისუნარიანი მუშაკი ვალდებულია შრომობდეს სოციალისტურ საწარმოში. უნდა შევნიშნოთ, რომ შრომის მიხედვით განაწილება როდეს ნიშნავს იმას, რომ თანასწორობა მყარდება ადამიანთა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. მართალია, სოციალიზმი სპობს ადამიანთა უთანასწორობის ეკონომიურ საფუძველს, მაგრამ საზოგადოებას, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, არ ძალუძს ერთბაშად მოსპოს შემდგომი უსამართლობაც, რაც მდგომარეობს მოხმარების საგნების შრომის მიხედვით (და არა მოთხოვნილების მიხედვით) განაწილებაში. შრომის მიხედვით განაწი-



ლებს „ნაკლი“ მხოლოდ იმაში ელინდება, რომ არაერთნაირი ადამიანები ერთად გამოყენებულია ერთნაირი სამართლებრივი საზომი.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში აუცილებელია ნაწილება წარმოებს პრინციპით — „თითოეულს უნარის მიხედვით, თითოეულს შრომის მიხედვით.“ შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიური კანონი სოციალიზმის სპეციფიკური ეკონომიური კანონია. სოციალისტური წარმოების განვითარების თანამედროვე დონე ჯერ კიდევ ვერ ქმნის მოხმარების საგნების იმ რაოდენობას, რომელიც დააკმაყოფილებდა მაქსიმალურად ადამიანთა გაზრდილ მოთხოვნილებას. ასეთ პირობებში შრომის მიხედვით განაწილება შესაძლებლობას იძლევა მოხმარების საგნები მშრომელთა შორის განაწილდეს საზოგადოებრივ წარმოებაში მათი წვლილის შესაბამისად.

ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობს სოციალურ-ეკონომიური განსხვავება შრომის ხასიათში. ეს უკანასკნელი კი ობიექტურად მოითხოვს აუცილებელი პროდუქტის ძირითადი ნაწილის განაწილება და ყოველი მუშაკის ანაზღაურება მოხდეს დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

სოციალიზმის დროს შრომა ჯერ კიდევ არ გამხდარა ყველა მშრომელის პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად. ამიტომ საჭიროა უზრუნველყვით მათი პირადი მატერიალური დაინტერესება. ამასთან დაკავშირებით მარქსი მიუთითებდა, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ყოველი ცალკე მწარმოებელი—ყველა გამოქვეითის შემდეგ — საზოგადოებისაგან სწორედ იმდენს იღებს, რამდენსაც მას აძლევენ, ის რაც მან საზოგადოებას მისცა, მისი ინდივიდუალური შრომითი შენატანია.

სოციალისტურ საზოგადოებაში იმის გამო, რომ არსებობს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, საჭირო ხდება პროდუქციის რაოდენობისა, რომელსაც მუშაკი ღებულობს, და მათი შრომის დანახარჯებისა და შედეგების თანაშეზომვა. ეს ძირითადად გაპირობებულია იმით, რომ საზოგადოების ყველა შრომისუნარიანი მუშაკი მიეიზიდოთ და ჩაებათ წარმოების პროცესში. აქედან გამომდინარე, საჭირო ხდება სახელმწიფო ორგანოებმა მკაცრი კონტროლი დააწესონ შრომის ზომასა და მოხმარების ზომებზე.

ჩვენს ეკონომიურ ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოებში „შრომის ზომის“ კატეგორიას იხილავენ ხშირად როგორც შრომის რაოდენობას, რომელსაც ხარჯავს წარმოების მუშაკი წარმოების პროცესში. ამ მოსაზრებას გარკვეული ნაკლი ახასიათებს, იგი იმაში გამოიხატება, რომ ის სრულად ვერ ასახავს წარმოების პრაქტიკაში დამკვიდრებულ სრულყოფილ აღრიცხვას, რადგან შრომის რაოდენობრივი შეფასების გარდა წარმოებს აგრეთვე ხარისხობრივი შეფასებაც. ამას გარდა, ცალკეული მუშაკის შრომასთან ერთად აღრიცხება საწარმოს სამეურნეო შედეგები, რასაც განსაზღვრავს საწარმოს მთელი კოლექტივის შრომითი საქმიანობა.



სამეურნეო საქმიანობის პრაქტიკაში, როგორც ცნობილია, შრომის ზომის რაოდენობრივ მხარეს ახასიათებს ორი განზომილება. პირველი ესაა დახარჯული დრო, ხოლო მეორე—შექმნილი პროდუქტი. შრომის ზომის მხარე განისაზღვრება სამი კატეგორიით: პირველ ჯგუფში შედის ხობრივი მუდმივი ფაქტორები, ესენია შრომის სირთულე, მუშაკების ევალუაციაციის დონე და პასუხისმგებლობის დონე. მეორე ჯგუფში შედის შრომის ხარისხის ცვალებადი ფაქტორები—წარმოების მუშაკის შემოქმედებითი ინიციატივა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ფორმირების ხარისხი და სხვ. მესამე ჯგუფი ახასიათებს მთელი კოლექტივის შრომის ხარისხს. იგი კლინდება შრომის ნაყოფიერების დონით, რეალიზებული პროდუქციის მოცულობით, რენტაბელობის დონით, პროდუქციის ხარისხით და სხვ.

შრომის ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებაში უდავოდ არსებობს შინაგანი ურთიერთკავშირი. არ იქნებოდა სწორი ერთმანეთისათვის დაგვეპირისპირებინა შრომის აღნიშნული ორი შეფასება. დადგენილია, რომ არ არსებობს შრომის რაოდენობა მისი ხარისხის გარეშე და პირიქით, არ არსებობს შრომის ხარისხი რაოდენობის გარეშე.

ცნობილია, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში შრომის ზომაზეა დამოკიდებული მოხმარების ზომა. ეს უკანასკნელი კი საარსებო საშუალებათა ის რაოდენობაა, რომელსაც წარმოების სფეროში დასაქმებული მუშაკი ღებულობს დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

მოხმარების ზომის დადგენას საფუძვლად უდევს აუცილებელი პროდუქტის მთავარი ნაწილი, ხოლო მისი უშუალო ფორმირების წყაროდ გვევლინება პროდუქტი თავისათვის. მოხმარების ზომის დანიშნულებაა აანაზღაუროს ინდივიდუალური დანახარჯები. რაც გაწევლია სამუშაო ძალის ევლავწარმოებაზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელი პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც მოხმარების საზოგადოებრივი ფონდის ფორმას ღებულობს, არ უნდა შევიტანოთ მოხმარების ზომაში. ამ საკითხთან დაკავშირებით ლენინი აღნიშნავდა, რომ მოხმარების ზომა უნდა დაუკავშირდეს მხოლოდ შრომის ზომას. ამასთან გეიჩვენებდა ამ კატეგორიის არსებობის ისტორიულ ჩარჩოს. სწორედ ეს ჩარჩოები დაკავშირებულია შრომის მიხედვით განაწილების კანონთან.

ამრიგად, აუცილებელი პროდუქტის ძირითადი ნაწილის განაწილების საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიური კანონი, რომელიც მოითხოვს შრომის ანაზღაურება წარმოებდეს დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. აუცილებელი პროდუქტის უმცირესი ნაწილის განაწილება კი უნდა ხდებოდეს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების განაწილების ეკონომიური კანონის მეშვეობით.

Д. Ш. ДГЕБУАДЗЕ

РАСПРЕДЕЛЕНИЕ НЕОБХОДИМОГО ПРОДУКТА ПРИ СОЦИАЛИЗМЕ

Резюме

В работе на основе марксистско-ленинского учения раскрывается сущность и принципы распределения необходимого продукта при социа-

ლიზმე. Чистый продукт делится на две части. Одна часть составляет необходимый продукт, который необходим работнику для поддержания его жизни и воспроизводства. Другая часть идет на удовлетворение общих общественных потребностей и образует прибавочный продукт.

Необходимый продукт и прибавочный продукт при социализме в процессе первичного распределения чистого продукта приобретают формы продукта для себя и продукта для общества. При этом продукт для себя полностью состоит из необходимого продукта, а продукт для общества включает часть необходимого продукта и весь прибавочный продукт.

В соответствии с вышесказанным, необходимый продукт в процессе распределения принимает две основные формы: форму вознаграждения за труд, и форму общественных фондов потребления.

Автором обосновано в чем различие и вместе с тем взаимосвязь функции, выполняемых этими двумя видами распределения при социализме.

ლიტერატურა — Литература

1. კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. 1, 1954.
2. კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები. ტ. 2, 1964.
3. ვ. ი. ლენინი. შიმშილის შესახებ. თხზ., ტ. 27, 1952.
4. ვ. ი. ლენინი. სახელმწიფო და რევოლუცია. თხზ., ტ. 25, 1952.
5. სკკპ 24-ე ყრილობის დირექტივები—სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, 1971.
6. პოლიტიკური ეკონომია. სოციალიზმი კომუნისტური წარმოების წესის პირველი ფაზა. გ. ა. კობლოვის რედაქციით, 1971.
7. В. И. Ленин. Речь на III всероссийском продовольственном совещании 16 июня. 1921 г. Пол. собр. соч., т. 43.
8. Курс политической экономии, т. 2, М., Экономика, 1970.
9. Политическая экономия, т. 3, под редакцией Г. А. Козлова, 1970.
10. Б. В. Раикетский. Общественные фонды потребления как экономическая категория, М., Мысль, 1966.
11. Ю. И. Палкин. Распределение необходимого продукта при социализме, 1973.
12. А. А. Якухино. Распределение предметов потребления в социалистическом обществе, М., Высшая школа, 1968.



ბ. შაბაძე

სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაცია და მეურნეობათა ოპტიმალური
ნიმუხის საკითხი აზნაზეთის ახსრ-ში

წარმოების კონცენტრაციისა და მათ შორის სოფლის მეურნეობის წარმოების კონცენტრაციის საკითხი არ არის ახალი, მას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს.

მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განხორციელების ფორმა და შესაძლებლობა იცვლება და დამოკიდებულია წარმოების განვითარების დონეზე, სამეურნეო მშენებლობის ამოცანებზე, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების თავისებურებებზე. მთავარი მართო სოციალისტური სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის და კონცენტრაციის გატარების აუცილებლობის შეცნობა როდია, არამედ მთავარია განვითარების ყოველ ეტაპზე სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული სპეციფიკური ამოცანებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე მისი სწორად განხორციელება. ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კონცენტრაცია თვითმიზანს კი არ წარმოადგენს, არამედ მიზნის მიღწევის საშუალებაა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაცია ორი ძირითადი ფორმით მიმდინარეობს: პირველი—ცენტრალიზაციისა და მეორე—სპეციალიზაციის გზით. ეს უკანასკნელი სოფლის მეურნეობის განვითარების ინტენსიფიკაციას გულისხმობს.

სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო საწარმოების კონცენტრაცია შეიძლება წარმოებდეს ორივე ფორმით, მაგრამ უპირატესობა ამ უკანასკნელს მიეკუთვნება, რადგან ინტენსიფიკაცია წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად გზას, გენერალურ მიმართულებას.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვჩივს და გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის, რომ მსხვილ წარმოებასაც გარკვეულ პირობებში აქვს თავისი საზღვრება. მეურნეობათა კონცენტრაცია სრულიადაც არ გულისხმობს შევიბრს ზემსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციაში, არამედ უნდა პასუხობდეს სოფლის მეურნეობის რაციონალური კონცენტრაციის ძირითად მოთხოვნას, ე. ი. იყოს ოპტიმალური სიდიდისა, რის შედეგადაც მიიღწევა მეურნეობათა, მა-

თი ქვედანაყოფების და ცალკეული დარგებისა და კულტურების ყველაზე რაციონალური და ეფექტური ორგანიზაცია, რენტაბელობის მაღალეფექტურობა.

როგორც აღვნიშნეთ, ეკონომიურ ლიტერატურაში სოფლისმეურნეობებს საწარმოთა სიდიდის საკითხს დიდი ისტორია აქვს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ოპტიმალური სიდიდის დადგენის საკითხზე მხოლოდ 60-იანი წლებიდან დაიწყო ფართო მეცნიერული და პრაქტიკული ხასიათის მუშაობა. დაწყებული 1961 წლიდან მეურნეობათა ოპტიმალური სიდიდის საკითხი ჩვენს ქვეყანაში ისწავლებოდა ერთიანი პროგრამისა და მეთოდის მიხედვით საკავშირო ეკონომიური ინსტიტუტის კოორდინაციითა და ხელშეწყობით. აღნიშნული კვლევის შედეგად გამოცემულ იქნა ავტორთა კოლექტივის მიერ 1965 წელს მეურნეობათა ოპტიმალური სიდიდის დადგენის პრინციპებზე და მეთოდებზე მონოგრაფია ორ ნაწილად. ზემოთ აღნიშნული მონოგრაფიის ერთგვარ ვაგარძელებას წარმოადგენს 1970 წელს გ. კოტოვის და ი. ბოროდინის რედაქციით გამოსული მონოგრაფია კოლმეურნეობათა ოპტიმალური სიდიდის შესახებ.

ეკონომიურ ლიტერატურაში და მიმდინარე პრესაში აღნიშნული მონოგრაფიის მიმართ გამოითქვა ბევრი კრიტიკული შენიშვნა, თუმცა არსებითად უკეთესი შემცვლელი თეორიული მოსაზრებანი მაინც და მაინც არავის წამოუყენებია. ერთიანი პროგრამა და მეთოდია, რაგინდ მაღალ მეცნიერულ დონეზე ყოფილიყო შედგენილი. ვერ ვაითვალისწინებდა ჩვენი თვალწვდენელი ქვეყნის ტერიტორიაზე ბუნებრივ-ეკონომიური პირობებისა და სოფლის მეურნეობის თავისებურებების მრავალფეროვნებას, ზემოთ აღნიშნული კრიტიკაც სწორედ აქედან გამომდინარეობდა.

მეურნეობათა ოპტიმალური სიდიდის საკითხთან დაკავშირებით. სწავლული აგარაიკოს-ეკონომისტთა დისკუსიის ყველაზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენდა, ის თუ რა მაჩვენებელი მიეღოთ საფუძვლად მეურნეობის ოპტიმალური სიდიდის დასადგენად.

ეკონომისტთა ერთი ნაწილი თვლიდა, რომ მეურნეობათა ოპტიმალური სიდიდის დადგენას საფუძვლად უნდა დადებოდა მიწის ფართობის სიდიდე, მეორენი—მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულება. ამ საკმოდ ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ საკითხი გადაწყდა ეკონომისტთა პირველი ნაწილის სასარგებლოდ.

ჩვენ აქ არ შევეხებით ამ მოსაზრებათა დეტალურად და კრიტიკული თვალსაზრისით გაანალიზებას, მხოლოდ შევნიშნავთ, რომ მართო ერთი რომელიმე ნიშნის მიხედვით მეურნეობის ოპტიმალური სიდიდის დადგენა არ შეესაბამება თანამედროვე ეტაპზე წამოყენებულ მოთხოვნებს და ვერც შეეძლებო მეურნეობათა კონცენტრაციის ესოდენ აქტუალური საკითხის სწორად გადაჭრას. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ოპტიმალური სიდიდის დადგენისას მხედველობაში უნდა მივიღოთ მაჩვენებელთა წყება, რომლებიც უნდა დაჯგუფდეს პირდაპირ და არაპირდაპირ მაჩვენებლად. პირდაპირ მაჩვენებელს უნდა მივაკუთვნოთ საერთო პროდუქციის ღირებულება, ხოლო არაპირდაპირს



დასამუშავებელი ფართობი (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავის, ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულის ფართობი), პირუტყვის სულადობა, საწარმოო დონდების ღირებულება, მომუშავეთა რიცხვი. რა თქმა უნდა, მკაცრად განსაზღვრული სპეციალიზაციისა და საწარმოო ტიპის მეურნეობებში თითოეულ სპეციალიზაციას უნდა ჰქონდეს მათი ბუნებრივი მატარებელი მნიშვნელობა აქვს ოპტიმალური სიდიდის დასადგენად და ეკონომიური ეფექტურობის განსხვავებულ მონაცემებს იძლევა.

როგორც აღნიშნეთ, მეურნეობის სიდიდეზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. აქედან გამომდინარე, საჭიროა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკეული ფაქტორის მნიშვნელობის შესწავლა და მის საფუძველზე მეურნეობის ოპტიმალური სიდიდის დადგენა. აღნიშნულ მომენტებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის საწარმოთა სიდიდის დადგენას, რადგანაც ბუნებრივი პირობები, წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის ხასიათი, მოსახლეობის გაადგილება აქ მეტად განსხვავებულია არა მარტო ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით, არამედ თვით რაიონების შიგნითაც. რაც თავისთავად განაპირობებს ერთი და იმავე საწარმოო ტიპის მეურნეობებს შორის დარგებისა და კულტურების შეთანწყობისა და კონცენტრაციის თვალსაზიხოდ განსხვავებულ დონეს.

როგორც სსრ კავშირის მასშტაბით, ასევე აფხაზეთის ასსრ-ში გამოიყოფა რამოდენიმე პერიოდი, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება საკოლმეურნეო წარმოების კონცენტრაციის დონით, კოლმეურნეობათა საშუალო სიდიდით. კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-ეკონომიური განმტკიცების ობიექტური პირობების ზრდის კვალობაზე, სისტემატურად იზრდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. რაც თავისთავად მოასწავებდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციას სოციალისტური სოფლის მეურნეობის საწარმოთა ამ ყველაზე გავრცელებულ ფორმაში.

აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობების სიდიდის მაჩვენებლებს დინამიკაში თუ ვაწვიხილავთ, დავინახავთ, რომ პირველი ხუთწლეულის პერიოდი ხასიათდება კოლმეურნეობათა რიცხობრივი ზრდის მაღალი ტემპით. იგივე ითქმის მეორე ხუთწლეულის პირველ ნახევარზე (1930 წ. 231 კოლმეურნეობიდან 1935 წ. 472 კოლმეურნეობა). 1935 წლიდან კავშირის მასშტაბით გადაიდგა პირველი ნახევარი წერილ კოლმეურნეობათა გამსხვილების საკითხში. აღნიშნულმა პროცესმა თავისი ასახვა პოუვა აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობების გამსხვილების ტენდენციაშიც.

აფხაზეთის ასსრ-ში 1937 წლიდან იწყება კოლმეურნეობათა გამსხვილება ცენტრალიზაციის გზით. თუ 1937 წელს იყო 404 კოლმეურნეობა, 1940 წელს ცენტრალიზაციის გზით გამსხვილების შედეგად დარჩა 262 კოლმეურნეობა.

შემდგომ ეტაპს წარმოადგენს 1942—1949 წლები, როცა ხდება ცალკეულ ხემსხვილ კოლმეურნეობათა გაწვრილვრთეულება (1949 წ. 300 კოლმეურნეობა).

წერილ კოლმეურნეობათა გამსხვილება სსრ კავშირში ფართო მასშტაბით 1950 წელს იქნა განხორციელებული. აღნიშნული პროცესი აფხაზეთის ასსრ-ში დაიწყო 1950 წელს და ძირითადად დამთავრებულ იქნა 1952 წელს; კოლმეურ-



ნეობათა რაოდენობა 226-დან (1950 წ.) შემცირდა 176-მდე (1952 წ.). აღნიშნული პროცესი უფრო თვალსაჩინოა ცალკეული რაიონების მხედველთა; მაგალითად, ამავე პერიოდში ორჯერ და მეტად შემცირდა კოლმეურნეობის რაოდენობა გუდაუთის, ვაგრის რაიონებში, თითქმის 1,5-ჯერ სოხუმის, აფხაზეთის და ვალის რაიონებში. აღნიშნულ პროცესს თან სდევდა კოლმეურნეობათა ძირითადი საქმიანობის მაჩვენებლების მაღალი ტემპით ზრდა. ფულადი შემოსავალი 1940—1945 წლებთან შედარებით 1950—1955 წლებში საშუალოდ აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში გაიზარდა 5-ჯერ და მეტად, ხოლო ძირითადი საშუალებების ღირებულება 4-ჯერ და მეტად, ასევე გაიზარდა ნათესი ფართობის, მრავალწლიანი ნარგავების, პირუტყვის სულადობის და კოლმეურნე კომლთა კონცენტრაცია.

ამასთან ერთად მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ კოლმეურნეობათა გამსხვილებისას, ერთმანეთთან მიზგზობრივად დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები მთელი სიღრმით არ იყო შესწავლილი. გამომდინარე აქედან, ცალკეულ გამსხვილებულ კოლმეურნეობებში კვალიფიციური ხელმძღვანელობის განხორციელება მეტად ძნელი შეიქნა. აღნიშნულ კოლმეურნეობათა ტერიტორიაზე მოსახლეობის მეტად გაფანტული გაადგილების შედეგად აღვილი ჰქონდა შიდასაკოლმეურნეო დემოკრატიის შეზღუდვას. აღნიშნული და სხვა მომენტების გათვალისწინებით, 1955 წლიდან აფხაზეთის ასსრ-ში ადგილი ჰქონდა ზემსხვილ კოლმეურნეობათა გაწერა-ღერათულებას. აღნიშნული პროცესი თითქმის 1960 წლამდე გრძელდება, მეტ-ნაკლები ტემპით რაიონების მიხედვით კოლმეურნეობათა გაწერა-ღერათულება ყველაზე მეტად შესამჩნევი იყო გუდაუთისა და ვაგრის რაიონებში. აღნიშნულ პერიოდში თითქმის ყოველწლიურად იცვლებოდა კოლმეურნეობათა რაოდენობა და სიდიდე, რაც, რა თქმა უნდა, გველენას ახდენდა მათი მუშაობის ეკონომიურ მაჩვენებლებზე.

საკოლმეურნეო წარმოების კონცენტრაციის შემდგომი ეტაპი იწყება 1960 წლიდან. 1960—1965 წლებში კოლმეურნეობათა გამსხვილების პროცესი უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა. 1965 წლიდან კოლმეურნეობათა გამსხვილებამ მიაღწია უმაღლეს დონეს და მათი რიცხვი სტაბილური გახდა. თუ 1965 წელს აფხაზეთის ასსრ-ში ირიცხებოდა 135 კოლმეურნეობა, 1974 წლისათვის კი მათი რიცხვი 109-მდე შემცირდა. კოლმეურნეობათა რაოდენობის ესოდენ შემცირება გამოწვეულია არა მათი გამსხვილებით, არამედ ცალკეულ კოლმეურნეობათა ბაზაზე საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ჩამოყალიბების შედეგად. აღნიშნული პროცესი ყველაზე თვალსაჩინოა ვალისა და სოხუმის რაიონებში და უფრო მეტად მისშტაბით ოჩამჩირისა და ვაგრის რაიონებში. 1960—1974 წლებში მარტო ვალის რაიონში კოლმეურნეობათა ბაზაზე შეიქმნა 10 საბჭოთა მეურნეობა. რვაჯერ უზრუნველყოფით, კოლმეურნეობათა რაოდენობის შემცირება უპირატესად მათი გამსხვილებით არის გამოწვეული. წარმოების ინტენსიფიკაციასთან ერთად ამ ფაქტორმა ხელი შეუწყო წარმოების კონცენტრაციის დონის ამაღლებას და ეფექტიანობას.

აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობათა თანამედროვე სიდიდის შესწავლა და შესაძლებლობა მოგვცა გამოგვევლია არა მარტო რაიონების მიხედვით არა სიდიდის მეურნეობებია წარმოდგენილი, არამედ თითოეული საწარმოების შედგენილობა გორია მათი კონცენტრაციის დონე წარმოების კონკრეტული ჰეკტარებზე და რაიონების, საწარმოო ტიპების და თვით ერთი და იმავე საწარმოო ტიპის კოლმეურნეობების კონცენტრაციის დონესა და ეკონომიურ მაჩვენებლებს შორის ძალზე დიდი სხვაობაა. ისეთი ძირითადი მაჩვენებლები, როგორცაა: საერთო პროდუქციის ღირებულება, ძირითადი საწარმოო ფონდებით აღჭურვა, მთლიანი და წმინდა შემოსავალი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი, მთლიანი ნაოსხე ფართობი, მრავალწლიანი ნარგავების ფართობი, პირუტყვის სულადობა რაიონებისა და ერთი და იმავე საწარმოო ტიპის კოლმეურნეობების მიხედვით მეტად დიდხარხარებულია და მოთხოვს დარგებისა და კულტურების კონცენტრაციის შემდგომ სრულყოფას, განსაკუთრებით კი ვენახის, ზეხილისა და ბოსტნეული კულტურების დარგში. ასევე ძირუელად მოთხოვს სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხების გაუმჯობესებას და სწორად გადაწყვეტას საზოგადოებრივი მეცხოველეობა.

კოლმეურნეობების ობტიმალური სიდიდის დადგენა აუცილებლად საჭიროებს მისი წარმოებრივი ქვედანაყოფების სიდიდის სწორად განსაზღვრას. კოლმეურნეობების გამსხვილების პარალელურად ადგალი აქვს საწარმოო ბრუნვაში დარგებისა და კულტურების კონცენტრაციას და მათი რაოდენობის შემცირებას. თუ 1965 წელს აფხაზეთის ასსრ-ში საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაზე მოდიოდა 12 საწარმოო ბრიგადა, 1973 წელს მათი გამსხვილების შედეგად 8 ერთეულამდე შემცირდა, ხოლო გაერის რაიონის კოლმეურნეობებში 13-დან 7 ერთეულამდე. აღნიშნული მომენტი დადებით მოეღუნას წარმოადგენს, რადგან ბრიგადების უკვე არსებული სიდიდე საშუალებას იძლევა მის სათავეში იდგეს სოფლის მეურნეობის კვალიფიკაური სპეციალისტი და მაღალ დონეზე იქნეს მოწყობილი წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია; ეფექტურად იქნეს გამოყენებული ტექნიკა, ფართოდ დაინერგოს მეცნიერებისა და მოწინავეთა მიღწევები.

მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეურნეობის საშუალო სიდიდით, დარგებისა და კულტურების კონცენტრაციის დონით აფხაზეთის ასსრ საბჭოთა მეურნეობები დიდად უსწრებენ კოლმეურნეობებს. წარმოების კონცენტრაციის დონით და ეფექტური მაჩვენებლებით მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობებია წარმოდგენენ მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს. მაგრამ ამჟამად მათ სიდიდეზე მარტო საშუალო მაჩვენებლებით არ შეიძლება ვიმსჯელოთ, რადგან ახლად ჩამოყალიბებულ ჩაის საბჭოთა მეურნეობებს ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ პირობით საპროექტო სიდიდისათვის. აღნიშნული მომენტი უფრო მეტად ეხება ციტრუსებისა და ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობებს.

არსებული მონაცემების ანალიზისა და ცალკეული მეურნეობების მონოგრაფიული შესწავლის საფუძველზე აფხაზეთის ასსრ-ში ზონების მიხედვით მე-5, შრომები, ტ. XCV, 1976



ჩაივობის საბჭოთა მეურნეობების ოპტიმალურ სიდიდედ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი მეურნეობა, რომელსაც ექნება ჩაის პლანტაცია 600—1000—1200 ჰექტარი, რა თქმა უნდა, მექანიზაციის დონის შესაძლებლობის გათვალისწინებით. უფრო მეტ სიფრთხილეს მოითხოვს მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობების ოპტიმალური სიდიდის საკითხი. ამ მეურნეობებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური პირობების მკაცრად გათვალისწინებით მათი ოპტიმალური სიდიდის საზღვრები შეიძლება მერყეობდეს ზონების მიხედვით 500—700 ჰექტარის ფარგლებში (ციტრუსების ნარგავი 350—600 ჰა). მრავალწლიანი კულტურების შეთანაწყობის სხვადასხვა ვარიანტის პირობებში ტუნგის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ოპტიმალური სიდიდე ანალოგიური შეიძლება იყოს. ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს დარგებისა და კულტურების შეთანაწყობა და კონცენტრაცია მერქვეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებში.

პერსპექტივაში აქტუალურ ამოცანად უნდა იქნეს დასახული აფხაზეთის ასსრ-ში მეურნეობათა ფართო კოოპერაციის ბაზაზე მეურნეობათაშორისი სპეციალიზაციისა და კოოპერაციის ამოცანა. განსაკუთრებით მეცხოველეობის დარგში.

ღრმა მეცნიერული შესწავლის საფუძველზე უნდა შეიქმნას მეურნეობათაშორისი მსხვილი რქოსანი პირუტყვისა და მელორეობის გამოზრდისა და სუქების პუნქტები. ასეთ საწარმოებს (გაერთიანებებს) უნდა გადაეცეს მეურნეობებიდან 6 თვიდან 1 წლამდე და უზნესი მსხვილი რქოსანი პირუტყვი. ეს კი საშუალებას მისცემს კოლმეურნეობებს იყოლიონ 100—150, ცალკეულ მეურნეობებში 200 სულამდე ფური (ნაცვლად აშეამად 60 სულისა) და მეცხოველეობის ფერმებში დანერგონ კომპლექსური მექანიზაცია: განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეურნეობების მეცხოველეობის ფერმებში მცირე მექანიზაციის დანერგვას.

პერსპექტივაში აგროსამრეწველო გაერთიანებების, როგორც სოფლის მეურნეობის ინდუსტრიულ ბაზაზე მოწყობის ძირითადი მიმართულების, მოწყობის მიზნით დღის წესრიგში უნდა იქნეს დაყენებული საკითხი ჩაის საბჭოთა მეურნეობების და ჩაის ფაბრიკების, ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობების და ეთერზეთოვანი ქარხნების ერთ კომპლექსში გაერთიანების შესახებ. რა თქმა უნდა, არა ხელაღებით, არამედ პირველ რიგში სხვადასხვა ფაქტორების მეცნიერული შესწავლის საფუძველზე რამდენიმე ასეთი ტიპის შესაბამის საცდელ მეურნეობა-ფაბრიკის ჩამოყალიბების საფუძველზე. აღნიშნული ტიპის აგროსამრეწველო გაერთიანებების შექმნის დიდი შესაძლებლობანია აფხაზეთის ასსრ ჯალისა და ოჩამჩირის რაიონებში ჩაის საბჭოთა მეურნეობების და ჩაის ფაბრიკების ერთი და იმავე ტერიტორიაზე განლაგების აშეამად არსებული მეტად ხელსაყრელი პირობებიდან გამომდინარე (მაგალითად, კუმბურბინჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობა და ჩაის ფაბრიკა, აჩიჯვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა და ჩაის ფაბრიკა, შიურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა და ჯალის № 2 ჩაის ფაბრიკა, ოქუშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა და ჩაის ფაბრიკა, კინდლის ჩაის საბჭოთა მეურნეობა და ჩაის ფაბრიკა, ს. კობარის კოლმეურნეობა



„საქართველო“ და კოჩარის ჩაის ფაბრიკა და ა. შ.). ეს საშუალებას მოგვცემს მკვეთრად გავაუმჯობესოთ მზა პროდუქციის ხარისხი, რაციონალურად შევქმნათ დასაკმებელი შრომითი რესურსები და, რაც მთავარია, ასეთი აგროპროდუქტების გაერთიანებების შექმნა იქნება სოფელსა და ქალაქს შორის არსებითი განსხვავების დაძლევის ერთ-ერთი გზა.

Г. Б. ЧКАДҒА

В О П Р О С Ы К О Н Ц Е Н Т Р А Ц И И И О П Т И М А Л ь Н Ы Е Р А З М Е Р Ы С.-Х. П Р Е Д П Р И Я Т И Я А Б Х А З С К О Й А С С Р

Р е з ю м е

Среди факторов, оказывающих влияние на эффективность с.-х. производства, большое значение имеют концентрация производства и размеры предприятий. Переход к оптимальным размерам предприятий составляет главное содержание концентрации сельскохозяйственного производства, от уровня которого в значительной мере зависит более рациональное сочетание основных элементов производства, достижение высоких результатов хозяйственной деятельности.

В труде анализируются материалы о сложившихся размерах колхозов и совхозов Абхазской АССР. Рассматриваются основные факторы, оказывающие влияние на определение оптимальных размеров с.-х. предприятий, приведены примерные оптимальные размеры колхозов и совхозов с учетом природно-экономических условий производства и их специализации.

Вместе с тем, в исследовании заострено внимание на вопросах межхозяйственной специализации и концентрации с.-х. производства, на возможности и целесообразности создания в Абхазской АССР агропромышленных объединений в чаеводстве, эфирномасличном хозяйстве и животноводстве.





Т. Э. КАНДЕЛАКИ

СЕБЕСТОИМОСТЬ ЗАГОТОВКИ И ДОСТАВКИ ОБРЕЗКОВ ВИНОГРАДНОЙ ЛОЗЫ ДЛЯ ПРОИЗВОДСТВА ВОЛОКНИСТЫХ ПЛИТ

В некоторых экономических районах нашей страны весьма актуальным является изыскание эффективных древесных ресурсов с целью расширения местной сырьевой базы лесной и деревообрабатывающей промышленности.

Проведенными нами многолетними исследованиями [1] установлено, что для Грузинской ССР и других южных, с высокоразвитым виноградарством, республик и районов экономически целесообразным, а технически вполне возможным является промышленное использование отходов виноградарского хозяйства — обрезков виноградной лозы (ОВЛ) при выработке волокнистых плит сухим способом и стружечных плит.

На основании проведенных опытов решено строительство завода волокнистых плит сухого способа производства в г. Телави, где впервые в мире будут использованы ОВЛ как основное технологическое сырье.

Как известно, в настоящее время ОВЛ ежегодно собираются, выносятся на край виноградников и сжигаются.

Кахетия, являясь центром виноградарства и виноделия республики, будет источником снабжения производства волокнистых плит сырьем — ОВЛ, на ликвидацию которых государство затрачивает ежегодно значительные материальные и денежные средства. Соответствующими расчетами установлено, что в виноградниках Кахетии ежегодно уничтожается свыше 120 тыс. тонн лозы, тогда как производство ВП сухим способом мощностью 10,0 млн. м² ежегодно требует всего 54,0 тыс. тонн сырья. При этом среднее расстояние доставки сырья на переработку составляет всего 40 километров.

Оптимальная схема сбора, накапливание запасов, транспортирование до склада предприятия, методы хранения ОВЛ и соответствующее экономическое обоснование нами составлена впервые. В этом направлении разработаны технико-экономические показатели в четырех вариантах. В

основу расчетов данных вариантов были приложены: объем заготовки ОВЛ в отдельных административных районах Кахетии, среднее расстояние возки, выбор и потребное количество технических средств для заготовки и доставку ОВЛ на предприятия, хранение сырья до поступления лозы следующего урожая и т. д.

Наши опыты и расчеты показали, что из разных вариантов заготовки, доставки и хранения ОВЛ на производстве наиболее эффективным является доставка и открытое кучевое хранение сырья в виде технологической щепы [1, 2].

Означенное на сегодня мыслится по следующей схеме:

1. Лоза при обрезке кустов виноградников, выносится из междурядья и укладывается в ориентированном виде у обочины дороги, проходящей по краю виноградника, перпендикулярно к рядам. Работа выполняется сплами колхоза-совхоза в порядке ухода за виноградником в течение зимне-весеннего сезона обрезки виноградника (всего около 90 суток).

Колхозам или совхозам заготавливающим лозу оплачивается за счет завода волокнистых плит — полная стоимость расходов, которые они несут за сборку в кучу обрезков лозы, вынесенной на край виноградников и их сжигание.

При существующих нормативах один человек при тарифной ставке 3,20 руб. собирает лозу в кучу и сжигает вынесенную на край рядов виноградников обрезков лозы полученной с 3 га, следовательно оплата за тонну составит 0,62 руб/т $\left(\frac{3,20}{3 \times 1,76} \right)$.

За укладку обрезков виноградной лозы в ориентированном виде у обочины дороги, предусматриваем 0,28 руб/т. Итого обгрия стоимость составит 0,90 руб/т $(0,62 + 0,28)$.

2. С целью увеличения транспортабельности лозы, увеличения загрузки и производительности автопоездов, компактности складского хозяйства и уменьшения пожароопасности, вывозка лозы, а затем хранение ее на складе сырья, осуществляется в дробленном виде.

Для дробления лозы до кондиционных размеров используются передвижные рубильные машины (в нашем случае «ДВНА-100») с приводом от трактора типа «Беларусь». Работу обслуживает бригада из 3-х человек (тракторист и двое рабочих). Зарплата на дробление составит 0,25 руб. $\left(\frac{4,5 \times 2 + 3,20}{48} \right)$.

Проведенные эксперименты и расчеты показали, что подвижной агрегат — рубильная машина «ДВНА-100», и трактор «Беларусь» (при подлежащей реконструкции) может переработать (дробить) лозу в количестве: в час около 4 т, за 1,5 смены, т. е. 12 часов — 48 т, за сезон $48 \times 90 = 4320$ т.

Количество передвижных дробильных агрегатов для переработки годового запаса лозы за 90 суток составит 12 (54000:4320). Рубильные машины приобретаются предприятием, а тракторы арендуются. Стоимость рубильной машины «ДВПА-100» составляет 34113,69 руб. тогда при годовом амортизационном начислении 18%, и с учетом затрат на аренду тракторов, горюче-смазочного материала, зарплату на дробление лозы и т. п., себестоимость дробления 1 т обрезков виноградной лозы составил около 0,85 руб/т.

3. Доставка технологической щепы из обрезков виноградной лозы с территории виноградника до склада сырья предполагается автопоездами в составе автомашин «ЗИЛ-130» с прицепом марки «ИЛП-754 В». Эта работа будет осуществляться автопоездами районных автотранспортных контор в период — конец января, февраль, март и начало апреля. В этот период года АТК легче может осуществить означенную работу. По соответствующим расчетам [3], средняя стоимость перевозки одной тонны щепы обрезков виноградной лозы с учетом всех затрат составит 0,62 руб/т.

4. Стоимость амортизационных начислений на строительные объекты и внутризаводской механизации включена в сумму капиталовложения завода волокнистых плит (в стоимость сырьевой биржи).

Следовательно, полная себестоимость одной тонны щепы из обрезков виноградной лозы франко-завод ВП в г. Телави составит 2,37 руб/т (0,90+0,85+0,62). Тогда, как при других вариантах (см.), себестоимость одной тонны обрезков виноградной лозы франко-завод ВП в г. Телави составляла 9,15 руб., 4,24 руб. и 6,30 руб. Как видно, при означенном варианте получается высокий экономический эффект.

შეჯამება — Литература

1. К. Таргамдзе, Т. Кандელაკи. Исследование изучения кондиционной щепы на передвижных рубильных машинах, ее сохранности и средств хранения с целью выработки твердых волокнистых плит из виноградной лозы. ГПИ им. В. И. Ленина, Тб., 1974.
2. Т. Канделაკи. Новый метод хранения измельченных обрезков виноградной лозы. Грузинский НИИЛТИ и ТЭИ, Тб., 1975.
3. Технико-экономическое обоснование строительства мебельного комбината в г. Телави, Грузинская ССР. Минлеспром СССР, Госпроектный институт «Гипролестранс», Грузинский филиал, Тб., 1973.



დ. კაციბაძე

**შრომის ნაყოფიერება აფხაზეთის ასსრ მხარეთმცოდნეობის
საწარმოო ტიპის კოლმეურნეობაში**

განვითარებულ სოციალისტური საზოგადოების პირობებში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

მეჩაიეობა, აფხაზეთის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს. ჩაის კულტურას აფხაზეთში 14,9 ათასი ჰექტარი უჭირავს. 1974 წლისათვის ჩაის მოსავალმა აფხაზეთში 59,2 ათას ტონას მიაღწია.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქციაში კოლმეურნეობათა პროდუქციას დიდი ხვედრითი წონა აქვს. თვით კოლმეურნეობების სოფლის მეურნეობის პროდუქციაში მემცენარეობის პროდუქციას 92,0% უჭირავს, ხოლო მემცენარეობიდან მეჩაიეობის პროდუქციას 47% უკავია. კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის მიხედვით კი 61.877 ათასი მანეთის სოფლის მეურნეობის მთლიანი შემოსავლიდან 60.390 ათასი მანეთი მემცენარეობიდანაა მიღებული, რაც მის 97%-ს შეადგენს, ხოლო ჩაიდან მიღებული შემოსავალი, მემცენარეობას შემოსავლის 53%—ან 32.861 ათას მანეთს შეადგენს. მოყვანილი ციფრები ადასტურებენ, რომ აფხაზეთის კოლმეურნეობებისათვის საერთოდ ჩაის კულტურა არის ერთ-ერთი წამყვანი და მაპროფიტებელი.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ამჟამად (1974 წ.) არის 108 კოლმეურნეობა, მათ შორის ჩაის წარმოებას მისდევს 75 კოლმეურნეობა, მათგან მეჩაიეობის საწარმოო ტიპის კოლმეურნეობად შეიძლება ჩაეთვალოს 42 კოლმეურნეობა, რომლებშიც როგორც საერთო, ისე სასაქონლო პროდუქციაში ჩაის კულტურას 50%-ზე მეტი ხვედრითი წონა აქვს. ჩვენი კვლევის ობიექტს სწორედ ჩაის საწარმოო ტიპის 42 კოლმეურნეობა წარმოადგენს.

შრომის ნაყოფიერების გადიდება რეზერვების გამოსავლენად დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ცვლილებების ანალიზს დინამიკაში, ცალკეული ფაქტორის გავლენის ზომის დადგენას.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული დიდი ამოცანა, მეათე ხუთწლეულში სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ამაღლების აუცილებლობაზე, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წინაშე აყენებს საკითხს



შრომითი რესურსების სრული დასაქმებისა და რაციონალური გამოყენების შესახებ.

ზემოთ აღნიშნული საკითხის სწორად გადაჭრას უადრესეულად უნდა დაეხმოს მეჩაიეობის საწარმოო ტიპის კოლმეურნეობებში მუშაკთა მუშაობის მაღალი შრომატევადობა, მისი მექანიზაციის დაბალი დონის პირობებში და განსაკუთრებით დაძაბული სამუშაო პერიოდების არსებობა ცალკეულ თვეებში, დიდძალ შრომით რესურსებს მოითხოვს.

შრომის რესურსების გამოყენების ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია შრომისუნარიან კოლმეურნეთა მონაწილეობა საკოლმეურნეო შრომაში, მათ მიერ წლის განმავლობაში ნამუშევარ კაცდღეების რაოდენობა, რაც თავისთავად წარმოდგენას გვაძლევს შრომის დისციპლინის დონეზე.

საკვლევ კოლმეურნეობების მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ შრომისუნარიან კოლმეურნეთა მიერ ნამუშევარ კაცდღეთა საშუალო მაჩვენებელი 153 კაცდღიდან (1965 წ.) 177 კაცდღემდე (1974 წ.) ანუ 15,6% ით გაიზარდა, ხოლო ერთი საშუალო წლიური მუშაკის საშუალო წლიურ ნამუშევარ კაცდღეთა რაოდენობა 156-დან 183 კაცდღემდე გაიზარდა, რაც თავისთავად მიუთითებს კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის მნიშვნელოვან ამაღლებაზე.

ყურადსაღებია, რომ საკვლევი კოლმეურნეობები ხასიათდება შრომითი რესურსების გაფართოებული კვლავწარმოებით, რაც განაპირობებს საკვლევ კოლმეურნეობებში საწარმოო ძალების შემდგომ წინსვლას და მათ ეფექტურ გამოყენებას.

მეჩაიეობის საწარმოო ტიპის საკვლევ კოლმეურნეობებში 1974 წელს საშუალოდ ერთ წლიურ მუშაკზე ნამუშევარია 183 კაცდღე, მაგრამ იგივე მაჩვენებელი რიგ კოლმეურნეობებში არ აღემატება 130—135 კაცდღეს (რეზინი-ცხარის კოლმეურნეობაში—131, ოტაბის კოლმეურნეობაში—133 და ა. შ.). მაშასადამე, ცალკეული კოლმეურნეობების უპირველეს ამოცანას შეადგენს დარგების და კულტურების სწორი შეთანაწყობით, უფრო სრულად გამოიყენოს შემზავლი, დაძლიოს სეზონურობა, გამოინახოს მათი საზოგადოებრივ მუშაობაში დასაქმების კონკრეტული გზები.

შრომის რესურსებს გამოყენება უშუალოდ დაკავშირებულია კოლმეურნეობის საწარმოო ტიპზე. მეჩაიეობის საწარმოო ტიპის კოლმეურნეობებში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა უნდა დაეხმოს ჩაის ფართობის კონცენტრაციას. სპეციალიზაციასთან ერთად, ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რომელიც უშუალოდ გავლენას ახდენს კოლმეურნეობების ეკონომიურ მაჩვენებლებზე არის წარმოების კონცენტრაცია. წარმოების კონცენტრაციის ოპტიმალური დონე აღიღებს მოცემული პროდუქტის წარმოების მოცულობას, მის საქონლიანობას. საკვლევი კოლმეურნეობების ჩაის ფართობის მიხედვით 5 ჯგუფად დაჯგუფებამ (I—ჯგუფი—50 ჰა-მდე; II—51—100; III—101—150; IV—151—200 და V—200 ჰა-ს ზევით) გვიჩვენა, რომ კოლმეურნეობებში ჩაის ფართობით საშუალო წლიური მუშაკის დატვირთვა 0,14 ჰა-დან (I ჯგუფი) 0,28 ჰა-მდე (IV ჯგ.) ხერხეობს. ცალკეულ კოლმეურნეობებში კი 0,08 ჰა-დან (სოფ. შრომის კოლმეურ-



ნობა „გამარჯვება“ 0,40 ჰა-საც აღწევს (დურიფშის კოლმეურნეობა). ჩაის ფართობის კონცენტრაციის მიხედვით იცვლება შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები (ცხრ. 1). 1-ელ ცხრილში მოცემულია, რომ კოლმეურნეობებში ყველაზე მაღალ მაჩვენებლებზე 1966—1974 წლებში ჩაის წარმოებაში შრომის ნაყოფიერება იზრდება, ე. ი. პროდუქციის ერთეულზე შრომის დანახარჯები მცირდება. ცხრილის მაჩვენებლები ნათლად მეტყველებენ შრომის ნაყოფიერებაზე ჩაის ფართობის კონცენტრაციის ვალებზე. ასე, მაგალითად, 1966—1967—1968 წლებში I ჯგუფში 1 ცენტნერ ჩაის წარმოებაზე იხარჯებოდა 11,73 კაცლდე, შემდეგ ჯგუფებში ეს დანახარჯი თანდათან მცირდება და V ჯგუფში 7,4 კაცლდეს უდრის. იგივე ტენდენცია შეორდება 1969—1970—1971 წლებში და 1972—1973—1974 წლებში, ე. ი. კონცენტრაციის დონის ამაღლებასთან ერთად მცირდება პროდუქციის ერთეულზე შრომითი დანახარჯები, მაშინ როცა V ჯგუფში შემავალ კოლმეურნეობებში ჩაის ფართობი 4-ჯერ მეტია I ჯგუფის კოლმეურნეობებთან შედარებით. ასეთივე სურათია ცალკეულ კოლმეურნეობებში, რომელთა მონაცემებიც მოყვანილია ცხრილში.

ცხრილი 1

აღსაშუალო ანუ მენაიგობის საწარმოო ტიპის კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები ჩაის ფართობის კონცენტრაციის მიხედვით

კოლმეურნეობათა ჯგუფები ჩაის ფართობის მიხედვით და კოლმეურნეობათა დასახელება	კოლმეურნეობათა რაოდენობა	კოლმეურნეობათა დანახარჯი ერთი ცენტნერი ჩაის ხარისხიანი ფართობის წარმოებაზე (კაცლდეში)			
		1966 წელი	1966-1968 წლების საშუალო	1969-1971 წლების საშუალო	1972-1973 წლების საშუალო
I — ჯგუფი 50 ჰა-მდე	9	5,9	11,73	7,2	7,6
II — ჯგუფი 51 ჰა-დან 100 ჰა-მდე	14	12,8	9,1	8,1	7,22
III — ჯგუფი 101-დან 150 ჰა-მდე	10	10,1	8,44	7,57	6,23
IV — ჯგუფი 151-დან 200 ჰა-მდე	4	8,3	6,5	6,13	6,70
V — ჯგუფი 200 ჰა-ის ზევით	5	8,2	7,4	5,92	5,64
საშუალოდ მენაიგობის საწარმოო ტიპის კოლმეურნეობების	42	9,7	9,03	6,95	6,07
ჩენჭილაძის წერტილის სახ. კოლმეურნეობა		13,4	13,3	6,9	5,3
ინდლის კოლმეურნეობა		13,0	6,8	11,8	8,0
მეხლის ჯგუფობის სახ. კოლ-მა		7,1	5,15	4,7	6,27
ბესლტუბის მხარის სახ. კოლ-მა		7,0	7,05	5,35	5,18
ს. დარჩიშის კოლმეურნეობა		7,04	6,68	5,02	4,64
ს. ოქტმის ლენინის სახ. კოლ-მა		7,0	10,72	6,5	4,4

მიღებული მონაცემებიდან შეიძლება დაეასკენათ, რომ კონცენტრაციის ზრდა ჩაის ფართობის მიხედვით იწვევს შრომის დანახარჯების შემცირებას, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ შრომის არაპირდაპირ დანახარჯებს. მაშინ შრომის დანახარჯების ნაწილობრივ ზრდასთან გვაქვს საქმე. I, II და III ჯგუფში შემავალ კოლმეურნეობებში, არაპირდაპირი შრომითი დანახარჯები ყოველ ცენტნერზე იზრდება 1,3 კაცლით, მაშინ როცა IV და V ჯგუფის კოლმეურნეო-



ბებში იგი მხოლოდ 0,4 კაცდღით, ე. ი. სამჯერ უფრო ნაკლებად იმყოფება ამ მონაცემებიდან ნათლად ჩანს ისიც, რომ შრომის არაპირდაპირი დანახარჯები მეტია იმ კოლმეურნეობებში, სადაც ნაკლებია ჩაის პლანტაციების წილი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შრომით დანახარჯების განმეორებით განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ 1965 წელთან ასევე 1966—1967—1968 წლებთან შედარებით კაცდღეების დანახარჯი ერთ ცენტნერ ჩაის ფოთლს წარმოებაზე, შესამჩნევად შემცირებულია შემდეგ პერიოდებში როგორც 1969—1970—1971 წლებში, ისე 1972—1973—1974 წლებში. შემცირება 2,3-დან 5,58 კაცდღემდე აღწევს, ხოლო საშუალოდ იგი შემცირებულია 3 კაცდღით.

ჩაის საწარმოო ტიპის კოლმეურნეობებში 1 ცენტნერი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებაზე ცოცხალი შრომის დანახარჯები მერყეობს როგორც წლების, ისე კოლმეურნეობების მიხედვით. ასე, მაგალითად, 1972—1973—1974 წლების საშუალო მონაცემების მიხედვით 1 ცენტნერ ჩაის წარმოებაზე სოფ. გუფის კოლმეურნეობა „აფსნში“ იხარჯებოდა 11 კაცდღე, ოხურეის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში—10,1 კაცდღე, ხოლო ამავე პერიოდში სოფ. ოქუშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 4,4 და სოფ. კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველოში“ 4,5 კაცდღე, ე. ი. ერთი ცენტნერ ჩაის ფოთლის საწარმოებად ეს უკანასკნელი კოლმეურნეობები ორჯერ და უფრო ნაკლებ ცოცხალ შრომას ხარჯავენ. საკვლევ კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ცვლილებაში არსებული ტენდენციების დასადგენად დავაჯგუფეთ აღნიშნული კოლმეურნეობები 1 ცენტნერ ჩაის ფოთლის წარმოებაზე დახარჯული ცოცხალი შრომის მიხედვით 4 ჯგუფად (ცხრ. 2).

ცხრილი 2

აფხაზეთის ასსრ ჩაის საწარმოო ტიპის კოლმეურნეობათა დაჯგუფება ერთი ცენტნერ ჩაის ხარისხოვან ფოთლზე ცოცხალი შრომის დანახარჯების მიხედვით

კოლმეურნეობათა ჯგუფები ერთ ცენტნერ ჩაის წარმოებაზე კაცდღე- ბის დანახარჯების მიხედვით	კოლმეურნეობათა რიცხვი					
	1966-1967-1968 წლების საშუა- ლოს მიხედვით		1969-1970-1971 წლების საშუა- ლოს მიხედვით		1972-1973-1974 წლების საშუა- ლოს მიხედვით	
	აბსო- ლუ- ტური	% ჯამიან	აბსო- ლუ- ტური	% ჯამიან	აბსო- ლუ- ტური	% ჯამიან
I ჯგუფი 6 კაცდღეზე ნაკლებად	2	4,76	10	23,84	13	30,94
II ჯგუფი 6,1 კაცდღეიდან 8 კაცდღემდე	12	27,56	22	52,36	22	53,36
III ჯგუფი 8,1 " " 10 " "	15	35,74	6	14,28	5	11,94
IV ჯგუფი 10,0 კაცდღეზე ზევით	13	30,94	4	9,52	2	4,76
ჯ ა მ ი	42	100,0	42	100,0	42	100,0

მოტანილი მაჩვენებლები თავისთავად მეტყველებენ შრომის ნაყოფიერების საქმეში იმ ძვრებზე, რაც ჩაის საწარმოო ტიპის კოლმეურნეობებში მოხდა გასულ 9 წლის განმავლობაში, მცირდება იმ კოლმეურნეობათა რიცხვი, სადაც მე-



საქართველოს
 მეცნიერებათა
 აკადემიის
 სსრკ-ის მეცნიერებათა
 ცენტრის
 სსრკ-ის მეცნიერებათა
 ცენტრის
 სსრკ-ის მეცნიერებათა
 ცენტრის

ტია პროდუქციის ერთეულზე შრომის დანახარჯები და პირიქით, ასევე იგი წარმოადგენს გეგმურ საშუალო მაჩვენებლებს, ასევე ცალკეული მოწინავე მეურნეობების მაჩვენებლებთან შედარება (ცხრ. 3).

საქვეყნო კოლმეურნეობების საშუალო მაჩვენებლების, ასევე ცალკეული მოწინავე მეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების, ასევე ცალკეული მოწინავე მეურნეობების მაჩვენებლებთან შედარება სურათს იძლევა (ცხრ. 3).

ცხრილი 3

შრომის დანახარჯი 1 ცენტნერ ჩაის ხარისხოვანი უოთლის წარმოებაზე მეურნეობათა კატეგორიების და ცალკე მეურნეობათა მიხედვით

დასახელება	შრომის დანახარჯი 1 ცენტნერ ჩაის უოთლის წარმოებაზე 1973/74 წლებში	
	კატეგორიები	კალკულაციები
საქართველოს სსრ ჩაის მეურნეობებში კოლმეურნეობებში საშუალოდ	45,9	6,70
აფხაზეთის ასსრ ჩაის მეურნეობებში კოლმეურნეობებში (საშუალოდ)	46,4	6,63
აჭარის ასსრ მეურნეობების საწარმოო ტიპის კოლმეურნეობებში (საშუალოდ)	42,1	6,01
საბურთალოს რაიონის სას. მეურნეობების კოლმეურნეობებში (საშუალოდ)	34,3	4,50
აფხაზეთის ასსრ ჩაის მეურნეობების კოლმეურნეობებში (საშუალოდ)	30,0	4,28
საქართველოს სსრ მეურნეობების ყველა საბჭოთა მეურნეობებში (საშუალოდ)	52,0	7,42
აჭარის ასსრ მეურნეობებში (საშუალოდ)	43,5	6,21
აფხაზეთის ასსრ მეურნეობებში (საშუალოდ)	58,0	8,28

მოტანილი ცხრილიდან ჩანს, რომ აფხაზეთის ასსრ მეურნეობების საწარმოო ტიპის კოლმეურნეობებში საშუალოდ ნაკლებ დროს ხარჯავენ ერთ ცენტნერ ჩაის წარმოებაზე საქართველოს სსრ ჩაის მეურნეობებზე და თვით აფხაზეთის ასსრ ჩაის მეურნეობებზე კოლმეურნეობებთან შედარებით, ასევე ვაკელებით ნაკლებს ხარჯავენ მეურნეობების საბჭოთა მეურნეობებთან შედარებით, მაგრამ ისინი ჩამორჩებიან მეურნეობების საწარმოო ტიპის მოწინავე კოლმეურნეობებს, როგორცაა სუვედიდის რაიონის ახალი სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა (4,28 კ. დ.), მახარაძის რაიონის ნატანების ლენინის სახ. კოლმეურნეობა (4,50), ოქუშის ლენინის სახ. კოლმეურნეობა (4,4 კ. დ.), დურდუშის კოლმეურნეობა (4,64 კ. დ.) და სხვ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქვეყნოდ ადებულ ჩაის სა-



წარმოთ ტიპის რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ბევრია გამოუყენებელი/რე-
ზერვები შრომის ნაყოფიერების გასაღიდეზღად.

ეროვნული

შრომის დანახარჯების შემცირება და შრომის ნაყოფიერების გაზრდა
რობებულია ჩაის ფართობის კონცენტრაციასთან ერთად მოსავლიანობის გადი-
დებით. საკვლევ 42 კოლმეურნეობაში 1972—1973—1974 წლებში 1966—
1967—1968 წლებთან შედარებით ჩაის მოსავლიანობა საშუალოდ გაიზარდა
21,6 ცენტნერით (43,5 ცენტნერიდან 65,1 ცენტნერამდე) ანუ 49%-ით. ცალკე-
ულ კოლმეურნეობებში კი ორჯერ და უფრო მეტად (სოფ. ღუმურისის ფარფა-
ლიას სახ. კოლმეურნეობის, სოფ. ლეკუხონის კომკავშირის სახელობის კოლმე-
ურნეობა და სხვ.), საკვლევ კოლმეურნეობების ჩაის მოსავლიანობის მიხედვით
დაჯგუფებით დაეადგინეთ დამოკიდებულება მოსავლიანობასა და შრომის ნა-
ყოფიერებას შორის (ცხრ. 4).

ცხრილში მოტანილი მაჩვენებლები ცხადყოფენ, რომ ჩაის მოსავლიანობის
ზრდასთან ერთად იზრდება შრომის ნაყოფიერება ანუ მცირდება შრომის და-
ნახარჯები პროდუქციის ერთეულზე, მხოლოდ მოსავლიანობის ზრდის ტემპი
უფრო მაღალია, ვიდრე შრომის დანახარჯების შემცირების ტემპი.

ცხრილი 4

დამოკიდებულება ჩაის ხარისხოვანი ფოთლის მოსავლიანობასა და შრომის ნაყოფიერებას შორის
(1972—1973—1974 წლების მიხედვით)

კოლმეურნეობათა ჯგუფები ჩაის ხარისხოვანი ფოთლის მოსავლიანობის მიხედვით	კოლმეურნეობათა ერთეული ჯგუფში	საშუალო მოსავ- ლიანობა ჯგუფში (ც)	ატყდლების დანა- ხარი 1 ც. ჩაის პროდუქტზე
I ჯგუფი 50 ც-მდე	7	46,54	7,14
II ჯგუფი 50,1 ც-დან 60 ც-მდე	9	55,99	6,83
III ჯგუფი 60,1 ც-დან 70 ც-მდე	13	64,78	6,69
IV ჯგუფი 70,1 ც-დან 80 ც-მდე	7	75,62	6,61
V ჯგუფი 80 ც-ის ზევით	6	88,60	6,50
ჯ ა მ ი	42	65,1	6,57

საკვლევ კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ზრდას და მოსავლია-
ნობის გაღიდეზღას თან უნდა სდევდეს პროდუქციის თვითღირებულების შემცო-
რება. ამ ღებულების დასადასტურებლად მოსავლიანობის მიხედვით საკვლევ
ერთობლიობის დაჯგუფებამ შემდეგი სურათი მოგვცა (იხ. ცხრ. 5).



ჩაის ხარისხოვანი ფოთლის თვითღირებულების დამოკიდებულება შრომის განსაკუთრებული გინგლირითება
(1972—1973—1974 წლების მონაცემების მიხედვით)

კოლმეურნეობათა ჯგუფები ჩაის ხარისხოვანი ფოთლის თვითღირებულების მიხედვით	კოლმეურნეობათა რიცხვი	ჩაის თვითღირებულება საშუალოდ ჩაშვში (ტან)	კატეგორიის დანახარჯი 1 ტ ჩაის პროდუქტისათვის
I ჯგუფი - 50 მანეთამდე	4	46,50	5,18
II ჯგუფი 50,10 მანეთიდან 55 მანეთამდე	11	52,10	6,64
III ჯგუფი 55,10 მანეთიდან 60 მანეთამდე	15	57,58	7,01
IV ჯგუფი 60,10 მანეთის ზედა	12	63,30	7,23
ჯ ა მ ბ	42	56,21	6,57

უხრის მონაცემებიდან ჩანს, რომ თვითღირებულების ზრდასთან ერთად იზრდება შრომის დანახარჯები და პირიქით. თვითღირებულების შემცირების ტემპი თითქმის ემთხვევა შრომის დანახარჯების შემცირების ტემპს (შესაბამისად 73% და 71,6%), რაც იმას მოწმობს, რომ თვითღირებულების სიდიდე ძირითადად დამოკიდებულია შრომის დანახარჯების სიდიდეზე. ეს კი თავის მხრივ მეტყველებს იმაზე, რომ თვითღირებულებაში შრომის დანახარჯებს დიდი ზედაპირი წონა აქვს, რაც მექანიზაციის დაბალ დონეზე მიუთითებს. ამასვე ადასტურებს ის, რომ საკვლევი კოლმეურნეობებში მთელი დანახარჯების 73,1% შრომის ანაზღაურებაზე მოდის.

საკვლევი 42 კოლმეურნეობის საშუალო მაჩვენებლების ურთიერთშედარებიდან ჩანს, რომ 1972—1973—1974 წლებში 1966—1967—1968 წლებთან შედარებით საშუალოდ ჩაის ხარისხოვანი ფოთლის თვითღირებულება უმნიშვნელოდ შემცირდა (58,32 მანეთიდან 56,21 მანეთამდე) დაახლოებით 4%-ით, ხოლო შრომის დანახარჯი 27,23%-ით. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ შრომის დანახარჯების შემცირების ტემპი უსწრებს თვითღირებულების შემცირების ტემპს.

რენტაბელობის დონის, შრომის ნაყოფიერების და კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის ურთიერთდამოკიდებულების დასადგენად კოლმეურნეობები დავაჯგუფეთ 6 ჯგუფად: I ჯგუფი ზარალიანი, II—15%-მდე რენტაბელობის დონით, III—15—25%-მდე, IV—25-დან 35%-მდე, V—35-დან 45%-მდე და VI—45%-ის ზევით. დავჯგუფების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ რენტაბელობის დონე იზრდება, მცირდება დაბალი რენტაბელობის მქონე კოლმეურნეობათა რიცხვი. ასე, მაგ.: 1965 წელს ზარალიანი (I ჯგუფი) კოლმეურნეობები შეადგენდა 4,76%-ს, ხოლო 1974 წლისათვის ასეთი კოლმეურნეობე-



ბი არ არის. II და III ჯგუფის კოლმეურნეობების ხვედრითი წილი 1965 წელს შეადგინა 19,04%-მდე, ხოლო შესაბამის წლებში IV ჯგუფის ხვედრითი წილი გაიზარდა 19 და 21,42%-მდე, V ჯგუფისა — 23,8%-დან 28,56%-მდე, VI ჯგუფისა — 25,56%-დან 28,56%-მდე. აღნიშნული მაჩვენებლები ადასტურებს რენტაბელობის ფაქტს. ამავე დაჯგუფებით გამოირკვა, რომ რაც მეტია რენტაბელობის დონე, მით მეტია შრომითი აქტიუობა—1974 წელს საშუალო მუშაკის ნამუშევარი კაცდღეების რიცხვი II ჯგუფში 159 კაცდღეს უდრის, შემდეგ ჯგუფებში იგი თანდათან მატულობს და VI ჯგუფში 196 კაცდღეს აღწევს. რენტაბელობის ზრდასთან ერთად იზრდება შრომის ნაყოფიერების დონე—ერთ კაცდღეში 1974 წელს II ჯგუფის კოლმეურნეობებში ნაწარმოებია 4,65 მანეთის მთლიანი პროდუქცია, რაც შემდეგ ჯგუფებში თანდათან მატულობს და მეექვსე ჯგუფში 7,63 მანეთს აღწევს. ასევე ზრდის ტენდენცია ახასიათებს ერთ საშუალო წლიურ მუშაკზე წარმოებულ მთელი პროდუქციის მოცულობას ზედა ჯგუფებში ქვედა ჯგუფებთან შედარებით.

მეჩაიეობის საწარმოო ტიპის საკვლევ კოლმეურნეობებში საერთო პროდუქცია 1974 წელს 1965 წელთან შედარებით გაიზარდა 132%-ით, ხოლო ამავე პერიოდში ამ პროდუქციის საწარმოებლად დახარჯული კაცდღეების რაოდენობა გაიზარდა მხოლოდ 27%-ით და სოფლის მეურნეობით დაკავებულ მუშაკთა რიცხვი 18%-ით. სრულიად კონონომიერი მოვლენაა. სწორედ აღნიშნულის შედეგია შრომის ნაყოფიერების ზრდა, კერძოდ, ერთ კაცდღეზე წარმოებულ მთლიანი პროდუქციის გაზრდა 26%-ით, ხოლო სოფლის მეურნეობაში მომუშავე ერთ წლიურ მუშაკზე კი 95%-ით, იგივე მაჩვენებლები ცალკე კოლმეურნეობებში სხვადასხვაა. რაც კონკრეტულ შემთხვევაში თავისებურად აიხსნება.

ცალკეული კოლმეურნეობის მონაცემების ანალიზიდან შეიძლება ასეთი განსოგადება გაეკეთათ—საკვლევ კოლმეურნეობებში რაც უფრო მაღალია პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი, მის წარმოებაზე გაწეული შრომითი დანახარჯების ზრდის ტემპზე, მით უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერების ზრდის მაჩვენებელი და პირიქით.

მეჩაიეობის საწარმოო ტიპის კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები დაედაგინეთ წმინდა პროდუქციის მიხედვითაც, გამოირკვა, რომ მატერიალური დანახარჯების ნაწილის შედარებით შემცირებასთან დაკავშირებით (შედარებით შემცირებას ვამბობთ იმიტომ, რომ საერთოდ მატერიალური დანახარჯები იზრდება, მაგრამ მისი ტემპი, მექანიზაციის დახალი დონის გამო ჩამორჩება შრომის ანაზღაურებაზე დანახარჯების ზრდის ტემპს) შეიძინება, რომ წმინდა პროდუქციის ზრდის ტემპი უსწრებს საერთო (მთლიანი) პროდუქციის ზრდის ტემპს. ასე, შევალთად, საკვლევ კოლმეურნეობებში 1974 წელს 1965 წელთან შედარებით საერთო პროდუქცია გაიზარდა 132%-ით, ხოლო წმინდა პროდუქცია 179%-ით. ამიტომაც ამ კოლმეურნეობებში ერთ კაცდღეში გამო-მუშავებული წმინდა პროდუქცია საშუალოდ 115%-ით გაიზარდა, ხოლო ერთ მუშაკზე 135%-ით. ეს მაჩვენებელი კი მაღალია საერთო პროდუქციის ერთ კაც-დღეზე გამომუშავების მაჩვენებელზე. საწინააღმდეგო მოვლენასთან ეგვიპს სა-

ქმე ზოგიერთ კოლმეურნეობებში, სადაც მატერიალური დანახარჯების ხვედრითი წილი შედარებით მაღალია, ასე, მაგ., დურიფშის, კინდლის კოლმეურნეობებში და სხვ.

საკვლევი კოლმეურნეობების მეჩაიეობაში დაბალია მექანიზაციის რაოდენობა, რასაც ადასტურებს ის, რომ საშუალოდ ნიადაგის რივთაშორის მექანიზებულია 28%-ით, ბუნჭების გასხვლა—22%-ით, სასუქების შეტანა—5%-ით, პლანტაციის ფემიგაცია—9%-ით, ჩაის ფოთლის კრეფა—10%-ით. ცხადია მექანიზაციის დაბალი დონე უარყოფითად მოქმედებს შრომის ნაყოფიერებაზე.

განგარიშებით დავადგინეთ, რომ მექანიზაციის ამაღლებას, ტექნოლოგიის და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, ასევე მოსავლიანობის გადიდებით მეჩაიეობაში კვლევის ობიექტზე გაზრდილია შრომის ნაყოფიერება 1974 წელს 1965 წელთან შედარებით 59%-ით, რაც იმას ნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში იმდენი რომ დავეხარჯა, რამდენსაც საბაზისო (1965 წ.) პერიოდში ვხარჯავდით პროდუქციის ერთეულზე, მაშინ 3028,3 ათასი კაცს დაეხარჯებოდა, ფაქტიურად კი საანგარიშო (1974 წ.) პერიოდში დაეხარჯეთ 1.904,4 ათასი კაცი, ანუ მთელი პროდუქციის წარმოებაზე გავწიეთ 1123,9 ათასი კაცის ეკონომია.

შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების გამოსავლენად დავადგინეთ ფაქტორთა გავლენის გავლენის ზომა შრომის ნაყოფიერებაზე, განგარიშებით გამოირკვა, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის 59%-დან, მექანიზაციის ამაღლების, ტექნოლოგიის და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების წილად მოდის

$$24,1\% \left(\frac{\sum t_1 s_1}{\sum (t_1 - n) s_1} = \frac{1420,85}{1143,57} = 1,241 \right),$$

$$\text{ხოლო მოსავლიანობის გადი-} \\ \text{დების წილად } 28,1\% \left(\frac{\sum t_1 q_1}{\sum t_1 - n s_1} : \frac{\sum t_1 s_1}{\sum t_1 - n s_1} = 1,251 \right).$$

მიღებული ინდექსები აშკარად მეტყველებენ იმაზე, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე უფრო მეტად იმოქმედა მოსავლიანობის ფაქტორმა, ვიდრე ზემოთ დასახელებულ ფაქტორთა გავლენა.

წარმოების ორგანიზაციის და მათ შორის შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას მიუხედავად საშუალო დროის უფრო რაციონალურ გამოყენებამდე, ეს კი თავის გამოხატულებას პოულობს შრომის დანახარჯების სტრუქტურის გაუმჯობესებაში, კერძოდ შრომის პირდაპირი დანახარჯების ხვედრითი წონის გადიდებაში და დამხმარე და მომსახურე პერსონალის, ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის და საერთოდ არაპირდაპირი შრომის დანახარჯების ხვედრითი წონის შემცირებაში. დავადგინეთ, რომ შრომის პირდაპირი დანახარჯები შრომის მთელ დანახარჯებში 1965 წელს უდრიდა 74,4%-ს, ხოლო 1974 წელს 80,2%-ს, ე. ი. შრომის არაპირდაპირი დანახარჯები 25,6%-დან 19,8%-მდე შემცირდა, რამაც შრომის ნაყოფიერება გაზარდა 7,7%-ით. ამასთან ერთად შრომითი აქტივობის გავლენამ შრომის ნაყოფიერება გააძლია 2,1%-ით. ამგვარად ერთ საშუალო წლიურ მუშაკზე პროდუქციის წარმოება ყველა ზემოთ დასახელებული ფაქტორების გავლენით გაიზარდა 74,7%-ით (1,59 × 1,077 × 1,021 × 100—100).



ჩაის საწარმოო ტიპის კოლმეურნეობების ამონაგებში ჩაის ხეედრობითი წონის მიხედვით დაჯგუფებით დავადგინეთ სპეციალიზაციის დონის დამოკიდებულება შრომის ნაყოფიერებასთან. I ჯგუფში მოთავსდა ის კოლმეურნეობები, რომლებსაც მთელ ამონაგებში, ჩაიდან ამონაგების ხეედრობითი წონა 50-დან 60% შეადგენდა, II-ში 60-დან 80%-მდე, ხოლო III-ში 80%-ს ზევით. მატულობს რა სპეციალიზაციის დონე I ჯგუფიდან მესამემდე, მასთან ერთად მატულობს ძირითადი ფონდებით შეიარაღების დონე (1655, 1962, 2076), ასევე იზრდება შრომის ნაყოფიერებაც. ასე, მაგალითად, 1965 წელს ერთ ცენტნერ ჩაის ფოთლის წარმოებაზე I ჯგუფში დაიხარჯა 11,3 კაცდღე, II-ში—10,1 და III-ში 8,4 კაცდღე, შესაბამისად 1970 წელს—7,2; 6,5 და 5,2, ხოლო 1974 წელს—6,6; 6,3 და 6,1 კაცდღე.

ამავე დაჯგუფების მიხედვით გამოირკვა, რომ სპეციალიზაციის დონის მიხედვით შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად იზრდება ერთი კაცდღის საშუალო ანაზღაურება 1965 წელს 1,98 მანეთიდან 2,90 მანეთამდე, 1970 წ.—3,70 მანეთიდან 5,12 მანეთამდე, ხოლო 1974 წ.—4,57 მანეთიდან 5,77 მანეთამდე. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვლევ კოლმეურნეობების პირობებში ჩაის წარმოების სპეციალიზაციის მაღალი დონე ეფექტურია და უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას და მასთან ერთად შრომის ანაზღაურების გადიდებას.

მეჩაიეობის საწარმოო ტიპის კოლმეურნეობების ინტენსივობის დონის (ერთ ჰექტარ სას.-სამ. სავარგულზე საერთო პროდუქციის ღირებულება მანეთებში) მიხედვით დაჯგუფებამ გამოავლინა წარმოების ინტენსივობის დონის დამოკიდებულება რიგ მაჩვენებლებთან (I ჯგუფი—500 მანეთამდე, II—500-დან 1000-მდე, III ჯგუფი 1000 მანეთის ზევით ჰა-ზე). მიწის გამოყენების დონე III ჯგუფის კოლმეურნეობებში I ჯგუფთან შედარებით 4,8-ჯერ მაღალია. დაახლოებით ოთხჯერ (3,87) მაღალია ძირითადი ფონდებით უზრუნველყოფა (36,5—140,6 ათასი მან.). 2,7-ჯერ გაიზარდა ყოველ ას ჰექტარ სას.-სამ. სავარგულზე საშუალო-წლიურ მუშაკთა რიცხვი. ამასთან ერთად ინტენსივობის მაღალი დონე III ჯგუფში I ჯგუფთან შედარებით მიღწეულია ერთეულ ფართობზე მეტი შრომის გაღებით (166%-ით). შესაბამისად გაიზარდა შრომის ანაზღაურება 66%-ით, შრომის ნაყოფიერება კი III ჯგუფში I ჯგუფთან შედარებით 82,5%-ით მეტია (6,63—12,10 მან.). კოლმეურნეობათა III ჯგუფში ძალოვანი მანქანების და ტრაქტორების ღირებულება ერთ ჰა სას.-სამ. სავარგულზე I ჯგუფთან შედარებით მეტია 248%-ით (61,7 მანეთი წინააღმდეგ 17,7 მანეთისა), რამაც თავის მხრივ განაპირობა შრომის ნაყოფიერების 82,5%-ით ამაღლება.

საკვლევ კოლმეურნეობების მემცენარეობის ძირითად კულტურებში (ჩაი, სიმინდი, თამბაქო) შრომის ნაყოფიერება საშუალოდ 1974 წელს 1965 წელთან შედარებით გაიზარდა 44,4%/ით, რამაც შრომის პირდაპირი დანახარჯი 1.001.843 კაცდღის მოცულობით დაზოგა.

ცალკეული კოლმეურნეობის მემცენარეობაში შრომის ნაყოფიერების დინამიკის დადგენამ დაგვანახა, რომ რიგ კოლმეურნეობაში თამბაქოს და სიმინჯის



ნდის წარმოებაში შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე, შემცირება ზრდა-
 ლი ტემპით ზრდა დაბლა სწევს შრომის ნაყოფიერების საშუალო დონეზე.
 ვორც ცალკე კოლმეურნეობის, ისე კოლმეურნეობათა ჯგუფის მაშველებში
 ჩაის საწარმოო ტიპის კოლმეურნეობებში მეცხოველეობას, საერთო და
 სასაქონლო პროდუქციაში უმნიშვნელო ხვედრითი წონა აქვს (საერთო პრო-
 დუქციაში—6%, სასაქონლო პროდუქციაში—4,2%). იგი არარენტაბელური და-
 რგია ჰეჩაიეობის კოლმეურნეობებში. 1974 წელს მეცხოველეობაში ზარალმა
 1,2 მილიონ მანეთს მიაღწია. დაბალია შრომის ნაყოფიერების დონე როგორც
 რძის, ისე ხორცის წარმოებაში. საკვლევ კოლმეურნეობებში 1 ცენტნერი რძის
 წარმოებაზე 1965 წელს საშუალოდ დაიხარჯა 5,8 კაცდღე, 1974 წელს კი 4,2
 კაცდღე, ხორცი წონამატის 1 ცენტნერის წარმოებაზე შესაბამისად 27,2 და 24,2
 კაცდღე. მოტანილი მაჩვენებლები შრომის ნაყოფიერების დაბალ დონეზე მიუ-
 თითებს, რაც გამოწვეულია მექანიზაციის დაბალი დონით და პირუტყვის დაბა-
 ლი პროდუქტიულობით (საშუალო წველადობა 752 კგ უდრის). მოტანი-
 ლი მაჩვენებლები მეცხოველეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდაზე მიუთი-
 თებს, მავრამ მისი ზრდის ტემპი დაბალია. მეცხოველეობაში შრომის ნაყოფი-
 რების ზრდის დაბალი ტემპი ცხადია უარყოფით გავლენას ახდენს მეჩაიეობის
 საკვლევ კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების საშუალო დონეზე.

დასკვნის საბით შეიძლება ხაზი გავუსვათ შემდეგ საკითხებს: ზემოთ მო-
 ცემული ანალიზი ადასტურებს, რომ ჩაის საწარმოო ტიპის კოლმეურნეობებში
 ჩაის წარმოების შედარებით მაღალი ეფექტურობის მიუხედავად არსებობს
 შრომის ნაყოფიერების გადიდების და თვითღირებულების შემცირების რე-
 ზერვები.

ერთ-ერთი და უმთავრესი რეზერვი შრომის ნაყოფიერების გადიდებისა არის
 სამუშაო პროცესების და კერძოდ ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაცია. მართა-
 ლია ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ სეზონში კრეფს 60—70 ტონა ჩაის
 და ცვლის 30—40 კაცს, მან ჯერ კიდევ ვერ შეიტანა დიდი გარდატეხა ჩაის კრე-
 ფის მექანიზაციაში, ვინაიდან რელიეფი, რომელზეც გაშენებულია ჩაის პლან-
 ტაციების 60—70%, არ იძლევა „საქართველო“-ს გამოყენების შესაძლებლობას,
 ამასთან ერთად ვაეე რელიეფზე არსებული პლანტაციების დიდ ნაწილში „საქა-
 რთველოს“ ვერ იყენებენ გაშენების წესის გამო. ამჟამად ჩაის ფოთლის კრეფის
 მექანიზაცია მხოლოდ 10%-ს აღწევს. ჩაის წარმოებაზე მთელი შრომის დანახა-
 რჯების 70—73% კრეფაზე მოდის, რის გამოც გადაუღებელ ამოცანას შეადგენს
 ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაცია.

აუცილებელია დაინერგოს სას.-სამ. ინსტიტუტის მოსავლის ამლები მანქა-
 ნების კათედრის (პროფ. გ. შხვაცაბაია), სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და
 ელექტრიფიკაციის ინსტიტუტის (პროფ. ზ. ხანთაძე, ე. დოლიძე), ს/მ ეკონომი-
 კისა და ორგანიზაციის კვლევითი ინსტიტუტის (პროფ. პ. ქლენტი, გ. ჰინჭარაუ-
 ლი) საწარმოო გამოცდების შედეგად მიღებული რეკომენდაციები მცირე მექა-
 ნიზაციის დანერგვის შესახებ. იმპორტული ჩაის საკრეფი აპარატები: 1) ბენზი-
 ნისძრავიანი—S—8. 2) ელექტროძრავიანი ელექტროქსელიდან კვებით—S—8—
 24 და 3) ელექტროძრავიანი—S—8 გენერატორიდან კვებით, შემოვიდა რა წარ-



მოებაში, ერთი მკრეფავი ერთ სამუშაო დღეში საშუალოდ კრეფს 150—200 კგ ჩაის ფოთოლს (მოწინავე მკრეფავეები 300—350 კგ-ს), მაშინ, რეკომენდებულია ხელით ამავე დროში კრეფს საშუალოდ 25—30 კგ ჩაის ფოთოლს ცენტრში, ერთ ცენტრერ ჩაის ფოთლის კრეფაზე შრომის დანახარჯი, როგორც მიხი-მუმი, შემცირდება 5-ჯერ. 1972—1973—1974 წლებში საშუალოდ 1 ცენტნერ ჩაის წარმოებაზე 6,2 კაცდღეს ეხარჯებოდა, მის 73%-ს ანუ 4,4 კაცდღეს მხო-ლოდ ჩაის კრეფას ვანდომებდით. თუ ამ შრომით დანახარჯს 5-ჯერ შევამცირებთ, მაშინ ყოველი ცენტნერი ჩაის მოკრეფაზე დაგვირდება 0,9 კაცდღე, დანარჩენ სამუშაოებზე კი 1,8 კაცდღე (27%), სულ 2,7 კაცდღე ცენტრზე. ეს კი იმას ნი-შნავს, რომ შრომის დანახარჯი 1 ცენტნერ ჩაის ფოთლის საწარმოებლად 2-ჯერ და უფრო მეტად—56%-ით შემცირდა, რაც 112%-ით გაზრდის შრომის ნაყო-ფიერებას.

ამასთან ერთად უნდა დაინერგოს ზემოხსენებული ინსტიტუტების მიერ გა-მოცდილი და რეკომენდებული—ST—225 მარკის სასხლავი ხელის აპარატი, რომელიც ერთ ჰექტარ პლანტაციაზე 111 კაცსათის ხარჯავს ნაცვლად 200 კაცსა-ათისა ხელით გასხვლის დროს. ეს კი 65 ცენტნერი საშუალო მოსავლიანობის პირობებში ყოველ ცენტნერ ჩაიზე დაზოგავს 0,16 კაცდღეს ანუ შრომით დანა-ხარჯს გასხვლაზე შეამცირებს 40%-ით (0,40—0,24). ამგვარად ჩაის კრეფაზე და გასხვლაზე შრომის დანახარჯი შეამცირდება 3,66 კაცდღით (6,2—[(4,4—0,9)—(0,40—0,24)]=2,54 კაცდღე) და ერთი ცენტნერი ჩაის წარმოებაზე და-გვეხარჯება 2,54 კაცდღე, რაც შრომის დანახარჯებს 1972—1973—1974 წლების საშუალო დონესთან შედარებით შეამცირებს 59%-ით, შესაბამისად 118%-ით გაიზრდება შრომის ნაყოფიერება და შემცირდება თვითღირებულება, რაც გაზრდის კოლმეურნეობების რენტაბელობას. ცხადია მექანიზაციის დასახელებული დონე შეიძლება მიღწეულ იქნეს არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით, ზემოთ დასახელებული აპარატებით კოლმეურნეობათა უზრუნველყოფის კვა-ლობაზე და კომპლექსური მექანიზაციის დონის ამაღლებით.

შემდეგი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვი შრომის ნაყოფიერების გადიდებისა არის ჩაის წარმოების კონცენტრაცია. კონცენტრაციის დადებითი გავლენა ამ დარგის ეკონომიურ მაჩვენებლებზე გეიჩვენა კოლმეურნეობათა და-ჯგუფებამ ჩაის ფართობის მიხედვით (I ჯგუფი 50 ჰა-მდე, V ჯგუფი 200 ჰა-ზე ზევით). რაც მეტია ჩაის ფართობი, მით ნაკლებია შრომის და მატერიალური და-დანახარჯები ცენტნერ პროდუქციაზე.

შრომის ნაყოფიერებას ამაღლების ერთ-ერთი რეზერვია ჩაის მოსავლიანობის გადიდება, ხოლო მოსავლიანობის გადიდების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს პლანტაციების განოყიერება მინერალური სასუქებით ორგანული სასუქების ფონზე. მათი საჭირო პროპორციით ნიადაგში შეტანამ მოწინავე კოლ-მეურნეობებში გაზარდა მოსავლიანობა 90—100 ცენტნერამდე.

ერთ-ერთი რეზერვია ჩაის პლანტაციის მორწყვა მოწვიმებით, რაც გაანგა-რიშებით 20—25%-ით ზრდის მოსავლიანობას და შესაბამისად ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

შრომის ნაყოფიერების გადიდება დამოკიდებულია აგრეთვე შრომის სწორ ორგანიზაციაზე; შრომის ბრიგადული ორგანიზაცია, ბრიგადის შიგნით უზუნდ-რივ-ეკონომიური ხელსაყრელობის დონის მიხედვით პირველ რიგში უზრუნველყ-კოლმეურნეობის ფორმების ფართოდ დანერგვა და აუცილებლურად უნდა უზრუნველყ-ში მასთან ინდივიდუალური მიმავრების შეთანაწყობა, სამუშეო დროის აღ-რიცხვის საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა. მიზანშეწონილად მი-გვაჩნია ყველა კოლმეურნეობაში გავრცელდეს მოწინავე მეურნეობათა გამო-ცდილება, რომ მკრეფავი ჩაის აბარებდეს მშონავს არა მიმღებ პუნქტში, არამედ ბუჩქთან, სადაც კრეფას აწარმოებს და სადაც მშონავი უხდა მივიდეს, ამით ჩაის მკრეფავი დაზოგავს ჩაბარებისათვის სიარულში დახარჯულ დროს, რაც როგორც ქრონომეტრაციით დადგინდა სამუშაო დროის თითქმის მეხუთედს (20—23%-ს) უდრიდა. ამით გაიზრდება ჩაის კრეფისთვის ძირითადი დრო.

კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის ზრდა ერთ-ერთი ძირითადი რეზერ-ვია შრომის ნაყოფიერების ზრდის. საკვლევ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ და-ბალია ერთი საშუალო-წლიური მუშაყის სამუშეო კაცდღეთა რაოდენობა, წე-ლიწადში იგი 1974 წელს 183 კაცდღეს უდრის, მაგრამ რიგ კოლმეურნეობაში ეს მაჩვენებელი 130—135 კაცდღეს არ აღემატება, ზოგ კოლმეურნეობაში წი-ნა წლებთან შედარებით მცირდება იგი. მაშასადამე, კოლმეურნეობათა ამოცა-ნას შეადგენს დარგები და კულტურების სწორი შეთანაწყობით უფრო სრულად გამოიყენონ მუშახელი, გამონახონ მათი საზოგადოებრივ მეურნეობაში ჩაბმის კონკრეტული გზები.

შრომის არაპირდაპირი დანახარჯების ხვედრითი წონა საშუალოდ 1974 წელს 1965 წელთან შედარებით 25,6%-დან 19,8%-მდე შემცირდა, მაგრამ რიგ კოლმეურნეობაში იგი ჯერ კიდევ 30—35%-მდე აღწევს. საჭიროა ზრუნვა აღ-ნიშნულის შემცირებისათვის, რაც გააძლიერებს შრომის ნაყოფიერებას.

დაჯგუფებით დადგინდა, რომ რაც მაღალია სპეციალიზაციის დონე, მით მეტია შრომის ნაყოფიერება, წმინდა შემოსავალი ერთ ჰა სას.-სამ. სავარჯულ-ზე და შრომის ანაზღაურება კაცდღეზე. სპეციალიზაციის დონე ჯერ კიდევ შე-დარებით დაბალია 12 კოლმეურნეობაში. საჭიროა ზრუნვა სპეციალიზაციის უფრო მაღალი დონისათვის.

საჭიროა ამაღლდეს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი თამბაქოს და სი-მინდის წარმოებაში, ასევე მეცხოველეობაში, სადაც ზარალიანობის ლიკვიდა-ციას შეიძლება მივალწიოთ საკუთარი საყვები ბაზის შექმნით, რაც თავის მხროვ გააძლიერებს შრომის ნაყოფიერების საერთო დონეს კოლმეურნეობებში.

დანახარჯების სტრუქტურაში მაღალი ხვედრითი წონა აქვს შრომის ანაზღა-ურების ხარჯებს (65—73%). თვითღირებულების სტრუქტურაში შრომის ანა-ზღაურების ხვედრითი წონა პერსპექტივაში უნდა შემცირდეს შრომის ძირითა-დი და დამატებითი ანაზღაურების სრულყოფისა და სამუშაო პროცესების მე-ქანიზაციის დონის ამაღლებით ჩაის კულტურაში.

შრომის ნაყოფიერების გადიდებით გამოვლენილი მუშახელის რეზერვები დასაქმებული უნდა იქნეს სას.-სამ. სავარჯულთა სრულად და ეფექტურად გა-

მოსაყენებლად, რამდენადაც ერთ საშუალო-წლიურ მუშაკზე მოდის საეკონომიკური მიწის საერთო ფართობი 6,83 ჰა, მათ შორის სას.-სამ. სავარგული 2,78 ჰა, სოფლის მათგან სახხნავი და მრავალწლიანი ნარგავები 0,83 ჰა-ს უდრის. ექსპერტული ამაღლდა ერთად იმ კოლმეურნეობებში, სადაც არის ჭარბი ტექნიკური მოწყობის რესურსები, შეიძლება დამატებით მოეწყოს დამხმარე სამრეწველო საწარმოები, რაც ხელს შეუწყობს მუშახელის დასაქმებას და აამაღლებს სოფლის ეკონომიურ პოტენციალს, რაც ხაზგასმულია სკკპ პროგრამაში.

Д. Ф. КАЦИБАЯ

ПРОИЗВОДИТЕЛЬНОСТЬ ТРУДА В КОЛХОЗАХ ЧАЕВОДЧЕСКОГО ПРОИЗВОДСТВЕННОГО НАПРАВЛЕНИЯ АБХАЗСКОЙ АССР

Резюме

Коммунистическая партия и Советское правительство большое внимание уделяют повышению производительности труда в сельском хозяйстве.

Для выявления резервов повышения производительности труда были изучены колхозы чайводческого направления Абхазской АССР.

Определена динамика производительности труда в 1965—1974 годах. Проанализирована трудовая активность колхозников и её влияние на производительность труда.


Установлена взаимосвязь между производительностью труда и концентрацией производства. Также рассчитаны показатели взаимосвязи производительности труда от урожайности, себестоимости, уровня рентабельности, уровня специализации и уровня интенсификация.

Установлена степень влияния на производительность труда уровня механизации, технологии производства, организации труда и урожайности.

Расчитана производительность труда в основных отраслях растениеводства и животноводства и их влияние на средний уровень производительности труда в колхозах.

Расчитана эффективность внедрения малой механизации и его влияние на производительность труда.

Указаны резервы и пути повышения производительности труда в колхозах чайводческого направления.



ბ. შირვალიძე

კოლმეურნეობაში აღრიცხვისა და ანალიზის ზომიერით
საკითხის გაუმჯობესებისათვის

თანამედროვე პირობებში აღრიცხვის არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების შემოწმებას, ავლენს გამოუყენებელ რეზერვებს და მოსალოდნელ შეფერხებებს, იძლევა სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შესადგენად საჭირო ცნობებს.

დღევანდელ ეტაპზე კიდევ უფრო გაიზარდა აღრიცხვის წინაშე მდგარი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული პროგრამის რეალიზაციისათვის. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის წინაშე წაყენებული გრანდიოზული ამოცანები აღრიცხვის წინაშე გადაუდებლად აყენებენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ზუსტი აღრიცხვისა და ეკონომიური ანალიზის აუცილებლობას.

სოციალისტურ საზოგადოებაში აღრიცხვის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სოციალისტური საკუთრების დაცვა და განმტკიცება, ამის გარეშე შეუძლებელია სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარება. ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ: „აღრიცხვა და კონტროლი—აი მთავარი, რაც საჭიროა კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზის „მოწესრიგებისათვის“ სწორი ფუნქციონირებისათვის“ [1], „...სოციალიზმი—ეს უწინარეს ყოვლის აღრიცხვაა“ [2].

კოლმეურნეობებში ეკონომიური მუშაობის სათანადო სიმძლავრე დაყენება შეუძლებელია გაწეული ხარჯებისა და ჩასატარებელ სამუშაოთა აღრიცხვის სწორი ორგანიზაციის გარეშე.

როგორც ცნობილია, ამ მიმართულებით ბევრ კოლმეურნეობაში არც ისე კარგი მდგომარეობა გვაქვს, ცოტა როდია ფაქტები, როდესაც აღრიცხვის ჩამორჩენილობის შედეგად კოლმეურნეობაში ჭიანჭურდება დარიცხული შრომის ანაზღაურება. გაწეული ხარჯებისა და მიღებული შედეგების სწორი დადგენა, კვარტალური და წლიური ანგარიშების ზუსტად და დროულად შედგენა.

აღრიცხვის და კონტროლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი არის დანახარჯების ზუსტი და დროული აღრიცხვა, მისი მიკუთვნება საკალკულაციო ობიექტებზე.



**ეროვნული
ბიზნესკამერა**

მიღებული მოსავლის დროული აღრიცხვა და პროდუქციის თვითღირებულების დადგენა.

პროდუქციის თვითღირებულებაში აისახება წარმოების ეკონომიური დახასიათების გამოყენება სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ეკონომიური დახასიათებისათვის. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაობის ანალიზის დროს პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურის, წლების მანძილზე მისი დინამიკის შესწავლა საშუალებას გვაძლევს ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნები გავაკეთოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, წარმოების შრომატევადობის შემცირების, ნედლეულის მიზნობრივად ხარჯვისა და სხვათა შესახებ.

დანახარჯთა შედგენილობის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს თვითღირებულების დაგეგმვის და მისი შემცირების კონტროლისათვის, როცა ვიცით დანახარჯები (შედგენილობა). შეგვიძლია დაეადგინოთ დანახარჯთა ცალკეული მუხლების შემცირების გავლენა პროდუქციის თვითღირებულების საერთო დონეზე, მაგრამ აღრიცხვის არსებული მდგომარეობა ამის შესაძლებლობას არ იძლევა. პროდუქციის თვითღირებულების წლიური ანგარიშების ცხრილში შემჩნევა შემდეგი ნაკლი:

დანახარჯთა ელემენტებში არ ჩანს მომსახურე საწარმოთა (სატრაქტორო პარკის, ცოცხალი გამწვევი ძალის და სხვ.) დანახარჯების მუხლი. მომსახურე საწარმოების დანახარჯებიდან საწვავ-საცხები მასალები მოცემულია ცალკე ელემენტად, ხოლო დანარჩენი დანახარჯები, ჩართულია სხვა პირდაპირ დანახარჯებში, რაც თვითღირებულების სტრუქტურის სრულყოფილი ანალიზის საშუალებას არ იძლევა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მომსახურე საწარმოებზე გაწეული ყველა დანახარჯი აღრიცხული იყოს ცალკე და არა ისე, როგორც ეს ხდება დახარჯული საწვავ-საცხები ღირებულების წარმოებულ პროდუქციაზე პირდაპირ მიკუთვნებისას, რაც სრულყოფილად ვერ ხერხდება, რადგან მუშაობის პერიოდში ხშირია შემთხვევა, რომ ტრაქტორი ან ავტომანქანა სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოებას ემსახურება.

მოქმედ ანგარიშთა გეგმით მომსახურე წარმოებათა (სახეების მიხედვით) დანახარჯები ცალკე უნდა აღრიცხოს, როგორც სინთეზურად, ისე ანალიზურად, ხოლო მათი მიკუთვნება საკალკულაციო ობიექტებზე მოხდება პირობითი რბილი ზენის, ტ.ჩ.ის, ცხენელის და სხვა თვითღირებულების პროპორციულად და დანახარჯთა სტრუქტურაში მოცემული იქნება ცალკე ელემენტად.

ფაქტიური მასალების მიხედვით მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი „სხვა პირდაპირი დანახარჯები“, რაც ამ მუხლში არამიზნობრივი დანახარჯების მიკუთვნებას გულისხმობს.

პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისა და ანალიზისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ანალიზური აღრიცხვის ორგანიზაციას. ანალიზური აღრიცხვის საშუალებით შეგვიძლია გავიგოთ ცალკეული კვლტურის და მეცხოველეობის საწარმოთა ვაჭურის მიხედვით წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება და



მოუახდინოთ მისი განალიზება. მაგრამ ამჟამად აღრიცხვის ორგანიზაცია აწევენსაბამება იმ მოთხოვნებს, რომელიც საჭიროა. ასე, მაგალითად, ჩვენი დასახარებაში დანახარჯები ანალიზურად აღრიცხება ცალკე კულტურებზე თვითღირებულების განსაზღვრა ხდება პროდუქციის სახეების მიხედვით, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც დანახარჯები აღრიცხული არის ერთად, თვითღირებულების განსაზღვრა ხდება საერთოდ. მაგალითად, წლის ბოლოს განისაზღვრება თვითღირებულება თესლოვანების, კვარკოვანების და კაკლოვანების. განა მოცემულით შეგვიძლია რაიმე ანალიზი გავაყეთოთ მეხილეობაში ცალკე კულტურების მიხედვით და განვსაზღვროთ პროდუქციის სახეების (ვაშლის, მსხლის, ატმის, ბლის და სხვ.) მიხედვით შედეგაწიანობა მაშინ, როდესაც ხდება არა მარტო ცალკეული კულტურის, არამედ ცალკეული ჯიშის ეკონომიური შესწავლა და მისი ეფექტიანობის განსაზღვრა.

საჭირო და სასარგებლო არის ანალიზური აღრიცხვა მოეწყოს (თუ ამის საშუალებას იძლევა მეურნეობა) ცალკეული კულტურის მიხედვით, ხოლო თუ შერეული ნარგავია, კულტურების მიხედვით დანახარჯების მიკუთვნება მოხდეს ფართობის და ძირების მეშვეობით სუფთა ნარგავობაზე გადაყვანის გზით, დანახარჯების განაწილება მოხდეს ელემენტების მიხედვით ცალ-ცალკე, რათა სათანადო მასალა ექონიოთ ანალიზისათვის. დანახარჯების აღრიცხვა გაუმჯობესებას მოითხოვს მებოსტნეობის იმ მეურნეობებში, სადაც მებოსტნეობას მკირე ხვედრითი წონა უყავია. რადგან ერთსა და იმავე პირობებში აგროლონისძიებათა სისტემა ერთნაირია, ხოლო ფაქტიურად განხორციელება სხვადასხვაა, რის გამო მიიღება სხვადასხვა სახის და ხარისხის პროდუქცია. საჭიროა საერთო დანახარჯების განაწილება პროდუქციის სახეებს შორის მოხდეს გეგმური თვითღირებულების მიხედვით.

ანალოგიურად საჭირო შესწორებას მოითხოვს ჩაის პლანტაციიდან წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდთა, რადგან ამჟამად არსებულის მიხედვით მთლიანი დანახარჯებიდან გამოთიშულია ლაო-ჩაის, საყოფეინე მასალის და სხვათა ღირებულება. გაანგარიშებულია I და II ხარისხის ჩაის ფოთოლი ერთად „ხარისხოვანი ფოთოლი“ მაშინ, როდესაც ყველა სასაქონლოა.

რეკომენდებულია დანახარჯები მემცენარეობაში ცალ-ცალკე იყოს აღრიცხული კულტურების მიხედვით. სარწყავზე ცალკე და ურწყავზე ცალკე.

გარკვეული ცილილებების შეტანა საჭირო მეცხოველეობის დანახარჯთა აღრიცხვის ორგანიზაციაში:

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდი და სუქებაზე მყოფი მოზარდების პირუტყვის წარმოების დანახარჯების აღრიცხვა, დებულებით გათვალისწინებულია ერთ ანალიზურ ანგარიშში „ყველა ასაკის მოზარდი და სუქებაზე მყოფი მოზარდილი პირუტყვი“. რის გამო გაურკვეველია სუქებაზე დაყენებული პირუტყვის ეკონომიური ეფექტიანობა. საჭიროდ მიგვაჩნია ცალკე გამოიყოს და აღრიცხოს საწარმოო დანახარჯი მოზარდზე და ცალკე სუქებაზე მყოფ პირუტყვზე.

ზემოაღნიშნულის შესავსად უნდა მოხდეს საწარმოო ჯგუფების გათვითვალისწინებული მდგომარეობის შეფასება.

1970 წლამდე განისაზღვრებოდა თანამდე პროდუქციის (ჩაღრმობის, ხაღრმობის და სხვ.), ახლა კი წლიური ანგარიშის ფორმის № 12-ში ანგარიშდება, რაც სიძნელეს ჰქმნის ცალკეული კულტურის ეკონომიური ანალიზის ჩატარებისათვის.

სათანადო შესწორებას მოითხოვს აგრეთვე კაპიტალურ დაბანდებთან დახარჯების აღრიცხვისა და შემოსავლის აღრიცხვის ორგანიზაცია.

მრავალწლიანი ნარგავების გაშენებაზე და მის შემდგომ მოვლაზე გაწეული დანახარჯები აღრიცხება, როგორც კაპიტალური დაბანდება, ხოლო მისგან მიღებული შემოსავალი უმართებულოდ გადააქვთ მოსავლიან (მსხმოიარე) ფართობზე და ამით ხელოვნურად ამცირებენ პროდუქციის ფაქტიურ თეორიულ უფლებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინება შესაძლებლობას მოგვცემს გავაკეთოთ ეკონომიური ანალიზი და დავადგინოთ პროდუქციის სახეების მიხედვით ეკონომიური ეფექტიანობა. ხელი შევეწყვით შიგნითურ ანგარიშობის დანერგვა-განმტკიცებას.

Т. К. ШЕРЕЗАДИШВИЛИ

УЛУЧШЕНИЕ НЕКОТОРЫХ ВОПРОСОВ УЧЕТА И АНАЛИЗА В КОЛХОЗАХ

Этот труд посвящен актуальным вопросам, в нем поставлены следующие основные вопросы:

1. При размещении в годовом отчете элементов затрат по культурам и видам продукции не видно объема затрат подсобных хозяйств, что не дает возможности проведения полного анализа по отдельным элементам. Надо чтобы отнесение затрат подсобных хозяйств производилось пропорционально работе, выполняемой производственной группой по животноводству и отдельным культурам.

2. В сельском хозяйстве Грузинской ССР определенным удельным весом представлено плодоводство, где определение себестоимости производится отдельно по семечковым и косточковым, что не дает полного представления об экономической эффективности отдельных видов. В труде дана методика определения себестоимости по отдельным видам продукции яблوك, груш и т. д.

3. Себестоимость продукции, полученной с чайной плантации, обязательно надо определять в отдельности первого, второго сортов лао-чая и кофеинового сырья.

4. Себестоимость продукции, полученной от овощеводства, в годовом отчете представлена вместе, что мы считаем неправильным: думаем, что при фактической калькуляции отнесение затрат по отдельным видам продукции производилось плановой себестоимостью.

5. Как в крупном рогатом скоте, так и в свиноводстве учет затрат и определение себестоимости продукции надо производить обязательно отдельно от молодняка и отдельно на переведенных на откорм животных, чтобы установить себестоимость каждого.

6. Нужно и обязательно определение себестоимости соломы.

7. Точно производился учет в доход той продукции, что получается от вновь разведенных или неполностью плодоносящих многолетних насаждений; не включать эту продукцию в продукцию с плодоносящих площадей, чтобы искусственно не уменьшить себестоимость продукции.

ლიტერატურა — Литература

1. ვ. ი. ლეონიძე. თბზ., ტ. 32, გვ. 167.
2. ვ. ი. ლეონიძე. თბზ., ტ. 25, გვ. 590.
3. ვ. ი. ლეონიძე. თბზ., ტ. 26, გვ. 334.



ა. თადიარეწილი

სასოფლო-სამეურნეო სავარგოთა პირველადი ინფორმაციის შორეობის
სრულყოფის გზები

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების საწარმო-სამეურნეო საქმიანობის ასახვა რაოდენობრივად და თვისობრივად ხდება პირველადი ინფორმაციით. მის სისრულეზე, უტყუაობაზე, დოკუმენტურად მიღებაზე ზეერად არის დამოკიდებული სამართავი ობიექტის ყველა სახის რესურსის რაციონალური გამოყენება.

პირველადი ინფორმაციის ფორმირება ტექნოლოგიური ასპექტით მოიცავს სამ ეტაპს: პირველ ეტაპზე წარმოებს საწარმო-სამეურნეო მოვლენების რაოდენობრივი და თვისობრივი ასახვა. ეს მოითხოვს შესრულებული სამუშაოს ან მოვლენის გაზომვას, აწონვას, რომელიმე ნიშნით დახასიათებას და ა. შ., მეორე ეტაპზე—საწარმო-სამეურნეო მოვლენების ამსახველი ინფორმაციის შეკრება, თავმოყრა, ხოლო მესამეზე—თავმოყრილი ინფორმაციის რეგისტრაცია ინფორმაციის რომელიმე მატარებელზე. უფრო ხშირად ამისათვის გამოყენებულია ჩვეულებრივი ქაღალდის დოკუმენტი.

საბჭოთა ეკონომისტების გაანგარიშებით სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საარტიკულო აპარატის მთელი სამუშაო დროის 60% პირველადი ინფორმაციის ფორმირებაზე იხარჯება. აქედან პირველადი ინფორმაციის ფორმირებისათვის საჭირო დროის 30% მოდის მოვლენების რაოდენობრივ და თვისობრივ ასახვაზე და მათ თავმოყრაზე, ხოლო დანარჩენი დროის 70% იხარჯება ინფორმაციის რეგისტრაციაზე. მაგრამ ინფორმაციის ფორმირების საქმეში არამარტო ეკონომიური სამსახურის მუშაეები მონაწილეობენ, არამედ სამმართველო აპარატის სხვა მუშაეებიც.

გამოკვლევებით დასტურდება, რომ ამჟამად ჩვენი ქვეყნის 12 მილიონიანი სამმართველო აპარატი გაუმართლებელ დიდ დროს ხარჯავს (დაახლოებით მთელი თავისი სამუშაო დროის 25—30%) ტექნიკურად მარტივ, მაგრამ შრომატევადი ოპერაციების შესრულებაზე, რომლებიც პირველადი ინფორმაციის ფორმირებასთან არის დაკავშირებული.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში არნახული ტემპით იწარგება სამმართველო შრომაში თანამედროვე გამოთვლითი და ორგანიზაციული ტექნიკა, პირველადი ინფორმაციის სამივე ეტაპზე ძირითადად გამოყენებულია ხელის



შრომა. ეს უარყოფით გავლენას ახდენს სამმართველოს აპარატის უფროს ნაყოფიერებაზე. ეს დასტურდება უკრაინის რესპუბლიკის, უკრაინის რესპუბლიკის დიანისკის რაიონის, ყირიმის ოლქის საქსკის რაიონის, ყირიმის ოლქის საოფლო-სამეურნეო საწარმოთა ინფორმაციის ფორმირების საქმეში ტექნიკური საშუალებების გამოყენების ფაქტიური მდგომარეობით შესწავლილი მონაცემების საფუძველზე. 1-ელ ცხრილში მოტანილი მონაცემებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირველადი ინფორმაციის სამივე ეტაპზე გამოყენებულია ძირითადად ხელის შრომა.

დღეისათვის ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში პირველადი ინფორმაციის ფორმირების მექანიზაციისათვის და ავტომატიზაციისათვის გამოყენებულია მრავალი სახის ტექნიკური საშუალება, ესენია: იმპულსური გადამცემები, აღმრიცხველები, გამზომი ტარა, აღმრიცხველი სასწორი, თვითსარევისტრაციო ხელსაწყო, აღმრიცხველ-რეგისტრატორები, ტოპოგრაფიული მანქანები, გამამრავლებელი აპარატები და სხვ. ამასთან ერთად გამოთვლითი ტექნიკის ეფექტურად გამოყენებისათვის ინფორმაციის ტექნიკური მატარებლის ფორმირების ავტომატიზაციისათვის.

ცხრილი 1

პირველადი ინფორმაციის ფორმირება

მართვის ფუნქციები და ქვეფუნქციები	საწარმო-სამეურნეო მოვლენების					
	გ ა ზ ო მ ე ა		შ ე გ რ ე ბ ა		რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა	
	შესრულება - % - ზში					
	მექანიზებული	ხელით	მექანიზებული	ხელით	მექანიზებული	ხელით
I დ ა გ ე გ მ ე ა						
ა) პერსპექტიული	2,0	98,0	9,4	90,6	—	—
ბ) მიმდინარე	1,5	98,5	4,1	95,9	—	—
გ) ოპერატიული	3,2	96,8	7,2	92,8	—	—
II ა ლ რ ი ც ხ ვ ა						
ა) ბუღალტრული	9,4	90,6	12,1	87,9	10,7	86,3
ბ) სტატისტიკური	6,0	94,0	10,9	89,1	11,0	89,0
გ) ოპერატიული	12,0	87,7	14,0	86,0	9,0	91,0
III ხ ა ლ ო ს პ ე ტ რ ი	8,0	92,0	21,0	79,0	—	—
IV ე კ ო ნ . ა ნ ა ლ ი ზ ი	7,3	82,7	9,8	80,2	—	—

შენიშვნა: ცხრილი ნაპოვნი რეგისტრები—Научные отчеты БНИИКСХ, Киев, Украина, СХИ, за 1972-1973 гг.

როგორც ცნობილია, მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი ყოველთვის დადებითია და მოთავსებულია საზღვრებს შორის: $0 < R < 1$. თუ $R = 1$, მაშინ შესაძლებელია წარმოვიდგინოთ კორელაციური კავშირი არ არსებობს, $R = 0$, მაშინ ზუსტად წრფივი კორელაციური კავშირი გვაქვს. ამასთანავე, როცა $R = 0,8 - 0,9$ კავშირი ფაქტორებს შორის ითვლება ძლიერად, ხოლო $R = 0,7 - 0,6$ კავშირი ითვლება საშუალოდ, ხოლო $R = 0,5 - 0,4$ კავშირი ითვლება სუსტად.

ჩვენს შემთხვევაში მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი I და IV ჯგუფის კოლმეურნეობებში უფროს 0,96—0,95, ე. ი. დამოკიდებულება არის ძლიერი, ხოლო II და III ჯგუფის კოლმეურნეობებში—0,66 (საშუალო).

ორივე ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებში კორელაციის კოეფიციენტი მაღალია (0,91—0,84), ე. ი. დამოკიდებულება ფაქტორებს შორის ძლიერია.



Խոտորակներում նվազագույն և/կամ նորից ստեղծված լավագույն արտադրանքի արտադրողներին ցուցիչներ

Կարգը (արտադրողներ)	Արտադրանքի քանակը \bar{y}	R	D	V_1	s_1	V_{R1}	V_{D1}	Կարգը (արտադրողներ)	Արտադրանքի քանակը \bar{y}	R	D	V_2	s_2	V_{R2}	V_{D2}
I Կ՝ 25-26	$\bar{y}=22,3-0,63+0,3$	0,76	0,90	3,1	1,23	-0,97	0,97	I Կ՝	$\bar{y}=17,54-0,44-0,025$	0,91	0,83	6,05	2,34	-0,92	0,87
II Կ՝ 27-28 29-30	$\bar{y}=36,305-0,257+0,005$	0,86	0,50	1,78	4,24	-0,68	0,45	II Կ՝	$\bar{y}=23,93-0,58+0,025$	0,84	0,70	3,34	2,83	-0,85	0,84
III Կ՝ 30-31 32-33	$\bar{y}=49,89-0,288+0,00005$	0,86	0,44	1,76	7,35	-0,67	0,68								
IV Կ՝ 35-36 37-38	$\bar{y}=54,92-1,21+0,04$	0,95	0,91	10,8	3,67	0,96	0,93								
Կնշարկային արտադրողներ	$\bar{y}=24,100-0,822+0,015$	0,77	0,60	2,47	6,1	-0,78	0,65	Կնշարկային արտադրողներ	$\bar{y}=22,34-0,43+0,02$	0,89	0,71	4,65	2,43	-0,89	0,86

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԱՏՎԱԿԱՆ ՍՏԱՏԻՍՏԻԿԱԿԱՆ ԴԻՆԱՄԻՆԻՍՏՐԱԿՆԵՐԻ ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ԱՏՎԱԿԱՆ ՍՏԱՏԻՍՏԻԿԱԿԱՆ ԴԻՆԱՄԻՆԻՍՏՐԱԿՆԵՐԻ

მრავლობითი დეტერმინატის კოეფიციენტი D გვიჩვენებს, რომ თვითღრებულება I და IV ჯგუფის კოლმეურნეობებში 0,92—0,91% არის დამოკიდებული დანახარჯებზე და მოსავლიანობაზე, ხოლო დანარჩენი ფაქტორების ზეგავლენა შეადგენს 8—9%. II და III ჯგ. კოლმეურნეობებში კი დეტერმინატის კოეფიციენტი უდრის 0,52, 0,44%, ე. ი. სხვა ფაქტორების ზეგავლენა უმცირესია.

როდესაც ვარჩევთ მრავალ მოვლენას შორის კავშირს, აუცილებელია ვიცოდეთ გამოსავლევ მოვლენაზე ცალკეული ფაქტორის „წმინდა“ გავლენა და მისი შეფასება, ე. ი. რა გავლენას ახდენს შედეგობრივ ნიშანზე ცალკე აღებული ერთი ფაქტორი, როცა დანარჩენი ფაქტორები ცვლილებას არ განიცდიან. ამისათვის გამოიყენება კერძო კორელაციის მეთოდი, რომელიც ემყარება ცალკეულ ფაქტორთა ელიმინირებას. კორელაციის კერძო კოეფიციენტები — 1 და + 1 შორის არის მოთავსებული.

კერძო კორელაციის კოეფიციენტი r_{12} , რომელიც გვიჩვენებს დამოკიდებულებას თვითღრებულებასა და მოსავლიანობას შორის I და IV ჯგ. კოლმეურნეობებში, უდრის—0,97—0,96; ე. ი. თვითღრებულებასა და მოსავლიანობას შორის ძლიერი უკუპროპორციული დამოკიდებულებაა, ხოლო II და III ჯგ. კოლმეურნეობებში (—0,68; —0,67) საშუალო უკუპროპორციული დამოკიდებულება.

კერძო კორელაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს, რომ თვითღრებულებასა და დანახარჯებს შორის არის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება და ეს დამოკიდებულება კოლმეურნეობებში არის საშუალო 0,65, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში ძლიერი—0,86.

მოვლენა რომ ავსახოთ, უნდა ვიცოდეთ მისი განმსაზღვრელი ფაქტორები, დანახარჯების თითოეულ ელემენტს გარკვეული ხვედრითი წონა უკავია დანახარჯების საერთო ჯამის მიმართ. თვითღრებულების ასეთი სახის ანალიზის დროს საშუალება გვაქვს ვიმსჯელოთ დანახარჯების ამა თუ იმ სახემ როგორი გავლენა იქონია თვითღრებულების გადიდებაზე ან შემცირებაზე. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია დავსახოთ თვითღრებულების შემცირების კონკრეტული ღონისძიებანი.

თვითღრებულებასა და დანახარჯების ცალკეულ ელემენტებს შორის დამოკიდებულების ანალიზის დროს ვნახეთ, რომ თვითღრებულების შემცირებაზე ყველაზე მეტად მოქმედებს მინერალური და ორგანული სასუქების ხარჯები. კორელაციის კერძო კოეფიციენტი r_{13} , რომელიც გვიჩვენებს დამოკიდებულებას თვითღრებულებასა და მინერალურ და ორგანულ სასუქების ხარჯებს შორის, I ჯგ. კოლმეურნეობებში იყო—0,94, ე. ი. დამოკიდებულება არის ძლიერ უკუპროპორციული.

დამოკიდებულება თვითღრებულებასა და შრომის ანაზღაურებას შორის III ჯგ. კოლმეურნეობებში იყო—0,33 (სუსტი უკუპროპორციული).

დამოკიდებულება თვითღრებულებასა და საწვავ-საცხების ხარჯებთან I

ჭგუფის კოლმეურნეობებში იყო 0,98, ხოლო სხვა ჭგუფებში დამოკიდებულება იყო სუსტი.

დამოკიდებულება თვითღირებულებასა და საერთო-საწარმოო სამეურნეო ხარჯებს შორის I ჭგ. კოლმეურნეობებში იყო 0,95.

გამომდინარე აქედან, ვიცით რა თვითღირებულების დონეზე განსაკუთრებით რა ფაქტორები ახდენენ გავლენას, შეგვიძლია დავსახოთ გარკვეული ღონისძიებანი ყურძნის თვითღირებულების შემცირებისათვის, კერძოდ:

1) უნდა გაიზარდოს ყურძნის მოსავლიანობა, რისთვისაც უნდა გატარდეს მთელი რიგი ღონისძიებანი: ა) გატარდეს მელიორაციული ღონისძიებანი. მართალია, თელავისა და გურჯაანის რაიონების კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში სარწყავი მიწების ძირითადი ნაწილი გამოყენებულია ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის, კერძოდ, 1974 წელს თელავის რაიონში ირწყვებოდა 5823 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, აქედან 2321 ჰა მრავალწლიანი ნარგავები, გურჯაანის რაიონში 10822 ჰა სარწყავ სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან მრავალწლიანი ნარგავები იყო 2554 ჰექტარი. მომავალში ყურძნის მოსავლიანობის გადიდების მიზნით კიდევ უნდა გაიზარდოს სარწყავი ვენახების ფართობები. ამასთანავე, უნდა მოხდეს სარწყავი წყლის არსებული რესურსების რაციონალურად გამოყენება; ბ) მიუხედავად ჩატარებული მთელი რიგი ღონისძიებისა, მევენახეობაში ჯერ კიდევ დიდია ცოცხალი შრომის გამოყენება. ისეთი სამუშაო ოპერაციები, როგორცაა გასხვლა. მწვანე ოპერაციები, მოსავლის აღება და სხვ., სრულდება ხელით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვა რაიონებისაგან განსხვავებით, კახეთის, კერძოდ კი თელავისა და გურჯაანის რაიონების რელიეფური პირობები, საშუალებას იძლევიან ვენახები ფართო მასივების სახით იყოს წარმოდგენილი, რაც კიდევ უფრო ხელს უწყობს ამ დარგის განვითარებას და ვენახების დამუშავებისას მექანიზაციის ფართოდ გამოყენებას. მომავალში ყურძნის თვითღირებულების შემცირებისათვის საჭიროა გაიზარდოს მექანიზაციის დონე. გ) უნდა გაიზარდოს მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენება.

2) კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში თვითღირებულების ზრდაზე გავლენას ახდენს საერთო-საწარმოო და საერთო-სამეურნეო ხარჯები. ამიტომ მათი შემცირება პროდუქტების წარმოების გაიაფების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

Н. Ш. ГАЛАХВАРИДЗЕ

СЕБЕСТОИМОСТЬ, КАК ПОКАЗАТЕЛЬ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ЭФФЕКТИВНОСТИ ИНТЕНСИФИКАЦИИ

Резюме

Себестоимость является по существу одним из основных синтетических показателей производства.

С целью изучения себестоимости на исследованных нами объектах



был использован математическо-статистический метод, метод корреляции и метод регрессивного анализа, в результате чего выяснилось, что уровень себестоимости обратно пропорционален урожайности, а издержки прямо пропорциональны, при этом увеличение издержек на один га вызывает повышение себестоимости, но с повышением урожайности себестоимость еще более уменьшается.

По нашим данным, коэффициент множественной корреляции в колхозах I и IV групп равен 0,96—0,95, т. е. зависимость между ними прочная, но в колхозах II и III групп — 0,66 (средняя).

При анализе взаимозависимости между отдельными элементами себестоимости и издержек, выяснилось, что на снижение себестоимости оказывают влияние расходы, связанные с внесением минеральных и органических удобрений, а также общепроизводственные и общехозяйственные расходы.

Поэтому рациональное использование минеральных и органических удобрений, а также снижение общехозяйственных и общепроизводственных расходов, является источником значительного удешевления продуктов производства, снижения и себестоимости сельскохозяйственной продукции, в данном случае себестоимости производства винограда.

உஞ்சுரம் — Литература

1. Экономика сельского хозяйства, № 3, стр. 93, 1971.
2. О. М. Дунаровский, А. Г. Закурдаева. Статистический анализ и обработка наблюдений на ЭВМ «Минск-22», М., 1971.



3. პარკოზაშვილი

საწარმოთა ოპტიმალური სიმძლავრე და მათი განლაგების პრინციპები

სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ტემპები მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია დაგეგმვის ხარისხზე, არსებული საწარმოო რესურსების ეფექტურ, გონივრულ გამოყენებაზე. გეგმების სრულფასოვნობა კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია ეკონომისტებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ცოდნა-სა და გამოცდილებაზე, იმაზე, თუ როგორ იცნობენ ისინი მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოეს მიღწევებს, რადგან ძირითადად მათი ხელმძღვანელობით დგება ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმები.

ამჟამად დაგეგმვის ოპტიმიზაცია წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

სახალხო მეურნეობის განვითარების გზების მრავალფეროვნება, მის სხვადასხვა დარგებს შორის არსებული მრავალმხრივი კავშირი და ბევრი სხვა ეკონომიური პრობლემა ძალიან ართულებს აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტას. აქ თავისი სიტყვა უნდა თქვან ეკონომიურ-მათემატიკურმა მეთოდებმა და თანამედროვე ელექტრონულმა გამოთვლითმა ტექნიკამ.

დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ სახალხო მეურნეობის მართვის გაუმჯობესება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მშენებლობის ერთიანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან, რაც თავის მხრივ, დაკავშირებულია მთელ რიგ თავისებურებებთან, რომლებიც აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

ერთ-ერთ ასეთ თავისებურებას წარმოადგენს მშენებლობის კონცენტრაციის ხარისხი, რომლის მიხედვითაც შეიძლება გავარჩიოთ ორი ტიპის მშენებლობა, ე. წ. მაღალკონცენტრირებული და შედარებით დაბალკონცენტრირებული. აღნიშნულ კლასიფიკაციას ვახდენთ იმის მიხედვით, თუ რამდენად დიდია მშენებლობის მოცულობა ფულად ან ნატურალურ ერთეულებში ერთი წლის განმავლობაში ამა თუ იმ ტერიტორიის ერთეულზე. პირველ ტიპს მიეკუთვნებიან საქალაქო ან სამრეწველო მშენებლობანი. აქ საწარმოთა სიმძლავრეები განისაზღვრებიან ძირითადად იმით, თუ რა ჯდება პროდუქციის ერთეულის წარმოება. ტრანსპორტირებაზე გაწეული ხარჯები ითვლება მეორეხარისხოვან ხარჯებად.



რაც შეეხება მეორე ტიპის მშენებლობებს, აქ საქმე გვაქვს ტერიტორიულად სხვადასხვა ადგილას განლაგებულ სამშენებლო ობიექტებში, რომ ამ შემთხვევაში დაბალია მშენებლობის კონცენტრაცია, ხარკებს ენიჭებათ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. უკანასკნელი ტიპის მშენებლობები, რომლებსაც ეკუთვნის, უპირველეს ყოვლისა, სასოფლო მშენებლობა, როგორც ცნობილია, შეადგენენ ჩვეს ქვეყანაში არსებული მშენებლობათა თითქმის 30 პროცენტს. აქედან გამომდინარეობს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება აღნიშნული სახის მშენებლობათა თავისებურებების სწორად შეფასებასა და დადგენას. ეს ამოცანა წარმოადგენს საკმაოდ რთულს თავისი შინაარსით. იგი არ შეიძლება გადაწყდეს, მაგალითად, მცირე სიმძლავრის საწარმოების შექმნით, რომელთა მოქმედების რადიუსი არის ძალიან უმნიშვნელო, დანიშნულების პუნქტებში მზა პროდუქციის გადატანაზე გაწეული დანახარჯები კი მინიმალური. მცირე სიმძლავრის საწარმოებში წარმოების ხარჯები ყოველთვის მეტია, ვიდრე მსხვილ საწარმოებში. ამიტომ ასეთი მშენებლობების ღირებულების შემცირებისათვის ბრძოლა წარმატებით გადაწყდება იმ შემთხვევაში, როცა განისაზღვრება საწარმოს ისეთი სიმძლავრე, რომლის დროსაც გთვალისწინებული იქნება ყველა ის ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს პროდუქციის საბოლოო ღირებულებაზე.

ყველა მოცემული სახის საწარმოს შეესაბამება ტერიტორია, რომელსაც ის უწყევს მომსახურებას. ამ ტერიტორიის საზღვრების დადგენა წარმოადგენს საკმაოდ რთულ ამოცანას, რადგან ყოველი კონკრეტული საწარმოს შემთხვევაში საქმე გვაქვს მომხმარებელთა დიდ რიცხვთან. განსაკუთრებით რთულია მზა პროდუქციის გადასატანად მომსახურების საშუალო რადიუსის დადგენა. საკითხის შედარებით გამარტივების მიზნით შეიძლება შემოვიღოთ მშენებლობის კონცენტრაციის ხარისხის ცნება.

მეორე ტიპის მშენებლობები შეიძლება დაიყოს კიდევ ორ ჯგუფად: ტერიტორიულად სხვადასხვა ადგილას განლაგებულ და თანმიმდევრობით ანუ ერთ სწორ ხაზზე განლაგებულ სამშენებლო ობიექტებად. მთელი სასოფლო მშენებლობის ობიექტების აბსოლუტური უმრავლესობა ეკუთვნის პირველ ჯგუფს, ამიტომ ის შეიძლება ჩაითვალოს ძირითად ჯგუფად. სასოფლო მშენებლობის კონცენტრაციის ხარისხი ბევრად უფრო დაბალია საქალაქო მშენებლობასთან შედარებით. აქედან კი გამომდინარეობს, რომ კონცენტრაციის ხარისხით ყოველთვის განისაზღვრება სასოფლო მშენებლობის სპეციფიკა მაშინაც კი, როცა მოისპობა ამჟამად არსებული სხვა განსხვავება სასოფლო და საქალაქო მშენებლობებს შორის, როგორცაა, მაგალითად, შენობათა კონსტრუქციული გადაწყვეტა, კაპიტალურობის ხარისხი, სართულიანობა და სხვ.

საწარმოები, რომლებიც მომსახურებას უწყევენ ტერიტორიულად სხვადასხვა ადგილას განლაგებულ მშენებლობებს, შეიძლება დაეყოთ ორ ჯგუფად: საწარმოებად, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა ადგილას განლაგებულ მშენებლობებს და საწარმოებად, რომლებიც მომსახურებას უწყევენ კონცენტრირებული მოთხოვნილების ამა თუ იმ პუნქტს, ან სხვადასხვა ადგილას განლაგებულ

ზული მშენებლობების რომელიმე უბანს. უპირველეს ყოვლისა, განვიხილო პირველი ჯგუფის საწარმოების ოპტიმალური სიმძლავრის განსაზღვრვას. მხოლოდ იქა.



იმისათვის, რომ განისაზღვროს საწარმოთა ოპტიმალური სიმძლავრე, საჭიროა მოვითხოვოთ იმ ხარჯების მინიმიზაცია, რომლებიც საჭიროა სხვადასხვა მასალის თუ დეტალის დასამზადებლად და შემდეგ მათ გადასატანად დანიშნულების ადგილებზე. ხარჯები, რომლებიც საჭიროა მასალის დამზადებაზე, აღვნიშნოთ X -ით, ხოლო ტრანსპორტირების ხარჯები კი Y -ით. მაშინ უნდა მოიძებნოს $X+Y$ -ის მინიმალური მნიშვნელობა $X+Y \rightarrow \min$.

ცხადია, თითოეული სიდიდე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სიმძლავრისაა საწარმო. $X=f(a)$ და $Y=\varphi(a)$, სადაც a აღნიშნავს საწარმოს სიმძლავრეს.

მშენებლობის კონცენტრაციის ხარისხის განსაზღვრისათვის შემოვიღოთ ასეთი აღნიშვნები: α იყოს ნატურალურ ერთეულებში გამოსახული პროდუქციის მოცულობა ერთი წლის განმავლობაში, რომელიც მოიხმარება იმ ტერიტორიაზე, რომელსაც მომსახურებას უწევს მოცემული საწარმო, ანდა პროდუქციის ის რაოდენობა, რომელსაც უშვებს საწარმო ერთი წლის განმავლობაში. Q იყოს ის ტერიტორია, რომელსაც საწარმო უწევს მომსახურებას. მაშინ მშენებლობის კონცენტრაციის ხარისხს თუ აღვნიშნავთ α (ალფა)-თი, ის გამოისახება ფორმულით:

$$r = \frac{\alpha}{Q}$$

მანძილის საშუალო სიდიდე, სადაც ვახდენთ პროდუქციის გადაზიდვას, დამოკიდებულია ადგილმდებარეობის რელიეფზე, საწარმოს მდებარეობასა და მთელ რიგ სხვა ფაქტორებზე. მომსახურების საშუალო რადიუსი შეიძლება გამოითვალოს ფორმულით:

$$r = k\sqrt{Q}$$

სადაც K არის მუდმივი და იღებს სხვადასხვა მნიშვნელობებს ზემოთ აღნიშნული ფაქტორების მიხედვით. ძირითადად ის ღებულობს მნიშვნელობებს 0,5-ის მახლობლობაში.

ტრანსპორტირების ხარჯებში უნდა შევიდეს ძირითადად ორი სახის ხარჯი. ერთი, რომელიც საჭიროა საქონლის გადატანაზე და მეორე, რომელიც მოითხოვება საქონლის დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის.

c'_i -ით აღვნიშნოთ i კმ მანძილზე i -ური პროდუქციის ერთეულის გადატანაზე გაწეული ხარჯი. ცხადია, თუ მთელი პროდუქციის რაოდენობას გავამრავლებთ მომსახურების საშუალო რადიუსზე, მივიღებთ მთელი პროდუქციის გადატანზე გაწეულ ხარჯს: $r \sum_i c'_i$. c''_i იყოს i -ური პროდუქციის ერთეულის დატვირთვა-გადმოტვირთვაზე გაწეული ხარჯი. საბოლოოდ მივიღებთ.

რომ პროდუქციის ტრანსპორტირებაზე გაწეული ხარჯი ტოლი იქნება

$$Y = r \sum_i \Sigma c_i' + \Sigma c_i''.$$



ამრიგად, ხარჯების ფუნქცია გამოისახება ასე:

$$X + Y = f(a) + k \sqrt{\frac{a}{\alpha} \Sigma c_i' + \Sigma c_i''} \rightarrow \min.$$

განსაზღვრეთ ახლა შერეული ტიპის საწარმოთა ოპტიმალური სიმძლავრე. ასეთი ტიპის საწარმოებს მიეკუთვნებიან ზემოთ აღნიშნული ორივე ჯგუფის საწარმოები.

a_1 -ით აღვნიშნოთ პროდუქციის ის რაოდენობა, რომელიც იგზავნება კონცენტრირებული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ხოლო a_2 -ით კი სხვადასხვა ადგილას განლაგებული მშენებლობების დასაკმაყოფილებლად, მაშინ $X = f(a_1 + a_2)$.

ცხადია, ის ტერიტორია, რომელსაც საწარმო უწევს მომსახურებას, გამოითვლება ფორმულით:

$$Q = \frac{a_2}{\alpha}.$$

ხოლო მომსახურების საშუალო რადიუსი კი გამოითვლება ფორმულით:

$$r = k \sqrt{\frac{a_2}{\alpha}}.$$

ამ შემთხვევაში დიდ მანძილებზე გადავიტანთ პროდუქციის მხოლოდ ნაწილს, რის გამოც, ცხადია, გადაზიდვის ხარჯები გამოითვლება ასე:

$$Y = \frac{ka_2}{a_1 + a_2} \sqrt{\frac{a_2}{\alpha} \Sigma c_i' + \Sigma c_i''}$$

ამრიგად, საწარმოს ოპტიმალური სიმძლავრის განსაზღვრისათვის საჭიროა მოიძებნოს შემდეგი ფუნქციის მინიმუმი

$$X + Y = f(a_1 + a_2) + \frac{ka_2}{a_1 + a_2} \sqrt{\frac{a_2}{\alpha} \Sigma c_i' + \Sigma c_i''} \rightarrow \min.$$

უკანასკნელ ფორმულაში a_2 -ის გარდა ყველა სიდიდე არის მუდმივი, აქედან კი გამოძიწიარების, რომ როგორც პროდუქციის დაძახდებაზე გაწეული, ისე ტრანსპორტირების მიზამალური ხარჯების მოქმენა დამოკიდებულია მხოლოდ ერთ a_2 ცვლადზე.

ჩვენ მიერ განხილულ ამოცანაში საქმე გვაქვს აგრეთვე ისეთ ხარჯებთან, რომლებიც საჭიროა ნედლეულის მისატანად პროდუქციის დამამზადებლებამდე. ზემოთ მიღებულ ფორმულებში ისინი შეყვანილნი არიან X ხარჯებში. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება საჭირო იყოს ამ ხარჯების გამოყოფა და მათი ცვა-

ლებადობის კანონზომიერების დადგენა. ეს განსაკუთრებით საჭიროა მაშინ, როცა საკითხი ეხება საწარმოს ასაშენებლად ობტიმალური ადგილის გამოყოფას. კერძოდ, ის ავაშენოთ ნედლეულთან ახლოს, თუ იმ ადგილზე, სადაც გვაქვს მშენებლობის ყველაზე მაღალი კონცენტრაცია.

ახლა განვიხილოთ პირველი ჯგუფის ისეთი საწარმოები, რომლებიც მუშაობენ შემოზიდული ნედლეულით. ყოველგვარი სირთულის გარეშე შეიძლება შემოწმდეს, რომ პროდუქციის დამზადებისა და დანიშნულების პუნქტებში მათ გადატანის ხარჯები მოიცემა ასეთი ფორმულით:

$$X + Y = f(a') + k \sqrt{\frac{a'}{x} \sum_i c'_{a_i} + r \sum_i c'_{a_i} + \sum_i c''_{a_i} + \sum_i c''_{a_i}}$$

სადაც a' არის შემოზიდულ ნედლეულზე მომუშავე საწარმოს სიმძლავრე;
 c'_{a_i} —იმ მასალის გადატანაზე გაწეული ხარჯი, რომელიც საჭიროა i -ური პროდუქციის ერთეულის დასამზადებლად;
 c''_{a_i} — i -ური პროდუქციის ერთეულის დასამზადებლად საჭირო მასალის დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის საჭირო ხარჯები;
 c'_{a_i} — i -ური მზა პროდუქციის ერთეულის გადატანისათვის გაწეული ხარჯი;
 c''_{a_i} — i -ური მზა პროდუქციის ერთეულის დატვირთვა-გადმოტვირთვაზე გაწეული ხარჯი.

დავივსვათ, რომელიმე საწარმო მუშაობს შემოზიდული ნედლეულით და იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ის უწევს მომსახურებას, არის სხვა, შედარებით მცირე სიმძლავრის, საწარმო, რომელიც იყენებს ადგილობრივ ნედლეულს. ადვილად დავრწმუნდებით, რომ ხარჯების ფორმულას ამ შემთხვევისათვის ექნება ასეთი სახე:

$$X + Y = t(a') + k \sqrt{\frac{a'}{x} \sum_i c'_{a_i} + k \left(\sqrt{\frac{a'}{x}} - \sqrt{\frac{a''}{x}} \right) \sum_i c'_{a_i} + \sum_i c''_{a_i} + \sum_i c''_{a_i}}$$

სადაც a'' არის იმ საწარმოს სიმძლავრე, რომელიც მუშაობს ადგილობრივ ნედლეულზე.

შერეული ტიპის საწარმოსათვის ხარჯების ფორმულა ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$X + Y = t(a'_1 + a'_2) + \frac{ka'_2}{a'_1 + a'_2} \sqrt{\frac{a'_2}{x} \sum_i c_{a_i} + r \sum_i c'_{a_i} + \sum_i c''_{a_i} + \sum_i c''_{a_i}}$$

ხოლო იმ შემთხვევაში, როცა შემოზიდული ნედლეულით მომუშავე დიდი



საწარმოს მომსახურების ტერიტორიაზე მოთავსებულია ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე მცირე სიმძლავრის საწარმო. ხარჯების ფორმირებისას ასეთ სახეს:

$$X + Y = t(a_1' + a_2') + \frac{ka_2'}{a_1' + a_2'} \sqrt{\frac{a_2'}{z} \sum_i c_{ji}} + k \left(\sqrt{\frac{a'}{z}} - \sqrt{\frac{a_2''}{z}} \right) + \sum_i c_{ji}'' + \sum_i c_{ji}'''.$$

მიღებული ფორმულები საშუალებას იძლევიან შეირჩეს საწარმოთა ოპტიმალური სიმძლავრე და მათი განლაგება მშენებლობის კონცენტრაციის ხარისხის გათვალისწინებით, აგრეთვე ნედლეულის შემოტანის და სატრანსპორტო ხარჯების პირობები ტერიტორიულად სხვადასხვა ადგილზე განლაგებული მშენებლობებისათვის.

В. И. МАРКОЗАШВИЛИ

ОПТИМАЛЬНАЯ МОЩНОСТЬ ПРЕДПРИЯТИЙ И ИХ РАЗМЕЩЕНИЕ

Р е з ю м е

В работе ставится вопрос о необходимости применения математических методов в определении оптимальной мощности предприятий и принципов их размещения.

Рассматривается методика определения оптимальной мощности производственных предприятий.

Приведены формулы, которые позволяют выбрать оптимальную мощность предприятий и места их размещения в зависимости от степени концентрации строительства, условий поставки сырья и транспортных расходов.

ლიტერატურა — Литература

1. О. В. Джгмадзе, Р. А. Сарчимелия, В. И. Маркозашвили. Решение задачи размещения и этапного наращивания мощностей предприятий промышленности строительных материалов с применением динамической модели линейного программирования. Тб. Гос. НИИ строительных материалов МПСМ СССР, Сб. трудов, вып. II, 1967.
2. 3. მარკოზაშვილი. საწარმოთა განლაგებისას მშენებლობის ორგანიზაციის საკითხები. საქ. სსი. ტ. 39, 1974.



ი. ზოგადი მითითებები

სამეურნეო საშუალებათა წარმოების ასახვა გულაბრულ აღრიცხვაში

წარმოების პროცესში მყოფი სამეურნეო საშუალებები გაივლიან ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამ სტადიას: მომარაგებას, წარმოებას და რეალიზაციას. ერთი სტადიიდან მეორეში გადასვლისას ისინი განიცდიან სახეცვლილებას: ფულადი ფორმის საშუალებები გადაიქცევა მწარმოებლურ ფორმად, მწარმოებლური—საქონლურად და ბოლოს. საქონლური—ისევ ფულად ფორმად. ამგვარად, საშუალებათა წარმოება იწყება ფულით (ფ) და მთავრდება ფულით (ფ¹). ყოველივე ეს, მათი თანმიმდევრობისა და რეალობის შესაბამისად, აისახება ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში.

მომარაგების სტადიაზე საწარმო ახდენს წარმოების საშუალებების მომარაგებას, ყიდულობს საქირო სამეურნეო საშუალებებს, ე. ი. ხორციელდება გაცვლის პროცესი. როგორც კ. მარქსი გვასწავლის „საქონლის გაცვლის პროცესი წარმოებს ფორმათა შემდეგი ცვლის სახით ს—ფ—ს“¹. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ სამეურნეო საშუალებათა წარმოება „იშლება ორ დაპირისპირებულ ფაზად: ს—ფ, გაყიდვა, და ფ—ს, ყიდვა“ [1]. თითოეულ ამ ორ ფაზაში ერთმანეთს უპირისპირდება იგივე ორი ნივთობრივი ელემენტი—საქონელი და ფული და ორი პიროვნება—მყიდველი და გამყიდველი. ამ სტადიაზე მყიდველი უკავშირდება გამყიდველს (საქონლის მწარმოებელს) და მყიდველის ფული გადაიქცევა საქონლად, ე. ი. ასრულებს მიმოქცევის აქტს: ფ—ს. აქ ფ—ს გამოხატავს ფულის გარკვეული რაოდენობის გადაქცევას საქონელთა გარკვეულ რაოდენობად. მყიდველისათვის—მისი ფულის გადაქცევას საქონლად, გამყიდველისათვის—მისი საქონლის გადაქცევას ფულად. აღსანიშნავია ისიც, რომ ფულით ნაყიდი საქონელთა ჯამი შეიცავს სდ + წს (სამუშაო ძალა + წარმოების საშუალებები), რომელიც ფორმულის სახით შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ფ $\begin{cases} \text{სდ} \\ \text{წს} \end{cases}$; კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს წარმოადგენს „ფულადი

კაპიტალის გადაქცევას მწარმოებლურ კაპიტალად“ [2]. მაგრამ სოციალისტური წარმოების პირობებში სდ არ წარმოადგენს საქონელს. ამიტომ ეს

პროცესი წარმოგვიდგება არა როგორც ფულის ვაცვლა სდ საქონელზე, არა-
მედ როგორც გასამრჩელო (საზღაური) იმ შრომისათვის, რომელიც მოტემა
საწარმოში ქმნის პროდუქტს თავისთვის. ამგვარად, მომარაგების მნიშვნელობა

ფორმულის სახით შემდეგნაირად გამოისახება:

$$F = \begin{cases} \text{შა}^* \\ \text{ს'წს} \end{cases}$$

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ მომარაგების სტადია უმთავრესად
ვანისაზღვრება სამეურნეო საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული სამე-
ურნეო საქმიანობით. რაც შეეხება შა-ს, უნდა ვიგულისხმობთ, პირველ ყოვლი-
სა, მომარაგების სტადიაზე დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება, რომელიც
უშუალოდ შედის ნაყიდი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეძენა-დამ-
ზადების თვითღირებულებაში.

აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთი და იგივე საქონელმწარმოებე-
ლი შეიძლება იყოს როგორც მყიდველი, ისე გამყიდველი. თუ იგი მყიდველია,
მისი ფული იცვლება საქონელზე—ხორციელდება ყიდვის აქტი (შ—ს), ხოლო
თუ საქონელმწარმოებელი გამყიდველია, მისი საქონელი იცვლება ფულზე—
ხორციელდება გაყიდვის აქტი (ს—შ). ორივე შემთხვევაში ერთმანეთზე იცვლე-
ბა თანატოლი ღირებულებანი, რის გამო საქონელმწარმოებლის (თუ მყიდველის)
სამეურნეო საშუალებათა ღირებულების ჯამი არ იცვლება. ყველა ეს ცვლილე-
ბა, მისი რეალური მდგომარეობით და ადეკვატური შესაბამისობით, აისახება
ბულალტრულ აღრიცხვაში.

განვიხილოთ ზემოაღნიშნული მარტივ მაგალითზე.

დაუშვათ, რომ მომარაგების სტადიაზე განხორციელდა შემდეგი სამე-
ურნეო ოპერაციები**.

1. მიღებულია 2000 მანეთის სამშენებლო მასალები. აქედან 1200 მანეთისა—
ფურცლოვანი თუნუქი და 800 მანეთისა—შიფერი. მყიდველის ანგარიშზე მიმ-
წოდების მიერ განაღდებულია სარკინიგზო ხარჯები—100 მანეთი. მყიდველს
ფული ჯერ არ გადაუხდია.

2. დაერიცხა სატრანსპორტო ორგანიზაციას რკინიგზის საწყობიდან მყიდ-
ველის საწყობამდე ტვირთის შემოზიდვისათვის 50 მან.

3. გადაერიცხა ანგარიშსწორების ანგარიშიდან მიმწოდებელს ნაყიდი სამ-
შენებლო მასალების ღირებულება და სარკინიგზო ხარჯები—2100 მანეთი, აგ-
რეთვე სატრანსპორტო ორგანიზაციას—მყიდველის საწყობამდე ტვირთის
გადმოზიდვისათვის—50 მანეთი.

4. განაწილდა სამშენებლო მასალების გადმოზიდვის ხარჯები (150 მანეთი)
ტვირთის ღირებულების პროპორციულად და მიეკუთვნა: ფურცლოვან თუნუქს
—90 მანეთი, შიფერს—60 მანეთი.

ეს ოპერაციები ბულალტრულ აღრიცხვაში აისახება შემდეგნაირად:

* შა—შრომის ანაზღაურება

** შემოკლების მიზნით შევუშველად არის წარმოდგენილი ოპერაციები და არ არის ნაჩვენ-
ები ნატურალურ საზომებში.



ეროვნული
საბანკო სისტემა
საქართველო

სინთეზურად

ანგარიშსწორების ანგარიში		მიმწოდებლები და მოიჯარეები		მასალები	
ლ	კ	ლ	კ	ლ	კ
ნაშთი	3,2150	3,2150	1,2100 2) 50	1)2000 4) 150	

ანალიზურად

სატრანსპორტო- დაზღაურების ხარჯები		ფერტლოვანი ტენქი		შიფერი	
ლ	კ	ლ	კ	ლ	კ
1)100 2) 50	4)150	1)1200 4) 90		1)800 4) 60	

„სამშენებლო მასალების“ სინთეზური ანგარიშის დებეტში ჩაწერილი პირველი ოპერაცია გვიჩვენებს, რომ მყიდველის საწყობში მიღებულია 2000 მანეთად ღირებული სამშენებლო მასალა და მე-4 ოპერაციით მას დაემატა 150 მან. გადმოზიდვის ხარჯები. ამგვარად, „სამშენებლო მასალების“ სინთეზური ანგარიშის დებეტში აისახა ნაყიდი სამშენებლო მასალების შექენა-გადმოზიდვის ფაქტიური დანახარჯები და დადგინდა მისი შემოსავალში შეტანის ფასი (2150 მან.).

ეს ფაქტი, რომ აღნიშნული თანხით მყიდველი დავალიანდა მიმწოდებლისა და მოიჯარისაღმი, გვიჩვენა „მიმწოდებლების და მოიჯარეების“ ანგარიშის კრედიტმა, საიდანაც ჩანს, რომ დაემართა მყიდველს პირველი ოპერაციით 2100 მანეთი და მე-2 ოპერაციით 50 მანეთი (სულ 2150 მანეთი).

„ანგარიშსწორების“ სინთეზური ანგარიშის კრედიტში ჩანაწერი (მე-3 ოპერაცია) გვიჩვენებს, რომ ამ ანგარიშზე რიცხული ფულადი საშუალებების არსებული ნაშთი შემცირდა 2150 მანეთით, ხოლო „მიმწოდებლებისა და მოიჯარეების“ სინთეზური ანგარიშის დებეტში ჩაწერილი იგივე ოპერაცია გვიჩვენებს, რომ ეს ფული კრედიტორული დავალიანების დასაფარავად ჩაერიცხათ

მიმწოდებლებსა და მოიჯარეებს. ამით მათ შორის ანგარიში გასწორდება (2150=2150).



ამგვარად, მყიდველის მეურნეობაში მიღებული იქნა 2150 ლარი. ამან შექმნა საშუალება და სანაცვლოდ გავიდა ამავე რაოდენობის ლალები, რის გამო მყიდველის სამეურნეო საშუალებათა ღირებულების საერთო ჯამი არ შეიცვალა.

როგორც ანგარიშებში ჩანაწერებიდან ჩანს, ყოველი სამეურნეო ოპერაცია ერთდროულად, ერთი და იგივე თანხით ჩაიწერა როგორც სინთეზურად (გაერთიანებულად), ისე ანალიზურად (დაშლილად, დანაწევრებულად). ამიტომაც, რომ „სამშენებლო მასალების“ სინთეზური ანგარიშის სადებეტო ბრუნვა—2150 (2000+150) უდრის მისი შემადგენელი ანალიზური ანგარიშების (ფურცლოვანი თუნუქისა და შიფერის) სადებეტო ბრუნვების ჯამს—2150 (1290+860).

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლად გვიჩვენებს, რომ მომარაგების სტადიის საქმიანობა, მისი თანამიმდევრობისა და ფაქტიურად განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, სინთეზურად და ანალიზურად ფოტოგრაფიულის სიზუსტით აისახა ბუღალტრულ აღრიცხვაში.

ანალიზური აღრიცხვის ანგარიშებში ჩანაწერები რეალურ საფუძველს წარმოადგენს. განესაზღვროთ თითოეული სახის სამშენებლო მასალის შექმნა-დაშადების ფაქტიური თვითღირებულება, რისთვისაც მოცემული სახის სამშენებლო მასალის ნაყიდობის ღირებულებისა და სატრანსპორტო-დაშადების ხარჯების ჯამი გაიყოფა შექმნილი სამშენებლო მასალების რაოდენობაზე.

წარმოების სტადიაზე ხდება ადამიანის სამუშაო ძალისა და წარმოების საშუალებების (ე. ი. პირთა და ნივთობრივი ფაქტორების) შეერთება, რითაც ხორციელდება წარმოების პროცესი. წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალის ეს მოძრაობა, ფორმულის სახით, შემდგენიერად წარმოვიღებთ:

გვს: $\begin{matrix} \text{შ} \\ \text{ფ} \end{matrix} \dots \text{წ. სადაც წერტილებით აღნიშნულია, რომ სამეურნეო}$

საშუალებათა მიმოქცევა შეწყვეტილია, მაგრამ მისი წრებრუნვის პროცესი გრძელდება იმის გამო, რომ იგი საქონელმიმოქცევის სფეროდან წარმოების სფეროში შედის. წარმოების პროცესის დამთავრების კვალობაზე მიიღება შრომის პროდუქტი.

მაშასადამე, წარმოების სტადიაზე იხარჯება ცოცხალი შრომა, შრომის საგნები და იკვირება შრომის საშუალებები. ეს დანახარჯები, ყოველ ცალკე აღებულ საწარმოში ქმნის ფაქტიურ საწარმოო თვითღირებულებას და წარმოვიღებთ ორ ჯგუფად: 1. შრომის პროდუქტის უშუალოდ შექმნილი დანახარჯები, 2. წარმოების მართვით და მომსახურებით გამოწვეული დანახარჯები.

პირველი ჯგუფის დანახარჯებს მიეკუთვნება: ა) შრომის პროდუქტის უშუალოდ მწარმოებელთა მიერ დახარჯლი შრომის ღირებულება, რომელიც



ქმნის პროდუქტს თავისთვის, აგრეთვე მასზე სოციალური დაზღვევის ანაზღაურება; ბ) შრომის პროდუქტის შექმნაზე უშუალოდ დახარჯული შრომის საფასურის ღირებულება; გ) შრომის პროდუქტის შექმნაში უშუალოდ მონაწილეობის საშუალებების მოხმარებული (ცვეთის) ღირებულება. **ბ ი გ ლ ი მ ი მ ე მ ე მ ე**

მეორე ჯგუფის დანახარჯებს მიეკუთვნება საწარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობისა და ცალკეული წარმოების (მემცენარეობა, მეცხოველეობა და სხვ.) მომსახურების ფულად-მატერიალური და შრომითი დანახარჯები.

წარმოების განვითარებისათვის სწორი მიმართულების მისაცემად საჭიროა არა მარტო ავსახოთ წარმოების სტადიაზე მომხდარი ცვლილებები, არამედ დავაგვიფიქროთ ისინი თვისობრივად ერთგვაროვნობის მიხედვით, დავადგინოთ კრებვითი მაჩვენებლები და მათი გაანალიზების შედეგად შევიმოწყოთ წარმოების განვითარებისათვის ეკონომიურად დასაბუთებული ღონისძიებები. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება წარმოების დანახარჯების აღრიცხვის დღევანდელი პრაქტიკა.

შრომის პროდუქტის უშუალოდ შემქმნელი ფულად-მატერიალური და შრომითი დანახარჯები აისახება როგორც საერთოდ წარმოების ამსახველ სინთეზურ ანგარიშში. ისე ერთგვაროვნობის მიხედვით დავჯუფებთ—ცალკეული სახის წარმოების ანგარიშებში. მაგალითად, მემცენარეობაში პირდაპირი დანახარჯება აღირიცხება შემდეგ მუხლებად დაყოფით: მემცენარეობაში მომუშავეთა შრომის ანაზღაურება, დანახარჯი თესლისა და სარგავი მასალის ღირებულება, მოხმარებული საწვავისა და საცხების ღირებულება, წარმოების პროცესში გამოყენებული ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯები, მათი ცვეთის ღირებულება და სხვ.

ამ დანახარჯებისაგან განცალკევებით და, თავის მხრივ, ორ ჯგუფად (საერთო-საწარმოო და საერთო-სამეურნეო ხარჯებად) დაყოფით აისახება წარმოების მართვისა და მომსახურების ხარჯები. ბოლოს, წარმოების დამთავრების კვალობაზე აისახება აგრეთვე ახლად შექმნილი ღირებულება—შრომის პროდუქტი.

ზემოთ აღნიშნული განვიხილოთ მარტივ მაგალითზე (იხ. კონტირების უწყისსა და ანგარიშებში ჩანაწერები):

დავუშვათ, რომ მე-9 ოპერაციით მიღებულია მემცენარეობიდან 100 ც საგაზაფხულო ხორბალი და 100 ც საგაზაფხულო ქერი (ფაქტიური თვითღირებულებით), იგი შემოსავალში გატარდება*:

- ღებები—„სოფლის მეურნეობის წარმოების პროდუქცია“—3987 მან.
- კრედიტი—„მემცენარეობა“—3987 მან. (ანალიზურად: კრედიტი—„საგაზაფხულო ხორბლის წარმოება“ 100 ც 2222 მან., კრედიტი—„საგაზაფხულო ქერის წარმოება“ 100 ც 1765 მან.).

* საკითხის გამარტივებისა და ტექსტის შემცირების მიზნით ღირებულებითი სიდიდეები შენაწილად ფაქტიური თვითღირებულებით, აგრეთვე არ ვაჩვენებთ თანამდე პროდუქციას.

კონტრების უწყისი



ეროვნული
სტატისტიკის
სამსახური

კრედიტი ანგარიშისა

№ რიგზე	ოპერაციის შინაარსი	დებიტი ანგარიშებისა		
		სინთე- ზურად	ანალიზურად	
		„მემ- ცენა- რეობა“	„სავაზაუხელო წარმოება“	„სავაზაუხე- ლო წერის წარმოება“
1.	დაეწერა მემცენარეობას თესლის ლირებულება	350	200	150
2.	დაეწერა მემცენარეობას მინერალური სასუბსტანციების ღირებულება	180	100	80
3.	დაეწერა მემცენარეობას მუშებზე და- რისული ხელფასი	1300	700	600
4.	დაეოცნა სოციალური ორგანოების მუშეების ხელფასზე ანაოცებები	57	32	25
5.	დაეწერა მემცენარეობას საწვავ-საე- ხედი მასალები	550	300	250
6.	დაეწერა მემცენ რეობას ძირითადი სა- შუალებების ცვეთის ღირებულება	500	300	200
7.	განაწილა და დაეწერა მარცვლეუ- ლს წარმოებას მემცენარეობის სა- ერთო ხარჯები	420	236	184
8.	განაწილა და დაეწერა მემცენარეო- ბის საერთო-სამეურნეო ხარჯები	600	354	276
	ს უ ლ	3987	2222	1765

აღნიშნული ოპერაციები ანგარიშებში აისახება შემდეგნაირად:

მემცენარეობა		სავაზაუხელო ხორ- ბლის წარმოება		სავაზაუხელო ქე- რის წარმოება	
დ	კ	დ	კ	დ	კ
1) 350	9) 3987	1) 200	9) 100 ც.	1) 150	9) 100 ც.
2) 180		2) 100	2222 მან.	2) 80	1765 მან.
3) 1300		3) 700		3) 600	
4) 57		4) 32		4) 25	
5) 550		5) 300		5) 250	
6) 500		6) 300		6) 200	
7) 420		7) 236		7) 184	
8) 600		8) 354		8) 276	
ბრ. 3987	3987	ბრ. 2222	100 ც. 2222 მან.	ბრ. 1765	100 ც. 1765 მან.

როგორც ჩანაწერებიდან ჩანს, „მემცენარეობის“ სინთეზური ანგარიშის
დებეტში თავი მოიყარა მემცენარეობის წარმოებაზე გაწეულმა ფაქტიურმა და-

ნახარკებმა, ხოლო კრედიტში აისახა მიღებული პროდუქცია ფაქტიურად საწარმოო თვითღირებულებით. თითოეული ანალიზური ანგარიშის დებეტში აისახა ამ კულტურის წარმოებაზე გაწეული ფაქტიური დანახარკები (მწკრივების ტყეცებულ მუხლებად დაყოფით). ხოლო კრედიტში — მიღებული პროდუქცია ფაქტიური საწარმოო თვითღირებულებით.

ანალიზურ ანგარიშებში ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს ისიც, რომ 1 ც ფაქტიური თვითღირებულება შეადგენს: საგაზაფხულო ხორბლისა—22—22 მან. (2222 : 100) და საგაზაფხულო ქერის—17—65 მან. (1765 : 100).

ამგვარად, უშუალოდ მემცენარეობაში გაწეული ფულად-მატერიალური და შრომითი დანახარკები მთლიანად და ერთდროულად დაეწერა წარმოებას და მთლიანად და ერთბაშად შევიდა იგი ახლად შექმნილი პროდუქციის თვითღირებულებაში, ხოლო არაპირდაპირი დანახარკები შესაბამის კულტურებს მიეკუთვნა განაწილების მეშვეობით (წლის ბოლოს). მიუხედავად მიკუთვნების წესისა, ყველა დანახარჯი შესაბამისად აისახა სათანადო ანგარიშებში და წარმოვიდგაროგორც წარმოების ელემენტების ფასი.

ამგვარად, წ—წ-ში კაპიტალის ფულადი გამოსახულება წარმოვიდგება... როგორც წარმოების ელემენტების ფასი, მაშასადამე, . . . როგორც საანგარიშო ფულით გამოსახული ღირებულება და სწორედ ამ ფორმით ხდება მისი ფიქსაცია ბუღალტერიაში"[2].

რეალიზაციის სტადიაზე საწარმოს სამეურნეო საქმიანობა განისაზღვრება სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის ოპერაციებით. საქონელმწარმოებელი ამ სტადიაზე გამოდის როგორც გამყიდველი, ე. ი. მისი საქონელი იცვლება ფულზე, ხორციელდება პროცესი ს'—მ'.

რეალიზაციის სტადიაზე ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება, ერთი მხრივ, საწარმოს მიერ სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულების (გეგმური და ზეგეგმური პროდუქციის მიყიდვა) შესრულების პროცესი, აგრეთვე დანარჩენი რეალიზაცია და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო მეორე მხრივ, გაყიდული პროდუქციისათვის ამონაგების მიღება და მასთან დაკავშირებული ანგარიშსწორებანი. ეს შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ აგრეთვე ფინანსური შედეგიც.

პროდუქციის რეალიზაციისა, მასთან დაკავშირებული ხარჯებისა და მიღებული ამონაგების ბუღალტრული აღრიცხვისათვის იხსნება „რეალიზაციის“ ანგარიში, რომლის დებეტში წლის განმავლობაში იწერება რეალიზებული პროდუქცია გეგმური თვითღირებულებით და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები*, ხოლო წლის ბოლოს (ფაქტიური საწარმოო თვითღირებულების გა-

* თუ ასეთი ხარჯები ერთდროულად ეკუთვნის რამდენიმე სახის პროდუქტს, იგი აღრიცხება „არასაწარმოო ხარჯების“ ცალკე ანგარიშში და რეალიზებული პროდუქციის სახეებს შორის ნაწილდება ფაქტიური საწარმოო (ფაბრიკულ-ქარხნული) თვითღირებულების პროპორციულად.



მონაგარიშების შემდეგ) — კორექტირების თანხა გეგმიურ და ფაქტურულ თვითღირებულებას შორის სხვაობა). კრედიტში აისახება რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები.

ამგვარად, საღებეტო ბრუნვა გეინვენებს რეალიზებულ სრულ ფაქტიურ თვითღირებულებას, ხოლო საკრედიტო — ამონაგებ თანხას. მათი დაპირისპირებით ისაზღვრება ფინანსური შედეგი (მოგება და ზარალი).

ენიანიდან საწარმოსა და დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორება ხდება შემდგომი გადახდის და უნაღლო ანგარიშსწორების წესით, რეალიზაციის სტადიის სამეურნეო ოპერაციების ასახავად გამოიყენება აგრეთვე დამამზადებელ ორგანიზაციებთან ანგარიშსწორების, ფულადი საშუალებების, მზა პროდუქციის, მოგება და ზარალის და სხვა ანგარიშები.

განვიხილოთ შემოადინიშნული მარტივ მაგალითზე:

კონტრების უწყისი

№ რიგზე	ოპერაციის შინაარსი	მაკორესპონდენტული ანგარიშები		თანხა (მან.)
		დებიტი	კრედიტი	
1.	ჩამოიწერა რეალიზებული ყურძენი მემური თვითღირებულებით	რეალიზაცია	სოფლის მეურნეობის წარმოების პროდუქცია	200
2.	დაიწერა რეალიზაციის საკუთარი ავტოტრანსპორტის მოშასხურება	რეალიზაცია	მოშასხურე წარმოება	200
3.	ვრგება მეურნეობის დამამზადებელი ორგანიზაციისაგან სარეალიზაციო ფასები	დამამზადებელი ორგანიზაცია	რეალიზაცია	2500
4.	მიღებული დამამზადებელი ორგანიზაციისაგან ანგარიშსწორების ანგარიშზე	ანგარიშსწორების ანგარიში	დამამზადებელი ორგანიზაცია	2500
5.	მიღებული რეალიზებულ პროდუქტს ეკონომია	რეალიზაცია	შემცენარეობა	100
6.	გადირიცხა მოგება და ზარალის ანგარიშზე ფინანსური შედეგი (მოგება)	რეალიზაცია	მოგება და ზარალი	400

რეალიზაციის ანგარიშში ჩანაწერები სქემატურად შემდეგ სახეს მიიღებს:

რეალიზაციის ანგარიში

1) 2000	3) 2500
2) 200	
5) 100	
გო. 2100	2500
ანგ. დახურვა	
6) 400	
2500	2500

ამგვარად, პროდუქციის რეალიზაცია, მასთან დაკავშირებული ხარჯები და რეალიზაციიდან ფულადი საშუალებების მიღება, ფაქტიურად არსებული ცვლილებების შესაბამისად, აისახა მისთვის განკუთვნილ ანგარიშში. ასევე, ფაქტიურად განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად აისახა აღრიცხვაში რეალიზაციის სტადიაზე წარმოსობილი საანგარიშსწორებო ურთიერთობანი.

Резюме

При кругообороте хозяйственные средства проходят тесносвязанные друг с другом три стадии: приобретение, производство и реализация.

В первой стадии производится приобретение хозяйственных средств. При этом общая стоимость хозяйственных средств покупателя не изменяется, просто денежная форма заменяется товарной.

Первая стадия выражена формулой $D \begin{cases} T(сп) \\ ЗП \end{cases}$ на счетах

бухгалтерского учета отражается:

Д-т счета — материальные ценности.

К-т счета — денежные средства.

Во второй стадии затрачивается живой труд, предметы труда и потребляются основные средства, в результате которого получается вновь созданный продукт. Вторая стадия, выраженная формулой $D-T \begin{cases} сп \\ ЗП \end{cases}$

на счетах бухгалтерского учета отражается:

Д-т счета — производство.

К-т счета — предметы труда.

К-т счета — износ основных средств.

К-т счета — расчеты с рабочими и служащими.

Вновь созданный продукт оприходывается:

Д-т счета — готовая продукция.

К-т счета — производство.

В третьей стадии происходит реализация товарной продукции. Процесс реализации выраженной формулой T^1-D^1 на счетах бухгалтерского учета отражается:

Д-т счета — реализация.

К-т счета — готовая продукция.

Д-т счета — покупатели.

К-т счета — реализация.

Д-т счета — денежные средства.

К-т счета — покупатели.

При помощи записей в счетах определяется фактическая себестоимость

мость приобретенных (заготовленных) материальных ценностей, вновь-
созданного продукта и реализованной продукции.



ლიტერატურა — Литература

1. კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. 1. გვ. 138, 190.
2. კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. 2. გვ. 31, 71.

ს ა რ ზ ი ვ ი — ОГЛАВЛЕНИЕ

1. ბ. გიორგაძე — სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულებისა და წარმოების რენტაბელობის ანალიზისათვის	3
Г. Г. Гиоргадзе — К анализу себестоимости и рентабельности производства сельскохозяйственной продукции	11
2. კ. შიროტაძე — წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმის საკითხისათვის	13
К. А. Миротадзе — К вопросу о критерии эффективности общественного производства	18
3. გ. ძაგნიძე — ძირითადი საწარმოო ფონდების ეფექტიანობა და კაპიტალ-დაბანდების დაფინანსება მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში	21
Г. Я. Дзагидзе — Эффективность основных производственных фондов и финансирования капитальных вложений в виноградарских совхозах	26
4. ა. ნარჩოშაშვილი — საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების ინტენსიფიკაციის საკითხისათვის	27
А. Н. Нарчوماшвили — К вопросу интенсификации совхозов Грузинской ССР	32
5. გ. ჭეზაშვილი — მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების რენტაბელობა გარდაბნის რაიონის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობებში	35
Г. В. Джебашвили — Рентабельность продукции растениеводства и животноводства в овощно-молочных совхозах Гардабанского района	40
6. შ. მალღაკელიძე — ზოგიერთი საკითხი საკოლმეურნეო წარმოებაში შრომის ანაზღაურებისა და ფასის შესახებ	41
Ш. Л. Маглакидзе — Некоторые вопросы оплаты труда и цен в колхозном производстве	46
7. ჯ. გეწაძე — შრომითი რესურსების გამოყენების საკითხი, როგორც ლენინური აგარული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი	47
Дж. А. Гецадзе — Вопросы трудовых ресурсов, как составная часть ленинской аграрной политики	51
8. დ. დგებუაძე — აუცილებელი პროდუქტის განაწილება სოციალიზმის დროს	53
Д. Ш. Дгебуадзе — Распределение необходимого продукта при социализме	58
9. გ. ჰკალუა — სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაცია და მეურნეობათა ოპტიმალური სიდიდის საკითხი აფხაზეთის ასსრ-ში	61
Г. Б. Чкадуа — Вопросы концентрации и оптимальные размеры с.-х. предприятий Абхазской АССР	67
10. თ. ზ. კანდელაკი — Себестоимость заготовки и доставки обрезков виноградной лозы для производства волокнистых плит	69
11. დ. ქაციბაია — შრომის ნაყოფიერება აფხაზეთის ასსრ მეჩაიეობის საწარმოო ტიპის კოლმეურნეობებში	73
Д. Ф. Кацибая — Производительность труда в колхозах чаеводческого производственного направления Абхазской АССР	86
12. ტ. შერეზადიშვილი — კოლმეურნეობებში აღრიცხვისა და ანალიზის ზოგიერთი საკითხის გაუმჯობესებისათვის	87
Т. К. Шерезадишвили — Улучшение некоторых вопросов учета и анализа в колхозах	90



13. ა. თედიაშვილი — სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა პირველადი ინფორმაციის ფორმირების სრულყოფის გზები	
A. A. Тедиаშвили — Пути совершенствования формирования первоначальной информации сельскохозяйственных предприятий	
14. თ. ვაზაშვილი — მეღორეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხები შიდა ქართლის ბარის მეზილეობის ზონაში	99
T. Ш. Газашвили — Вопросы специализации и концентрации свиноводства в Шидкартлинской плодородческой зоне	104
15. ბ. სარჯველიძე — სასუქების გამოყენების ეკონომიური ეფექტიანობის საკითხები	107
B. B. Сарджвеладзе — Вопросы экономической эффективности использования удобрений	116
16. A. G. Махарадзе — Условия производства и цена	117
17. ლ. ქაღახაშვილი — შრომითი რესურსების დაგეგმვის სრულყოფის საკითხები	125
L. A. Келехашвили — К вопросу совершенствования планировки трудовых ресурсов	127
18. პ. ოდიშვილი — საკვებწარმოების პრობლემისათვის საქართველოს სსრ შთის მეცხოველეობის კოლმეურნეობებში	129
M. A. Одишвили — О проблеме кормопроизводства в колхозах горного животноводства ГССР	135
19. ბ. ლავთაძე — სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის საკითხები გარე კახეთში	137
H. A. Гавтадзе — Вопросы специализации сельскохозяйственного производства в Гаре Кახетии	141
20. ბ. ვალახვარიძე — თვითღირებულება, როგორც ინტენსიფიკაციის ეკონომიური ეფექტიანობის მაჩვენებლები	143
H. Ш. Галахваридзе — Себестоимость, как показатель экономической эффективности интенсификации	147
21. ვ. შარკოზაშვილი — საწარმოთა ოპტიმალური სიმძლავრე და მათი განლაგების პრინციპები	149
B. И. Маркозашвили — Оптимальная мощность предприятий и их размещение	154
22. ო. ვოდერძიშვილი — სამეურნეო საშუალებათა წრებრუნვის ასახვა ბუღალტრულ აღრიცხვაში	155
И. К. Годердзишвили — Отражение в бухгалтерском учете кругооборота хозяйственных средств	163

სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების რედაქტორები:
ქ. ბობოხიძე, რ. ვაჩნაძე, ე. ხარაზიშვილი,
მ. დოლიძე, მ. თორელიშვილი.

№ 1395

№ 15068

ტირაჟი 500

გადაცემა წარმოებას 14/X-76 წ.: ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/XII-76 წ.: წიგნის
ზომა 7×11; სასტამბო თაბახი 10,5; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11,5.
ფასი 79 კაპ.

შრომის წითელი დროშის ორდენისანი

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტამბა,
თბილისი—31, დიღომი.

Типография Грузинского ордена Трудового Красного Знамени
сельскохозяйственного института, Тбилиси-31, Дигომи.

2-3-21-92



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა